ლიბერალი

№ 173 სექტემბერი 2016

ISSN 1987-7528

9 771987 752008

ეროვნული ბიბლიოთეკა

1737
2016

ფასი 5 ლარი

ბავშვები სანაპიროზე

გვ. 20

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

ეკე მორჩილაძე



ანი მილორნი

გიჰვანჭა სტეჩლინგით შოს

შეიძინეთ
„ლიბერალის ბიბლიოთეკის“
პირველი წიგნი

გამომცემლობა „არტანუჯი“

ლიბერალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიბერალი

№ 173 სექტემბერი 2016

ჟურნალის რედაქტორი
ზურაბ ვარდიაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი
ლიკა ზაკაშვილი

ახალი ამბების რედაქტორი
დათო გამისონია

ფოტორედაქტორი
ლევან ხერხეულიძე

ჟურნალისტები
ზურაბ ვარდიაშვილი, ლიკა ზაკაშვილი, ქეთევან ღვედაშვილი, თათია ხალიანი, ეკა მაღალდაძე, სოფო აფციაური, თეი კანაშვილი, დათო ფარულავა, ნათია ამირანაშვილი, დათო გამისონია, სალომე გორგოძე, ქრისტინე მუჯირი

კონტრიბუტორები
ლევან ახალაია, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, ლევან ბერძენიშვილი, გიორგი კეკელიძე, მანონ ბოკუჩავა, გიორგი ისაკაძე, ალექსანდრა არეშვილი

ჟურნალის დიზაინერი
თორნიკე ლორთქიფანიძე

ჟურნალის და ნიუსჯგუფის რედაქტორ-სტილისტი/კორექტორი
ნინო კალატოზიშვილი

თემატური ჯგუფის რედაქტორ-სტილისტი/კორექტორი
ნათია ორმოცაძე

ბიზნესგანვითარების მენეჯერი
ქეთევან ქავთარაძე

ადმინისტრაციული მენეჯერი
მზია კუბლაშვილი

დისტრიბუტორი
გიგი ნაზარაშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 247 02 46

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი“.
მისამართი: თბილისი, რუსთაველის ქ. 50. ტელ.: (995 32) 2470246
ელ-ფოსტა: info@liberali.ge
ვებგვერდი: www.liberali.ge
საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბეჭდვა:
შპს „სეზანი“.
მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის თვეში ერთხელ, ყოველ 100 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში.

რეკომენდებული საცალო ფასი 5 ლარი.

www.liberali.ge

ცნობად მიღება

არსებობს ასეთი პრაქტიკა, ჩვენი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მრავალგზის გატესტილი.

მაგალითად, სახალხო დამცველი წარადგენს მრავალგვერდიან ანგარიშს – რას არ ნახავთ იქ, ცემას და გაუპატიურებას, წამებას და ღირსების შელახვას, დისკრიმინაციას და სტიგმას, სისხლსა და ცრემლს...

და რას შვრებიან, ძირითადად, ჩვენი დეპუტატები? – საგამოძიებო კომისიებს ქმნიან? შოკში ვარდებიან? დეპუტატთა ტრიბუნებს ცეცხლი ეკიდება ხალხის რჩეულთა ემოციების აფეთქებისგან? პროტესტს აცხადებენ? მანდატებს ხევენ? ან პირიქით, ამ მანდატებს რამეში იყენებენ და ქმედებაზე გადადიან?

არაფერი ამის მსგავსი. ისინი ამ სისხლსა და ცრემლს ცნობად იღებენ.

ცნობად მიღება ნიშნავს, რომ... არაფერსაც არ ნიშნავს. ამ იურიდიული მანიპულაციის მთელი არსი სწორედაც ეს არის.

ჰოდა, ვფიქრობ, რომ ჩვენც ცნობად ვიღებთ 22 წლის ბიჭის ჩამომხრჩვალ სხეულს, შვილმკვდარი დედის ნაცემ სახეს. ცნობად ვიღებთ, დღისით-მზისით, შუა ქალაქში ქუჩურ ვენდეტებს, კალაშნიკოვების კაკანს, პისტოლეტების გრიალს...

ცნობად ვიღებთ ამის ფონზე სამართალდამცავი სტრუქტურების გამალებულ ნადირობას ნარკომომხმარებლებზე, საპროტესტო აქციების მონაწილეებზე...

ცნობად ვიღებთ ეკოლოგიური კატასტროფისკენ გიგანტურ ნახტომებს, გაჩეხილ ხეებს, დაბინძურებულ ჰაერს, ჩაბეტონებულ სივრცეს...

ცნობად ვიღებთ, მუშათა პროტესტს, უსახლკაროთა უსახლკარობას, უმწეოთა უმწეობას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონეთა შეზღუდულ შესაძლებლობებს...

ცნობად ვიღებთ გაჭირვებასა და შიმშილს, განუკითხაობას და უსამართლობას, დისკრიმინაციას და სტიგმას...

და ზოგჯერ შესაძლოა, გავიკვირვოთ კიდეც, აღვშფოთდეთ და ვიკითხოთ ინტელექტუალური მწვერვალების მიღმიდან – სად არის ცვლილებები? პროგრესი? განვითარება? და იქვე ადრესატების მითითებაც არ დაგვავიწყდეს.

და სანამ თითს რომელიმე მიმართულებით გავიშვერდეთ – შეგვიძლია, მივიღოთ მარტივი პასუხი, ვიდრე „ცნობად მიღების“. ამ იურიდიული მანიპულაციის საზოგადოებრივ ფორმატში თარგმნილი აპათია მძვინვარებს ყველა სფეროში, ცვლილებები არ იქნება.

ზურაბ ვარდიაშვილი, ჟურნალის რედაქტორი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

04 **ავტორები**

მიმოხილვა

08 ახალი თურქეთი
ავტორი: ლევან ახალაია

თვალსაზრისი

12 სენტიმენტალური გასეირნება კარტოფილის ამოსაღებად
ავტორი: ალექსანდრა არეშვილი

ინტერვიუ

16 ამბოხი, როგორც ყოფნის მარადიული მოდუსი
ავტორი: ზურაბ ვარდიაშვილი

მთავარი თემა

20 ბავშვები სანაპიროდან
ავტორი: სოფო აფციაური

26 ხმელეთზე დარჩენილები
ავტორი: თათია ხალიანი

განათლება

32 რამდენად ხელმისაწვდომია სკოლამდელი განათლება ქვეყანაში
ავტორი: სალომე გორგოძე

ჯანდაცვა

38 ღიად დატოვებული ორმოები
ავტორი: მანონ ბოკუჩავა

ეკონომიკა

42 სოციალურად დაუცველები უმუშევრობის ჩაკეტილ წრეში
ავტორი: სოფო გოგიშვილი

საზოგადოება

46 არაღიარებული იდენტობა
ავტორი: ბასტი მგალობლიშვილი

ფოტოპროექტი

50 ბედნიერება ერთი დაქოქვით
ავტორი: გიორგი ისაკაძე

ბიბლიოთეკა

62 ბებიები, ჩემი ბებიები
ავტორი: გიორგი კეკელიძე

65 ვიზუალიზებული ლიტერატურა
ავტორი: ლევან ბერძენიშვილი

კულტურა

70 მარილი, ნახშირი და კანი
ავტორი: დავით ბუხრიკიძე

სპორტი

75 საყვარელი სტადიონის სურათები
ავტორი: გიო ახვლედიანი

ფოტო: სოფო აფციაური



თვალსაზრისი

სენტიმენტალური გასეირნება კარტოფილის ამოსაღებად

როგორ უნდა იბრძოლონ ადამიანებმა, რომლებსაც ჯერ არც კი შეუბიჯებიათ პოლიტიკური ბრძოლის სივრცეში და უკვე მხოლოდ წმინდა სისხლის პირადი დაპირისპირებებით, ინტრიგნობითა და ვინმეს სოციალური კაპიტალისგან გამოსარჩენი ინვესტიციის ღირებულებით ირჩევენ და იცვლიან პოლიტიკურ და სოციალურ შეხედულებებს, მტრებსა და მეგობრებს? რომელთაც არასდროს არავითარი კომპრომისი არ დაუშვიათ პოლიტიკური შეხედულებების გამო, რაც მათ პირად ინტერესებს შეეწინააღმდეგებოდა? ადამიანებს, რომლებიც არასდროს დასდგომიან მხარში მათ, ვინც მათთვის სასურველ საზოგადოებაში მარგინალად მიიჩნევა, მიუხედავად მისი სიმართლისა?

ალექსანდრა არეშვილი
გვ.12

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმოხილვა

ახალი თურქეთი

ხელისუფლება, ისევე როგორც 15 ივლისის ღამეს, დღესაც დაჟინებით ამტკიცებს, რომ პუტჩი 1999 წელს აშშ-ში გახიზნული მქადაგებლის ფეტჰულა გიულენის მომხრეებმა მოაწყვეს. ამასვე იმეორებს ამბოხში მონაწილეობის ბრალდებით დაპატიმრებულების ნაწილი, გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებებში, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჩვენებების მისაღებად ხშირ შემთხვევაში სასტიკი მეთოდები გამოიყენეს, რაზეც არაერთი საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაცია საუბრობს. თავად გიულენის წინააღმდეგ უკვე აღძრეს სისხლის სამართლის საქმე და სასამართლომ მას დაუსწრებლად 2000-წლიანი პატიმრობა შეუფარდა.

ლევან ახალაია
გ3.08



ინტერვიუ

ამბოხი, როგორც ყოფნის მარადიული მოდუსი

სოციოლოგები გამოყოფენ საზოგადოებაში ინდივიდთა და ჯგუფთა ადაპტაციის ფორმებს და ერთ-ერთი მათგანია ამბოხი. ეს უკანასკნელი გულისხმობს საზოგადოებაში ღირებულებათა სისტემისა და მათი განმახორციელებელი ნორმების (წესების, კანონების) ტოტალურ (და არა ფასადურ) გადაფასებას. ამით განსხვავდება ამბოხი ე.წ. „რესენტიმენტასგან", რომელიც ღირებულებათა სიტუაციურ რევიზიას მოითხოვს და არა სისტემის შეცვლას. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია ახალი მოდერნული საზოგადოების შექმნის მცდელობის ისტორიაა, რომლის წიაღშიც ჩვენ ვხედავთ, ერთი მხრივ, საბჭოთა სისტემის, ხოლო, მეორე მხრივ, ტრადიციული კულტურის გადაფასებისა და შეცვლის ზიგზაგისებურ მცდელობებს.

ზურაბ ვარდიაშვილი
გ3.16

განათლება

რამდენად ხელმისაწვდომია სკოლამდელი განათლება ქვეყანაში

თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის, თემურ თორდინავას თქმით, 2014 წლის ოქტომბრიდან დღემდე სკოლამდელ აღზრდაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, 5 500-მდე აღსაზრდელისთვის შეიქმნა ხელმისაწვდომი სივრცე, რაც ახალი ბაღების მშენებლობითა და ჯგუფების დამატებით მოხერხდა. მისი თქმით, დღეს თბილისში 164 საჯარო ბაგა-ბაღი მოქმედებს. შემოდგომაზე 3 ბაღის გახსნა იგეგმება, მიმდინარე წელს კი 10 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობაც დაიწყება.

სალომე გორგოძე
გ3.32

მთავარი თემა

ბავშვები სანაპიროდან

ისინი ძირითადად, აჭარის სხვადასხვა სოფლიდან ზღვის სანაპიროზე სამუშაოდ ჩამოსული არასრულწლოვნები არიან. ზოგიერთი მათგანი ისეთი პატარაა, გასაბერი საცურაო კამერების შეკვრიდან მხოლოდ მზისგან გარუჯული ფეხები მოუჩანს.

სოფო აფციაური
გ3.20

ეკონომიკა

სოციალურად დაუცველები უმუშევრობის ჩაკეტილ წრეში

„ჩემი მეუღლე მძიმე ავადმყოფია. 2-ჯერ დაემართა ინსულტი. მეორედ უფრო მძიმედ იყო. სასწრაფომ ერთ-ერთ კლინიკაში წაიყვანა. მაშინ არ იყო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა. საიდან მეშოვა 1000 ლარი მკურნალობისთვის

სოფო გოგიშვილი
გ3.42

გიორგი კეკელიძე
ბებიები, ჩემი ბებიები

ბებიაჩემი, ნათელა, ისე გარდაიცვალა, ავადმყოფობებს არ უჩიოდა ხოლმე. ერთი ეგ იყო, ადრეული ბავშვობიდან მახსოვს, უცებ ჩამოჯდებოდა და გაკვირვებული იტყოდა: „ნენა, რაია, აი?!“ ეს იყო მოხუცებულობა. მოხუცებულობით გაკვირვება. ადამიანი ვერასდროს ვერ გაიგებს ბებერ სხეულს, რადგან ახალგაზრდად არის დაბადებული.

ლევან ბერძენიშვილი
ვიზუალიზებული ლიტერატურა

კლასიკის უამრავი ეკრანიზაცია არსებობს, რომელიც სერიოზულ გადასინჯვას საჭიროებს. მათ შორის არის ისეთი შედევრები, როგორებიცაა პიერ პაოლო პაზოლინის „მედეა“ და „ოიდიპოსი“. საინტერესოა, რას იტყოდნენ სოფოკლე და ევრიპიდე, ეს ფილმები რომ ენახათ.

გიო ახვლედიანი
საყვარელი სტადიონის სურათები

ისე მოხდა, რომ ყოველგვარი რეპორტაჟის დაწერის სურვილის გარეშე აღმოვჩნდი ერთ-ერთ მონატრებულ ადგილას, აწ ეროვნულის სახელით ცნობილ დინამოს სტადიონზე, სადაც სკამები იმგვარი ფერადოვნებითაა დამონტაჟებული, რომ სტადიონი თუნდ ცარიელი იყოს, მაყურებელი მაინც იფიქრებს, იქ ვიღაც ზისო.

> მუზეუმის საგამოფენო სივრცე ძველ, უკვე წლების განმავლობაში „გახევებულ“ და ლამის ოთახებთან შეზრდილ ექსპონატებთან ერთად, საგანგებოდ გვეპატიჟებოდა თავისთან.

დავით ბუხრიკიძე
მარილი, ნახშირი და კანი

ზაფხულის ბოლო საღამოს, 31 აგვისტოს, აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის „კლასიკური“ ნესტის სუნით გამორჩეულ და აბრეშუმის ქსოვილებით გადატენილ დარბაზებსა თუ ბიბლიოთეკაში უჩვეულო რამ ხდებოდა: სამი პერფორმერი, რომელთაც პირობითად არტისტებიც შეგვიძლია ვუწოდოთ, მუზეუმის სხვადასხვა დარბაზში გაცოცხლებულ სკულპტურებად იქცნენ.

ბლოგი

სანდრო ნავერიანი
ღამის მატარებელი

მატარებელი ერთადერთი ტრანსპორტია, რომლით მგზავრობისაც არ მეშინია და ხო, ბავშვობიდანაც ძალიან მიყვარდა. როგორც მგზავრობა, ისე მთლიანად კონსტრუქცია, მისი ხმა, სუნი, რომელიც სადგურზე დგას, გზა, რომელსაც ღამით გადის, სოფლები, რომელთაც ჩაუვლის

ქართული
ბიბლიოთეკა



შეიძინეთ
„ლიბერალის ბიბლიოთეკის“
მეორე წიგნი



"ქართული ოცნების" ძირითადი მიღწევები:

დემოკრატიული განვითარება

1 2012 წლიდან საქართველოში დემოკრატიის ხარისხი და ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა თვისებრივად გაუმჯობესდა: 2012 წელს საქართველო 24 000 პატიმრით ევროპაში პირველ ადგილზე იყო. დღეისათვის ეს მაჩვენებელი ორნახევარჯერ, ანუ 9 700 პატიმრამდე შემცირდა. 12-ჯერ შემცირდა პატიმრების სიკვდილიანობა და წელიწადში 140-ის ნაცვლად 12 შეადგინა. აღიკვეთა პატიმრების წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკა: 2012 წლიდან დღემდე ციხის ადმინისტრაციის მიერ პატიმრის წამების ან არაადამიანური მოპყრობის არც ერთი პრეცედენტი არ ყოფილა;

2 ციხეების გადავსების, „ნულოვანი ტოლერანტობის" პოლიტიკის, ქუჩაში ადამიანების დახვრეტისა და ხელისუფლების ტოტალური თვითნებობის პრაქტიკის აღკვეთის ფონზე, ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება სტაბილურია. ამის დასტურია ის, რომ 2012 წლიდან დღემდე მკვლელობის, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობისა და სხვა დანაშაულთა სტატისტიკა არ გაზრდილა;

3 2012 წელს აღიკვეთა ბიზნესის მასობრივი რეკეტის პრაქტიკა. დღეს ბიზნესი ხელისუფლების წნეხისგან სრულიად თავისუფალია. 4 წლის განმავლობაში ბიზნესმენზე ზეწოლის პრეცედენტი არ ყოფილა;

4 ქვეყანაში უზრუნველყოფილია მედიის თავისუფლება. თუ 2012 წლამდე სამივე ნაციონალური ტელეარხი ხელისუფლების სრული გავლენის ქვეშ ფუნქციონირებდა, დღეს მედიასივრცე ხელისუფლების კონტროლისგან სრულიად თავისუფალია;

5 სასამართლოების პერსონალური შემადგენლობის არსებითად შენარჩუნების მიუხედავად, სასამართლო გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან;

6 აღიკვეთა ტოტალური თვალთვალის, მოსმენისა და შანტაჟის მახინჯი პრაქტიკა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის" რეჟიმის მთავარ იარაღად იყო ქცეული. დღეს ადამიანებს ხელისუფლებისგან უსამართლო მოპყრობის შიში აღარ აქვთ – სახელმწიფო სიტყვისა და შეკრების თავისუფლებას არალეგიტიმურ ძალადობასა და სისასტიკეს აღარ უპირისპირებს;

7 აღიკვეთა არჩევნების გაყალბების პრაქტიკა. საყოველთაო აღიარებით, 2013 და 2014 წლების არჩევნები დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით გაიმართა. სოციოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საარჩევნო ადმინისტრაციას ენდობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება

„ქართული ოცნების“ წარმატებული საგარეო პოლიტიკის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ქვეყნის ინტეგრაციის ტემპები და მნიშვნელოვნად შემცირდა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური რისკები:

1 წარმატებით დასრულდა ევროკავშირთან მოლაპარაკებები და ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას;

2 ამოქმედდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება;

3 წელს ამოქმედდება ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი, რითაც საქართველოს ყველა მოქალაქე ისარგებლებს;

4 ხელი მოეწერა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას, რითაც საქართველოსთვის ახალი ბაზარი გაიხსნა – 28 ქვეყნითა და 500 მილიონი მომხმარებლით;

5 ღრმავდება თანამშრომლობა საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორთან – ამერიკის შეერთებულ შტატებთან;

6 საქართველო განაგრძობს თანმიმდევრულ სვლას ნატო-ს წევრობისკენ;

7 წინა ხელისუფლების ავანტიურისტული პოლიტიკისგან განსხვავებით, რამაც ქვეყანას უმძიმესი შედეგები მოუტანა, ჩვენი ხელისუფლება პრაგმატულ საგარეო პოლიტიკას ახორციელებს. ამასთან, საქართველო წარმატებით უზრუნველყოფს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის გატარებას;

8 ღრმავდება პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები რეგიონის ყველა ქვეყანასთან;

9 ღრმავდება ეკონომიკური ურთიერთობები ჩინეთთან. გადაიდგა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები „აბრეშუმის გზის“ პროექტის განხორციელების მიმართულებით, რაც საქართველოს უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ ფუნქციას შესძენს.

ეკონომიკური განვითარება

ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით „ქართულ ოცნებას“ ძალზე მძიმე მემკვიდრეობა დახვდა. თუმცა, ამ გარემოებისა და რეგიონში არსებული ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად, ხელისუფლებამ ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა უზრუნველყო. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ საქართველო, ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, რეგიონის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. 2014 წელს საქართველოში, ევროპის მასშტაბით, ეკონომიკური ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. ხელისუფლების ქმედითი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, „მსოფლიო ბანკის“ პროგნოზის შესაბამისად, 2017-2018 წლებში, ევროპასა და ცენტრალურ აზიაში საქართველოს ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა ექნება (უზბეკეთის, თურქმენეთის და ტაჯიკეთის გარდა). ქვეყანამ წინსვლა განიცადა ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა მიმართულებით:

1 დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, საქართველო „საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების“ რიგს შეუერთდა;

2 2013-2015 წლებში, 2008-2012 წლებთან შედარებით, საქართველოში წელიწადში საშუალოდ 33%-ით მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა;

3 2004 წელს საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი 1,9 მილიარდ დოლარს შეადგენდა, 2012 წელს კი ეს მაჩვენებელი 4,8 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. 2015 წლის მდგომარეობით, მთლიანი საგარეო ვალი 200 მილიონი დოლარით არის შემცირებული;

4 საშემოსავლო გადასახადის გადახდის მაჩვენებლების მიხედვით, 2012-2016 წლებში, ადამიანების შემოსავლები 29%-ით გაიზარდა და ეს იმ პირობებში, როდესაც ინფლაცია 10%-ს არ აღემატებოდა;

5 „ქართული ოცნება“ მოსახლეობის დასაქმებაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ პოლიტიკას ახორციელებდა. შედეგად, 2013 წლიდან, დასაქმებულთა რაოდენობა საქართველოში 56 ათასით გაიზარდა. 2012 წლის შემდეგ უმუშევრობის დონე 12%-მდე შემცირდა, მაშინ როცა, წინა ხელისუფლების პირობებში, უმუშევრობა გაიზარდა;

6 „ქართულმა ოცნებამ“ აქცენტი წარმოების განვითარებაზე გააკეთა. მცირე და საშუალო ბიზნესის განსავითარებლად მიზნობრივი პროგრამები განხორციელდა. პროგრამის – „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში 400 მილიონ ლარზე მეტის ინვესტიცია გაიცა და მხარი დაეჭირა 187 საწარმოს;

7 2013-2015 წლებში ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდენობამ 16,8 მილიონი შეადგინა, რაც 2005-2012 წლების რვაწლიან მაჩვენებელს (14,4 მილიონი) აღემატება;

8 2013-2016 წლებში ქვეყნის ენერგეტიკულ სისტემას ჯამში დაემატა 415 მეგავატი დადგმული სიმძლავრის ელექტროსადგურები, მაშინ როცა, 2007-2012 წლებში, განხორციელებული პროექტების ჯამური დადგმული სიმძლავრე მხოლოდ 8 მეგავატი იყო. 2016 წლის ბოლომდე დამატებით 423 მეგავატი ჯამური დადგმული სიმძლავრის ელექტროსადგურების მშენებლობა დასრულდება.

რეკლამა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი თურქეთი

ლევან ახალაია

30 აგვისტოს თურქეთში ეროვნული დღესასწაული – გამარჯვების დღე აღნიშნეს. 1922 წელს, ამ დღეს თურქეთის არმიამ, ქემალ ათათურქის მეთაურობით, ანატოლიის ტერიტორიიდან უცხო ქვეყნის შენაერთები საბოლოოდ განდევნა, რასაც თურქეთის რესპუბლიკის დაარსება მოჰყვა. ამ თარიღს, ტრადიციულად, სამხედრო აღლუმით აღნიშნავენ, თუმცა წელს, ქვეყნის ისტორიაში პირველად, ანკარის ქუჩებში მძიმე ტექნიკა არ გამოუყვანიათ, ავიაშოუც გაუქმდა.

დედაქალაქის ცენტრალურ გამზირზე სამხედროების მსვლელობის დროს უსაფრთხოების ზომები მაქსიმალურად გაამკაცრეს. 15 ივლისის შემდეგ თურქეთში დაძაბულობა არ ცხრება. სამხედრო გადატრიალების რიგით მეხუთე, ამჯერად წარუმატებელი მცდელობის შემდეგ რესპუბლიკა ახალი რეალობისა და გამოწვევების წინაშე დადგა.

ერდოღანის შავი სია

15 ივლისის ღამით დაწყებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა წინა ოთხი პუტჩისაგან განსხვავებული იყო. თურქეთში არასდროს უნახავთ გადატრიალების დროს პარლამენტის შენობის დაბომბვა, არც ამბოხებულ სამხედროებთან დაპირისპირებული პოლიციელები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უიარაღო მოქალაქეები, რომლებიც ტანკების შეჩერებას ცდილობენ.

უნიკალური გამოდგა ამბოხის მონაწილეთა მოტივიც. ყველა სხვა შემთხვევაში სამხედროები პუტჩის საბაბად პოლიტიკოსების მიერ დაშვებულ „შეცდომებს“ ასახელებდნენ და დემოკრატიის სწრაფად აღდგენის პირობას დებდნენ. ასეთი შემთხვევაში თურქების ნაწილი, თუ მხარს არ უჭერდა, „გაგებით ეკიდებოდა“ მეამბოხეებს. ამჯერად კი პუტჩისტე-

ბს როგორც მმართველ წრეებში, ისე ოპოზიციაში მხარდამჭერები, ფაქტობრივად, არ გამოუჩნდნენ.

ამის გამო როგორც დასავლეთში, ისე თავად თურქეთშიც ბევრ დამკვირვებელს უჩნდება კითხვა, ხომ არ იყო სამხედრო გადატრიალება თავად მთავრობის მიერ ინსპირირებული.

ხელისუფლება, ისევე როგორც 15 ივლისის ღამეს, დღესაც დაჟინებით ამტკიცებს, რომ პუტჩი 1999 წელს აშშ-ში გახიზნული მქადაგებლის ფეტჰულა გიულენის მომხრეებმა მოაწყვეს. ამასვე იმეორებს ამბოხში მონაწილეობის ბრალდებით დაპატიმრებულების ნაწილი, გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებებში, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჩვენებების მისაღებად ხშირ შემთხვევაში სასტიკი მეთოდები გამოიყენეს, რაზეც არაერთი საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაცია საუბრობს. თავად გიულენის წინააღმდეგ უკვე აღძრეს სისხლის სამართლის საქმე და სასამართლომ მას დაუსწრებლად 2000-წლიანი პატიმრობა შეუფარდა. პენსილვანიაში მცხოვრები მქადაგებელი პუტჩისტებთან კავშირს უარყოფს. თუ მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების ნახევარი მაინც დამტკიცდება, გიულენი მზადაა, თურქეთში დაბრუნდეს. ფაქტი ჯიუტია, სახელმწიფო გადატრიალების უშედეგო მცდელობიდან 24 საათი არ იყო გასული, როდესაც მთავრობამ სახელმწიფო სტრუქტურებში მასობრივი საკადრო წმენდა დაიწყო. ეს კი ნიშნავს, რომ, სავარაუდოდ, „შავი სია" წინასწარ იყო შედგენილი და შესაბამისი ორგანოები მხოლოდ ბრძანებას ელოდებოდნენ. ორი თვის განმავლობაში თურქეთში დააპატიმრეს 40 ათასი, ხოლო სამსახურიდან დაითხოვეს ან უფლებამოსილება შეუჩერეს 80 ათასზე მეტ სახელმწიფო მოხელეს. მათ შორის იყვნენ სამხედრო მოსამსახურეები, მოსამართლეები, პროკურორები, პროფესორები, პედაგოგები, ექიმები და ფეხბურთის მსაჯებიც კი. თურქეთის ძალოვანი სტრუქტურები ისეთი ცნობილი სპორტსმენებითაც დაინტერესდნენ, როგორიცაა „ბოსფორელ ხარად" წოდებული ფეხბურთელი ჰაკან შუქური, რომლის დაპატიმრების ორდერიც კი გასცეს. ივლისსა და აგვისტოში ფეტჰულა გიულენთან დაკავშირებულ 4 ათასზე მეტ კომპანიას და ორგანიზაციას მმართველები შეუცვალეს ან საერთოდ დახურეს. ცნობილია ისიც, რომ ხელისუფლება მათ გასხვისებას გეგმავს.

მოსახლეობის ნაწილი დღემდე თავს არიდებს იმ სუპერმარკეტებსა და მაღაზიებში შესვლას, რომელთა მფლობელებსაც რაიმე აკავშირებთ მოძრაობა „ჰიზმეთის" ლიდერთან.

მუშაობა შეაჩერა ათობით გამომცემლობამ, საინფორმაციო სააგენტომ, გაზეთმა და სატელევიზიო არხმა. ასზე მეტი ჟურნალისტი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. ბრალდება ყოველთვის ერთია – პუტჩისტების მხარდაჭერა.

თურქეთის ხელისუფლება გიულენის მომხრეებს დღეს არა მხოლოდ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში, არამედ 2013 წელს გეზის პარკში აქციების ორგანიზებასა და 2015 წელს სირიის საზღვრის სიახლოვეს რუსული გამანადგურებლის ჩამოგდებაშიც სდებს ბრალს.

მოვლენების ასეთი განვითარება ხელს აძლევს მთავრობას, რომელიც პრეზიდენტ რეჯეპ ტაიპ ერდოღანის ლამის ყველა ოპონენტს გიულენის მომხრედ და სამშობლოს მოღალატედ აცხადებს.

გიულენის მოძრაობის ბნელი მხარე

სოციოლოგიური კვლევების მიხედვით, თურქეთის მოქალაქეთა თითქმის ორ მესამედს ნამდვილად სჯერა, რომ 15 ივლისს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა ფეტჰულა გიულენის ბრძანებით, მისი მოძრაობის – „ჰიზმეთის" წევრების მოწყობილია. საერთაშორისო ასპარეზზე ის პოზიციონირებს, როგორც „ლიბერალური ისლამის" მიმდევართა გაერთიანება, რომელიც სხვადასხვა რელიგიური ჯგუფის დიალოგს უწყობს ხელს.

1970-იანი წლებიდან მქადაგებელი ფეტჰულა გიულენი თავის სწავლებაში მთავარ აქცენტს განათლებაზე აკეთებს. სწორედ ამის გამო, მოძრაობის წევრებს შორის დღეს უამრავი წარმატებული ბიზნესმენი, იურისტი, მეცნიერი, სახელმწიფო მოხელე თუ ჟურნალისტია. თურქეთის გარდა, გიულენის სწავლების მიმდევრებს შეხვ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

დებით აფრიკაში, ცენტრალურ აზიაში, აშშ-სა და ევროკავშირის სახელმწიფოებშიც. „ჰიზმეთის“ გლობალური ქსელი მოიცავს სკოლებს, საქველმოქმედო ორგანიზაციებს, კომერციულ საწარმოებსა და მედიასაშუალებებს, თუმცა საკმაოდ ბევრ კითხვას ბადებს აღნიშნული მოძრაობის ფინანსური და ადმინისტრაციული სისტემა, რომლის შესახებ ინფორმაცია, ფაქტობრივად, ხელმისაწვდომი არ არის. ამ გაერთიანების ყოფილი წევრების ნაწილი ამტკიცებს, რომ ჰიზმეთის შიდა სტრუქტურა ავტორიტარულია და ხშირად „ბრმა მორჩილებაზე“ დაფუძნებული. ამის შესახებ საუბარია ნიდერლანდების მთავრობის მიერ 2008 წელს წარმოებული გამოძიების ანგარიშშიც. მეტიც, ერთი შეხედვით კეთილშობილური მიზნების მქონე მოძრაობის წევრებს ხშირად ადანაშაულებენ მტკიცებულებების ფაბრიკაციაში, უკანონო მოსმენაში, დეზინფორმაციის გავრცელებაში, იურიდიულ მანიპულაციებსა და შანტაჟში.

სავარაუდოდ, სწორედ ამას უნდა უკავშირდებოდეს ერთ დროს მოკავშირე გიულენისა და რეჯეპ ტაიპ ერდოღანის კონფლიქტი. 2003-2011 წლებში თურქეთში პუტჩის ორგანიზების ბრალდებით არაერთი სამხედრო მაღალჩინოსანი გაასამართლეს. პროკურორები და მოსამართლეები კი გიულენის მოძრაობის წევრები იყვნენ. სასამართლო პროცესებს „ჰიზმეთთან“ დაკავშირებული მედია აშუქებდა. მაშინ დამოუკიდებელი ექსპერტები ამტკიცებდნენ, რომ სამხედროების წინააღმდეგ მტკიცებულებები გაყალბებული იყო. შედეგად დააპატიმრეს ან სამსახურიდან გაათავისუფლეს ასობით ქემალისტი ოფიცერი. მათ ნაცვლად ჯარში გიულენისა და ერდოღანის მომხრეები მიიღეს.

ყველაფერი 2012 წელს შეიცვალა. პოლიციამ და პროკურატურამ უკვე ერდოღანთან დაახლოებული თურქეთის დაზვერვის უფროსის წინააღმდეგ წამოიწყო გამოძიება. ჰაკან ფიდანს „ქურთისტანის მუშათა პარტიასთან“ კავშირში დასდეს ბრალი. ერთ წელიწადში კი თურქეთში ხმაურიანი კორუფციული სკანდალი აგორდა, რომლის ფარგლებშიც ოთხი მინისტრი დააკავეს. გაისმა ბრალდებები ერდოღანის ოჯახის წევრების მისამართითაც. საპასუხოდ თურქეთის პრეზიდენტმა ჩვეულ ხერხს მიმართა. გიულენის მოძრაობის წევრები სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში დაადანაშაულეს და ძალოვან სტრუქტურებში მასობრივი საკადრო წმენდა დაიწყო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. 15 ივლისის პუტჩის მცდელობის შემდეგ ნათელია, რომ, თუ გიულენს მართლაც ჰყავდა მხარდამჭერები თურქეთის მთავრობაში, არმიაში, სასამართლოსა და ძალოვან სტრუქტურებში, მათი გავლენა დღეს მინიმუმამდეა შემცირებული. კარგია ეს, თუ ცუდი, ძნელი სათქმელია, რადგან სასწორის ერთ პინაზე დემოკრატიული ინსტიტუტების მდგრადობა დევს, ხოლო მეორეზე – ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილი ლიდერი, რომელიც ძალაუფლების უკვე თითქმის ყველა ბერკეტს ფლობს. არჩევანი კიდევ უფრო რთული გახდება, თუ გავიხსენებთ ამ რეგიონში არსებულ ვითარებას და იმასაც, რომ თურქეთის მეზობლად უკვე 5 წელია, სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი გრძელდება.

თურქეთის ომი სირიაში

„ევფრატის ფარი“ – ეს იმ ოპერაციის სახელწოდებაა, რომელიც თურქეთის არმიამ სირიის ტერიტორიაზე აგვისტოს ბოლოს წამოიწყო. თავდაპირველად ანკარაში აცხადებდნენ, რომ თურქული ტანკებისა და თურქი სპეცრაზმელების მეზობელ ქვეყანაში ინტერვენციის მთავარი მიზანი საზღვრისპირა ქალაქ ჯარაბლუსის „ისლამური სახელმწიფოსაგან“ გათავისუფლებაა, თუმცა რამდენიმე დღეში ცხადი გახდა, რომ თურქეთის არმია სირიელ ქურთებსაც უტევს და აიძულებს, მდინარე ევფრატის აღმოსავლეთ სანაპიროსკენ დაიხიონ. ანკარაში არც მალავენ, რომ თურქეთის საზღვრის სიახლოვეს ქურთების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების არსებობას არ დაუშვებენ, მაგრამ მთავარი პრობლემა ის არის, რომ ქურთ სირიელებს იარაღით აშშ ამარაგებს და „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ სახმელეთო ბრძოლაში ერთ-ერთ მთავარ მოკავშირედაც მიიჩნევს.

როგორც ჩანს, ჩაშლილი პუტჩის შემდეგ რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა გადაწყვიტა, უფრო აქტიურად ჩაერთოს საგარეო პოლიტიკაში. ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა. ერთ-ერთი ისევ ფეტჰულა გიულენის ფიგურას უკავშირდება, რომლის გადაცემასაც ანკარა ვაშინგტონისგან დაჟინებით მოითხოვს. აშშ-ში გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობენ. ასეთ ვითარებაში პირველი, რაც ერდოღანმა მოიმოქმედა ვლადიმირ პუტინთან შეხვედრა იყო. რუსეთთან ურთიერთობების აღდგენისთვის ნიადაგი ჯერ კიდევ სახელმწიფო გადატრიალების მცდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობამდე იყო მზად და ორივე მხარის ინტერესებში შედიოდა. აღსანიშნავია აგვისტოში თურქეთში ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტიც. ამ დროს თურქეთში ანტიამერიკული განწყობა სულ უფრო თვალსაჩინო ხდება. ბევრი 15 ივლისის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ამერიკელი სამხედროების მონაწილეობაზეც კი ალაპარაკდა. საერთაშორისო მედია პერიოდულად წერს, რომ გერმანელი სამხედროები თურქეთში განლაგებული ინჯირლიკის ავიაბაზის დატოვებისთვის ემზადებიან. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მრავალწლიანი პაუზის შემდეგ თურქეთმა ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინა. ნათელია, რომ ანკარა საგარეო პოლიტიკის ახალ პრიორიტეტებს ეძებს. რამდენად მდგრადი და გრძელვადიანი იქნება ახალი მიმართულებები, რთული სათქმელია. ჯერ მხოლოდ ფრაგმენტული სურათი გვაქვს.

თურქეთთან ურთიერთობის დაძაბვა არც აშშ-ის ხელისუფლებას უნდა აძლევდეს ხელს. ანკარა ვაშინგტონის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორია რეგიონში, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ერთ დროს ასეთი მოკავშირე აშშ-ისთვის ირანიც იყო.

სეკულარული სახელმწიფო საფრთხეშია?

15 ივლისის სახელმწიფო გადატრიალების უშედეგო მცდელობის შემდეგ თურქეთის მთავრობის ნაბიჯები ძალიან ჰგავს ირანში ისლამური რევოლუციის შემდგომ განვითარებულ პროცესებს. მასობრივი საკადრო წმენდა არმიაში, პოლიტიკური პარტიების გაერთიანება ერთი ლიდერის გარშემო, უნივერსიტეტებიდან და სკოლებიდან პროფესორებისა და პედაგოგების გათავისუფლება – ყველაფერი ეს მსოფლიომ 1979 წელს ერთხელ უკვე იხილა. რა თქმა უნდა, არსებობს ბევრი განსხვავებაც. ერდოღანის პარტიამ რამდენჯერმე გაიმარჯვა არჩევნებში; თურქეთში არ მომხდარა სახალხო რევოლუცია; სეკულარული სახელმწიფოს ინსტიტუტები დასუსტებულია, თუმცა ჯერ ფუნქციონირებენ, ხოლო რეჯეპ ტაიპ ერდოღანს არ აქვს ხომეინის მსგავსი ავტორიტეტი.

თურქეთი დღეს გზაგასაყარზეა. ერთ მხარეს სტამბოლის სიახლოვეს გახსნილი „მოღალატეების სასაფლაოა“, სადაც პუტჩისტები დაკრძალეს, ხოლო მეორეზე – ბოსფორზე გადებული „15 ივლისს წამებულთა ხიდი“, სადაც ამბოხებულებმა უიარაღო მოქალაქეები დახოცეს. ამ გზის ორივე მხარეს მყოფ მოქალაქეებს თავიანთი სიმართლე აქვთ და მხარდაჭერა სჭირდებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სენტიმენტალური გასეირნება კარტოფილის ამოსაღებად

ალექსანდრა არაშვილი
პოლიტიკური აქტივისტი

„როცა რეალობა საწინააღმდეგოს ამტკიცებს და მათ ძვირად შეძენილ ცოდნას საფუძველს ურყევს, უწევთ თავად რეალობა მოიცილონ თავიდან“

პროლოგი

არის ასეთი რუსული ფილმი – სენტიმენტალური გასეირნება კარტოფილის ამოსაღებად.

ფილმში არაფერი ხდება. საბჭოთა სტუდენტებს სახელმწიფო ანაწილებს სოფლებში, კოლმეურნეებად, როგორც ხდებოდა ხოლმე, ეგრეთ წოდებულ შრომით სემესტრებში. მათ კარტოფილი უნდა შეაგროვონ. ისინი მუშაობენ, თუმცა ფილმში მეტი დრო ეთმობა ამ შრომის საათებში არეკლილ ემოციურ ცხოვრებას, რომელიც ზუსტად ისეთია, როგორიც შეიძლება იყოს ნებისმიერი ტიპის ყოველდღიურობა, რომელიც რუტინას ესაზღვრება.

მგონი, ამ ფილმში მთავარი სახელია. ყველაფერი, რისი თქმაც მსურს, რუტინასთან მოსაზღვრე, თუმცა სწორედ იმიტომ, რომ მოსაზღვრე – შესაბამისად, მისგან გამიჯნული ემოციური ცხოვრების შედეგად დაგროვილი სათქმელია, ერთგვარი შრომის ანარეკლი, რომელსაც თხრობას ვერ დაუქვემდებარებ, თუ ის მხატვრულ ნარატივად არ იქცა.

თუმცა სახელი შეგიძლია დაარქვა, ან გადაიღო შრომა და მასთან მოსაზღვრე დასვენების საათები, რაც ყველაფერს თავისით იტყვის, ენის გარეშე. სწორედ ამიტომ გვხვდება სათაურში სიტყვა „სენტიმენტალური“.

ის, რისი დაწერაც მსურდა, დაახლოებით მსგავსი პროექციის მატარებელია გრძნობად ობიექტურ დონეზე. ჩვენ ახლა საჯარო სივრცეში ვართ და ავტორს აკადემიურობის ელემენტალური სტანდარტები მოეთხოვება, რომელიც ენის მიღმა ტოვებს შრომასთან მოსაზღვრე ელემენტებს, რაც, უბრალოდ, გასეირნებას, სენტიმენტალურ გასეირნებად აქცევს.

საიდან ჩნდება პოლიტიკური ბრძოლის ველზე „გულწრფელობა“ და „სისუფთავე“? იქიდან, საიდანაც სიმართლე ერთია? თუ იქიდან, საიდანაც პოლიტიკური ბრძოლის მექანიზმებს ლიბერალური სისპეტაკე ითვისებს? ხალხი, რომელიც რევოლუციას ახდენდა, მეფეს ჰკვეთდა თავს. სიმართლე ბევრნაირი იყო, რეალობა – ერთი.

ჩემი აქცენტი ამ ელემენტებზე იქნება დღეს. ვფიქრობ, მათი ანალიზის გარეშე, შეუძლებელია, თავად რუტინა – შრომა გარდავქმნათ, რადგან დასვენების საათები... და ყველაფერი, რაც დასვენების საათებში ხდება, ნამდვილად და უეჭველად სპეციფიკურ ფსიქოსოციალურ არსებად გვაბრუნებს მეორე დღის სამუშაოზე. და მუშაც აღარაა ის მუშა, რომელიც წინა დღეს იყო ან წინა საათში, რომელსაც მომავალ საათთან ვინმესთან გამოლაპარაკება, ან მოსაწევად გამოცხადებული შესვენება შეიძლება აშორებდეს, ან ჩაფიქრება შრომის დროს (თუ შრომა ფიქრია, ჩაფიქრება ამ ფიქრის მიღმა).

ჩემი სათქმელი არის კითხვები, რომლებზეც ზუსტი პასუხების ქონა, ალბათ, შეუძლებელია, იყოს მარტივი. თუმცა რუტინის მიერ კონსტრუირებული რეალობისათვის თვალის გასწორების შემთხვევაში, რაც მოცემულ ვითარებაში ყოველდღიური ბრძოლაა საჯარო სივრცეში, ანუ შრომა და მასთან მოსაზღვრე ყოველდღიურობის მეთოდური (დიალექტიკური) ანალიზის მეშვეობით (დასვენების საათები), ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ვფიქრობ, შესაძლებელია სწორედ იმ მეთოდით, რასაც სწორი სახელდება ჰქვია; რაც აღნიშნულს აღმნიშვნელს უმატებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო: ალეკო ალხაზიშვილი

კომპოზიცია

ყველას, ვისაც სჯერა ერთად ბრძოლის საერთო მიზნებისათვის, რომლებიც არ არის საერთო, ხოლო ცალ-ცალკე არაფორმულირებული და გაურკვეველია.

მაშ რატომ სჯერათ საერთოობის? საიდან იქცა გაურკვეველი – ართქმული, არწარმოთქმული, არშეთანხმებული, არახელმოწერილი აზრი ან ქმედება/აზრთა და ქმედებათა ჯაჭვი (რაც საჭიროებს კრებას და გადაწყვეტას) თავისთავად ნაგულისხმევად, რაც აკონსტრუირებს კრებისა და შესაბამისად, გადაწყვეტის შეუძლებლობას?

იმიტომ რომ გულწრფელები არიან, ან გვაჩვენებენ თავს გულწრფელებად, ან ჰგონიათ თავი გულწრფელები, ამიტომაც ჰგონიათ, რომ ყველა გულწრფელი ერთად უნდა იყოს?

საიდან ჩნდება პოლიტიკური ბრძოლის ველზე „გულწრფელობა“ და „სისუფთავე“? იქიდან, საიდანაც სიმართლე ერთია? თუ იქიდან, საიდანაც პოლიტიკური ბრძოლის მექანიზმებს ლიბერალური სისპეტაკე ითვისებს? ხალხი, რომელიც რევოლუციას ახდენდა, მეფეს ჰკვეთდა თავს. სიმართლე ბევრნაირი იყო, რეალობა – ერთი.

რა განასხვავებს სიმართლესა და რეალობას? სიმართლე რწმენით კონსტრუირდება, რეალობა – ობიექტური პროცესებით? თუ ეს პირიქით არ არის, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ „გულწრფელი რევოლუცია“ იგივეა, რაც რევოლუცია თავის კვეთის გარეშე? მაშინ რა საჭირო იყო სისხლი?

როგორ უნდა იბრძოლონ ადამიანებმა, რომლებსაც ჯერ არც კი შეუბიჯებიათ პოლიტიკური ბრძოლის სივრცეში და უკვე მხოლოდ წმინდა სისხლის პირადი დაპირისპირებებით, ინტრიგნობითა და ვინმეს სოციალური კაპიტალისგან გამოსარჩენი ინვესტიციის ღირებულებით ირჩევენ და იცვლიან პოლიტიკურ და სოციალურ შეხედულებებს, მტრებსა და მეგობრებს? რომელთაც არასდროს არავითარი კომპრომისი არ დაუშვიათ პოლიტიკური შეხედულებების გამო, რაც მათ პირად ინტერესებს შეეწინააღმდეგებოდა? ადამიანებს, რომლებიც არასდროს დასდგომიან მხარში მათ, ვინც მათთვის სასურველ საზოგადოებაში მარგინალად მიიჩნევა, მიუხედავად მისი სიმართლისა?

(მოგების ლოგიკა, რომლითაც კაპიტალის წარმოების წესი მოქმედებს. წარმოების წესი, და არა კაპიტალისტები თვითონ)

როგორ ვენდოთ მათ „გულწრფელობას“? რა არის მათი გულწრფელობა? ვინ აშენებს ამ გულწრფელობის ხატებს, სად იწარმოება ისინი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თქმა უნდა, თუ ემანსიპატორული სულისკვეთება ისტორიულად მაინც შემორჩენილია ჩვენში, ჩვენ არ დავიწყებთ მათ კრიტიკას მორალური არგუმენტებით. მორალური არგუმენტებით, ალბათ, მხოლოდ ის შეიძლება აკრიტიკო, ვინც თავის პირად ინტერესს ბოლომდე აცნობიერებს და შემდეგ ძალადობს. მაგრამ აქ ჩვენი ანალიზი ან კრიტიკა მხოლოდ თანმიმდევრული შეიძლება იყოს – მაგალითად, ავხსნათ ეს პრობლემები დომინანტური ძალაუფლებრივი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული სისტემის ტოტალობის განხორციელებით თანამედროვე ადამიანზე, რომლისთვისაც დიდ პრობლემას წარმოადგენს, პირველ რიგში გააცნობიეროს, ხოლო მეორე მხრივ, შეცვალოს ქცევისა და აზროვნების ასეთი მოდელი.

სწორედ ამგვარ კრიტიკად მიმაჩნია, როდესაც თანამედროვე სოციალურ განზომილებაში, ყოველდღიური ბრძოლისა და აზროვნების დინამიკაში, განსაკუთრებით კი საჯარო სივრცეში – ვინმეს – ლიბერალს უწოდებ. ხოლო მაშინ, როცა ამგვარი კრიტიკა არ აღიქმება როგორც პოტენციური შეთანხმების შესაძლებლობა თანმიმდევრული კამათის საფუძველზე, არამედ აღიქმება, როგორც პირადი თავდასხმა, სადაც სულერთია, რაზე მიდის საუბარი, მთავარია დაიცვა და გაამყარო შენი პოზიცია, ავტომატური პასუხი – სწორედ მორალური და არგუმენტებით ლანძღვაა მათი, ვინც სისტემური არგუმენტებით ცდილობს, აღწეროს რეალობა, თითქოს სტრუქტურული და დიალექტიკური აზროვნება, ამორალური იყოს ლიბერალური დღის წესრიგისათვის – ამორალური, როგორც საფრთხის შემცველი მისი არსებობისა და სრულყოფილი კვლავწარმოებისათვის.

და მაინც, იბრძოლებს თუ არა ზემოთ აღწერილი თვისებებითა და ქცევის პატერნით გაჟღენთილი თანამედროვე ადამიანი მაშინ, როდესაც მისი ბრძოლა არ იქნება პოპულარული? როცა ამას არავინ გააშუქებს? სულ ერთია სად, მედიაში, მეგობრების წრეში თუ არაოფიციალური იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე, რომლისადმი სწრაფვა და იდენტიფიკაციის სურვილი განუყოფელია თანამედროვე ლიბერალი ადამიანისათვის?

და მაინც, იბრძოლებს თუ არა ზემოთ აღწერილი თვისებებითა და ქცევის პატერნით გაჟღენთილი თანამედროვე ადამიანი მაშინ, როდესაც მისი ბრძოლა არ იქნება პოპულარული? როცა ამას არავინ გააშუქებს? სულ ერთია სად, მედიაში, მეგობრების წრეში თუ არაოფიციალური იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე, რომლისადმი სწრაფვა და იდენტიფიკაციის სურვილი განუყოფელია თანამედროვე ლიბერალი ადამიანისათვის? ან თუნდაც, იბრძოლებს თუ არა იგი იმ შემთხვევაში, თუ ამით არავის მოლოდინს არ გაამართლებს, ვის თვალშიც იწრთობა მისი მომავალი ქმედებები? ვინ იქნება შენს გვერდით?

დასკვნა

სპეტაკი ლიბერალი იტყვის, რომ ხალხი, რომელიც სჩადიოდა ამას, ველური იყო და აქ დამთავრდება, თუმცა გილიოტინა ველურთა მმართველებმა შექმნეს.

გულწრფელი აქტივისტიც იმავეს გაიმეორებს, ოღონდ, ჩვენი რეალობის ეკვივალენტებში, სადაც თავის კვეთა შეიძლება, ერთ სტატუსად გადაითარგმნოს სოციალურ ქსელში, თავისი რევოლუციური პოტენციალით.

კონტრშეკითხვა იქნებოდა – საიდან ვადგენთ, რევოლუციური პოტენციალი რომელს აქვსო.

პასუხი N1: რომელიც რევოლუციას მიემართება, როგორც სხვა, წინასგან განსხვავებული, ახალი რეალობის ტრამპლინს და არა, როგორც სხვა სიმართლის/სიმართლეების წარმოების ფაბრიკას.

პასუხი N2: ის, რომელსაც თავის კვეთა მოჰყვება მაშინ, როდესაც ამის საფუძველი სოციალურად და კულტურულად, ლოგიკურად არ არსებობს, თუმცა არსებობს ეკონომიკურად – შესაძლოა, გაცნობიერების გარეშე.

პასუხი N3: შენს გვერდით, არავინ არ იქნება, გარდა იმ ხალხისა, რომელიც იტანჯება იმისგან, რასაც შენ ბრძოლა გამოუცხადე. ამ შემთხვევაში, ეს ხალხი ისტორიული კატეგორიაა და არა ფიზიკური, ამიტომ, შეიძლება არასდროს არავინ დაგიდგეს გვერდით, მაგრამ შენი საქმე უნდა გააგრძელო. სწორედ ეს არის ბრძოლა.

მე რომ ჰარუნ ფაროკი ვიყო, გადავიღებდი იმ უმსხვილეს კაპიტალისტურ საწარმოს, სადაც „გულწრფელობა“ და მისი ხატები იწარმოება – და არა მისი განხორციელების მომენტს, რადგან მხოლოდ წარმოების პროცესის ჩვენებით შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო: ლევან კინწარაშვილი

დავინახოთ, თუ როგორ ქმნის რუტინა ზედმეტ ღირებულებას: ანუ იმას, რაც აზროვნების დიალექტიკურ მეთოდს ამორალურად შერაცხავს მომავალში.

თუმცა მე უცნობი რუსი რეჟისორი ავირჩიე, რომელიც იღებს კარტოფილის ამოღებას და ეს პროცესი, რატომღაც, სენტიმენტალურია. ეს ერთგვარი სიმართლეა – ერთ-ერთი, სიმართლეთა შორის, ხოლო ფაროკი, რეალობას იღებდა. თითქოს რეალობა და სიმართლე/სიმართლეები ისეთივე მოსაზღვრეა, როგორიც შრომა – და – მის მიღმა არსებული ემოციური ცხოვრებაა.

ჩემი მიზანი იყო, მეჩვენებინა განსხვავებანი პირობითად, გულწრფელებსა და ამორალურებს შორის, რომელთაც, გულწრფელების აზრით, საერთო მიზნები აქვთ. ჩემი აზრით, მთავარი აქაც სახელია, როგორც იმ ფილმში. სახელი, ამ შემთხვევაში, შეიძლება იყოს ციტატა:

„ტერმინი რეალიზმი აქ ნახმარია იდეალიზმისადმი დაპირისპირების აზრით. მე ამ აზრით მხოლოდ სიტყვა მატერიალიზმს ვიყენებ, და ეს ტერმინოლოგია მიმაჩნია ერთადერთ სწორ ტერმინოლოგიად, განსაკუთრებით იმიტომ, რომ სიტყვა „რეალიზმი“ შერყვნეს პოზიტივისტებმა და სხვა გზააბნეულებმა, რომელნიც მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის მერყეობენ.“

P.S.

სახელზე შემთხვევით გამახსენდა პირველი თავის სათაური კასტანედას ერთ-ერთი წიგნიდან: „მეომარი იღებს პასუხისმგებლობას თავის ყველა ქმედებასა თუ გადაწყვეტილებაზე“

ვინ იქნება მეომარი დღეს? ის, ვინც იბრძოლებს მაშინაც კი, როცა ამით თავის ინტერესებს დაუპირისპირდება? ის, ვინც დაამარცხებს ლიბერალურ ტოტალობას თავის თავში? ის ვინც ჩაფიქრდება ფიქრისას? ის ვინც იშრომებს შრომისას? ის, ვინც ამორალური და მარგინალური იქნება და მაინც გააგრძელებს საქმეს? ის, ვინც დიალექტიკის კანონებით იხელმძღვანელებს, რათა გაარჩიოს რეალობა ბევრი სხვადასხვა სიმართლისგან? რადგან მეომარი ისაა, ვინც იბრძვის? ხოლო რას შეიძლება ებრძოლო დღეს, თუ არა იმას, რაც აკონსტრუირებს შენს ცნობიერებას? ანუ რეალურ მტერს?

გეკითხებით ყველას, ვისაც გვგონია, რომ მე და თქვენ – საერთო მიზნები გვაქვს. ყველას, ვისაც ჰგონია, რომ აქტივიზმი იმგვარი რამაა, რომ თუ გულწრფელები ვიქნებით, საერთო მიზნები გვექნება: სად იწარმოება ჩვენი მიზნები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო: ლევან სარალიძე

ამბოხი, ხოგორც ყოფნის მარადიული მოდუსი

ინტერვიუ სოციოლოგ იაგო კაჭკაჭიშვილთან

თუ გადავხედავთ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიას, დავინახავთ, რომ ეს ერთგვარი პროტესტების ისტორიაა. ამ პროტესტების ანატომიას, მათ ფორმებს რომ გადავხედოთ, როგორ გვიხატავს ეს ჩვენს საზოგადოებას? რა განცდას ტოვებს ამ კუთხით ქართული საზოგადოება?

სოციოლოგები გამოყოფენ საზოგადოებაში ინდივიდთა და ჯგუფთა ადაპტაციის ფორმებს და ერთ-ერთი მათგანია ამბოხი. ეს უკანასკნელი გულისხმობს საზოგადოებაში ღირებულებათა სისტემისა და მათი განმახორციელებელი ნორმების (წესების, კანონების) ტოტალურ (და არა ფასადურ) გადაფასებას. ამით განსხვავდება ამბოხი ე.წ. „რესენტიმენტასგან", რომელიც ღირებულებათა სიტუაციურ რევიზიას მოითხოვს და არა სისტემის შეცვლას. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორია ახალი მოდერნული საზოგადოების შექმნის მცდელობის ისტორიაა, რომლის წიაღშიც ჩვენ ვხედავთ, ერთი მხრივ, საბჭოთა სისტემის, ხოლო, მეორე მხრივ, ტრადიციული კულტურის გადაფასებისა და შეცვლის ზიგზაგისებურ მცდელობებს. რასაკვირველია, ამ გადაფასების ძირითადი აქცენტი პოლიტიკურია და პროტესტი, ძირითადად, ავტორიტარული რეჟიმების/ხელისუფლებების (როგორც საბჭოთა მემკვიდრეობის) ნგრევას უკავშირდება, როდესაც აქცენტი დასმულია დემოკრატიის პრინციპებზე; თუმცა პროტესტის (შედარებით სუსტი) ტალღა მიმართულია, აგრეთვე, კულტურული ძეგლების ხელყოფის (ბაგრატის ტაძრის ცრუ მოდერნიზაციის, საყდრისის აფეთქების, „პანორამა თბილისით" გამოწვეული დისონანსისა და სხვ), ეკოლოგიური ვანდალიზმის წინააღმდეგ, აგრეთვე, უმცირესობების (ეთნიკურის, სექსუალურის) და მშრომელთა შრომითი უფლებების დასაცავად.

ამბოხის ფორმებს რომ გადავხედოთ, ისინი მრავალფეროვანი და წინააღმდეგობრივია – შეიარაღებული სამოქალაქო დაპირისპირებით დაწყებული და პროტესტის მშვიდობიანი, თუმცა, თვითდესტრუქციული ფორმებით დასრულებული. ფაქტია, რომ საქართველოსთვის მეამბოხე მდგომარეობა თითქოს ყოფნის „მარადიული" მოდუსია, რაც მას უკვე 25 წელია, სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, ტრანზიტული ან ჰიბრიდული ქვეყნის სტატუსს ანიჭებს. პრინციპში, ეს არანორმალური მდგომარეობაა, რომელიც ქვეყანას მუდმივი დაძაბულობის პირო-

3/308

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოქალაქო საზოგადოებას ხშირად საყვედურობენ (განსაკუთრებით, ხელისუფლება), რომ ის არ ამჩნევს კარგს, რაც გაკეთდა და აქცენტირდება ნეგატივზე. ეს არაადეკვატური საყვედურია. სამოქალაქო საზოგადოებამ სწორედ პრობლემები და გაუკეთებელი საქმეები უნდა წამოწიოს წინ და ძუნწად ისაუბროს მიღწევებზე.

ბებში ამყოფებს. საქართველო, როგორც სტაბილური სახელმწიფო, შედგება მაშინ, როდესაც მისი ყოფნის ძირითადი მოდუსი იქნება კონფორმიზმი, ანუ ექნება ღირებულებათა მეტ-ნაკლებად მყარი სკალა და ინსტიტუტები, რომლებიც ამ ღირებულებებს რუტინულად ახორციელებენ.

რა გზით შეუძლია პროტესტს მიზნის მიღწევა? შეგახსენებთ ისეთ გახმაურებულ საპროტესტო კამპანიებს, როგორებიც იყო: მეშახტეების გაფიცვა, დემურ სტურუას თვითმკვლელობის გარშემო აგორებული აქციები, მწვანე მოძრაობების აქტივობა... რატომ ვერ მოიპოვა ამ საპროტესტო ტალღებმა საყოველთაო მხარდაჭერა?

პროტესტს მიზნის მიღწევა შეუძლია მაშინ, როდესაც ის არის რეზონანსული, თანმიმდევრული და, ერთგვარად, „შინაგანი სიმართლის" მატარებელი. თუ ამ კომპონენტებიდან რომელიმე აკლია, მაშინ პროტესტი ეფექტიანი და შედეგის მომტანი არ არის. იმისათვის, რომ თითოეული ეს კომპონენტი გააქტიურდეს, აუცილებელია, პროტესტის შინაარსი შეესაბამებოდეს საზოგადოების (ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის, ვთქვათ, ახალგაზრდობის) ღირებულებათა სისტემას. მწვანე მოძრაობების პროტესტმა იმიტომ ვერ მოიპოვა (ჯერჯერობით) საყოველთაო მხარდაჭერა, რომ საზოგადოებას ჯერ კიდევ არ აქვს გაცნობიერებული ეკოლოგიურად სუფთა გარემოს მნიშვნელობა სასიცოცხლო სივრცისთვის. კარგად მახსოვს, ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის წარმომადგენელი ჰყვებოდა, როგორ გადაწყვიტა მრავალსართულიანი კორპუსის პატარა ეზოში მწვანე საფარის ნაცვლად ბეტონის საფარის გაკეთება, რადგან ბალახიან და ნარგავებიან ეზოს მოვლა დასჭირდებოდა. ყველაზე ცუდი ამ ამბავში ისაა, რომ ამ მშენებელს მხარი კორპუსის ბინების მფლობელებმაც აუბეს. ცოცხალი ხე, ტიპური ქართველის ცნობიერებაში არ არის მართლაც „ცოცხალი", ანუ ინტერაქციის ობიექტი, რომელთანაც ჩაბმული ხარ რეგულარულ კომუნიკაციაში: ეხმარები ზრდა-განვითარებაში, საჭიროების შემთხვევაში, მკურნალობ, იცავ მავნე ზემოქმედებისაგან და ა.შ. მოკლედ, ზრუნავ მასზე. ხეების მიმართ საქართველოში, ძირითადად, მომხმარებლური დამოკიდებულება არსებობს, ამდენად, მისი მოჭრა ან თავიდან მოშორება არანაირ დაბრკოლებას არ წარმოადგენს; სინანულს არ იწვევს. ისეთი გამოთქმა, როგორიცაა, მაგალითად, „საბრალო ხე", საშუალო სტატისტიკური ქართველისთვის მხოლოდ მხატვრული (ანუ ფიქციური) ველის ნაწილია, ხოლო რეალობაში – ოქსიმორონი.

ისე გამოვიდა, რომ საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმის ძირითადი ფორმა საპროტესტო ქმედებებია. რა განაპირობებს ამ ფენომენს?

სამოქალაქო საზოგადოებისა და მისი ორგანიზაციების არსებობის მოდუსი ე.წ. „უცხოს" როლში ყოფნაა. ეს ნიშნავს, რომ მათი ფუნქცია მიმდინარე მოვლენებისთვის კრიტიკული თვალით შეხედვაა. სამოქალაქო საზოგადოებას ხშირად საყვედურობენ (განსაკუთრებით, ხელისუფლება), რომ ის არ ამჩნევს კარგს, რაც გაკეთდა და აქცენტირდება უარყოფითზე. ეს არაადეკვატური საყვედურია. სამოქალაქო საზოგადოებამ სწორედ პრობლემები და გაუკეთებელი საქმეები უნდა წამოწიოს წინ და ძუნწად ისაუბროს მიღწევებზე. ასეთია მისი ინსტიტუციური ფუნქცია. საჯარო პროტესტიც სწორედ პრობლემებზე აქცენტირების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. სამოქალაქო საზოგადოების წევრები ვერასოდეს გახდებიან ხელისუფლების „შინაური" აქტორები, ხელისუფლებას არასოდეს შეიძლება ჰქონდეს არა თუ პოზიტიური, არამედ მკაფიოდ პროგნოზირებადი მოლოდინიც კი, თუ როგორ შეაფასებს მის საქმიანობას სამოქალაქო საზოგადოება. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მოლოდინი გაჩნდა, სამოქალაქო აქტივიზმი ხდება ფსევდოაქტივიზმი და სიმულაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპატაჟი, როგორც პროტესტის რადიკალური, გამომწვევი ფორმა... რომელი შემთხვევები გახსენდებათ ისეთი, როდესაც ეპატაჟმა სასურველ მიზანს მიაღწია, აუდიტორია შეაჯანჯღარა და იმ ფაქტისკენ მიმართა ყურადღება, რაც პერფორმანსის ავტორებმა ჩაიფიქრეს?

ეპატაჟურ ქცევას, რასაკვირველია, შეუძლია „შეაჯანჯღაროს" საზოგადოება, შოკში ჩააგდოს, დააფიქროს იმაზე, რაზეც მანამდე არასოდეს უფიქრია. ხშირად ასეთი ქცევების მიმართ პირველადი რეაქცია მკვეთრად უარყოფითია და თანაგრძნობის ნაცვლად აგრესიას ინვევს, თუმცა მისი საბოლოო ეფექტი შეიძლება პოზიტიური ცვლილებების მომტანი იყოს. გარკვეულ ეპატაჟად შეიძლება მივიჩნიოთ მაგალითად, რუსული წარმოების პროდუქციის ყიდვაზე, ან რუსული მუსიკის მოსმენაზე, რუსულ საუბარზე უარის თქმა, ან თუნდაც, პოლიტიკოსთა ფიტულების დაწვის პერფორმანსი. ასეთი რადიკალური და „დაუვარცხნელი" ქმედებები ბევრში გაღიზიანებას იწვევს, რამდენადაც შესაძლოა კანონდარღვევისა და მორალური დესტრუქციის ზღვარზეც კი აღმოჩნდეს, თუმცა მათ საზოგადოების გამოფხიზლების, „ცივი შხაპის" ფუნქციის შესრულებაც შეუძლიათ, უფრო მნიშვნელოვანი წესრიგისა და მორალური სტანდარტების გადასარჩენად. მახსოვს, გასული საუკუნის 80-იან წლებში, უნივერსიტეტში სწავლისას თანაკურსელმა გოგომ (დღეს ის ცნობილი გამომცემელია) ნულზე გადაიპარსა თავი და ისე შემოაღო აუდიტორიის კარები. ამან შოკში ჩაგვაგდო თანაკურსელებიც და საბჭოთა დროის პროფესურაც, რომელთაგან ზოგიერთი იმდენად ოდიოზური იყო, რომ შარვლიან გოგონებს ლექციიდან აძევებდა. ამ შოკმა თავისი ფუნქცია შეასრულა: მჭახედ შემოგდებულმა გენდერული თანასწორობის ერთ-ერთმა მარკერმა (ქალის მიერ თავის გადაპარსვამ) დაგვაფიქრა პატრიარქალური საზოგადოების დისკრიმინაციულობაზე.

ჩვენ ვნახეთ, როგორ ააფორიაქა მაყურებელი პარტიზანი მებალის, ნატა ფერაძის ეპატაჟურმა რეპლიკამ. როგორ ფიქრობთ, ამან უფრო მეტი ყურადღება მიიქცია საზოგადოებისა მწვანე აქტივიზმისადმი თუ პირიქით, შეგვიძლია ეს შემთხვევა განვიხილოთ ფერაძის შეცდომად, რადგან **კონსერვატიული საზოგადოებისთვის შესაძლოა, მიუღებელი იყოს გამოხატვის ამგვარი ფორმები?**

ნატა ფერაძის ეპატაჟურმა რეპლიკამ ის საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოაქცია. არ ვფიქრობ, რომ ყურადღების მიქცევის ასეთი გზა მისი განზრახვა იყო და მან ეს დაგეგმა. ასეთი საქციელი ნატა ფერაძის სპონტანურ და ემოციურ რეაქციას წარმოადგენდა არაადეკვატურ და უმადურობით გაჟღენთილ შეკითხვაზე, თუ რას აკეთებდა ის წინა ხელისუფლების მმართველობის წლებში. ვფიქრობ, ბევრი მათგანი, ვინც ნატა ფერაძის სკაბრეზულმა გამონათქვამმა გააღიზიანა და ვინც ეს სამოქალაქო აქტივისტი სწორედ ამ გამონათქვამით გაიცნო, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ყურადღებას „პარტიზანი მებაღეების" მიერ გაკეთებულ საშვილიშვილო საქმეებზე გადაიტანს და დააფასებს მათ მიერ მოტანილ სიკეთეებს. ჩვენ ბევრი უცენზურო გამონათქვამი მოგვისმენია საჯარო და წარჩინებული პირებისგან, ან, პირიქით, დახვეწილი რიტორიკა, როდესაც ამ რიტორიკის მიღმა, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ფუყე პრაქტიკა, უარეს შემთხვევაში კი, მავნე ცხოვრებისეული გამოცდილება იმალება. მე არ ვუწონებ ნატა ფერაძეს „ვორდინგს", თუმცა, ეს მედლის ერთი მხარეა, რომელიც სრულიად იჩრდილება მეორე მხარით, რასაც მტვრით, გამონაბოლქვითა და ბეტონის ჯუნგლებით სავსე ჩვენს ქალაქში ჟანგბადის, ე.ი. სიცოცხლის შენარჩუნებისთვის უკომპრომისო ბრძოლა ჰქვია.

ვფიქრობ, ბევრი მათგანი, ვინც ნატა ფერაძის სკაბრეზულმა გამონათქვამმა გააღიზიანა და ვინც ეს სამოქალაქო აქტივისტი სწორედ ამ გამონათქვამით გაიცნო, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ყურადღებას „პარტიზანი მებაღეების" მიერ გაკეთებულ საშვილიშვილო საქმეებზე გადაიტანს და დააფასებს მათ მიერ მოტანილ სიკეთეებს.

ესაუბრა ზურაბ ვარდიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვები სანაპიროდან

ავტორი, ფოტო: სოფო აფციაური

ზღვის სანაპიროზე მწოლიარე დამსვენებლებსა და ტურისტებს შორის მიიკვლევენ გზას – აბა ცხელი სიმინდი, კუკურუზა, ცივი კოკა-კოლა, პივა, კოფეეე... დილიდან საღამომდე მზეში, მძიმეწონიანი ჩანთებით გადაადგილდებიან, რომ საღამოს სახლში ყოველდღიური სახარჯო ფულით ოჯახს დაეხმარონ. ისინი ძირითადად, აჭარის სხვადასხვა სოფლიდან ზღვის სანაპიროზე სამუშაოდ ჩამოსული არასრულწლოვნები არიან. ზოგიერთი მათგანი ისეთი პატარაა, გასაბერი საცურაო კამერების შეკვრიდან მხოლოდ მზისგან გარუჯული ფეხები მოუჩანს.

დღის 2 საათზე, როდესაც დამსვენებლების უმეტესობა ზღვის სანაპიროს მცხუნვარე მზეს გაურბის და სახლებში დასასვენებლად მიდის, 11 წლის გიგა და 9 წლის გიორგი ქობულეთში, სანაპიროს ხიდზე მოწყობილი რესტორნის ქვემოთ ჩრდილში ისვენებენ. სახლიდან წამოღებული მშრალი საკვები იქვე, ქვებზე გაფენილ პოლიეთილენზე იშლება. სადილის დროა. გიგა და გიორგი ძმები არიან. ბობოყვათიდან.

გიგა ქობულეთში ცივ სასმელებს: წვენს, ლუდს, კოკა-კოლასა და წყალს უკვე მესამე წელია, ყიდის. 9 წლის გიორგის კი სანაპიროზე ვაჭრობა ახალი დაწყებული აქვს. ბობოყვათში ბებიასა და ბაბუასთან ერთად ცხოვრობენ. ისინიც სანაპიროზე სიმინდს ყიდიან. მშო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგა ქობულეთში ცივ სასმელებს: წვენს, ლუდს, კოკა-კოლასა და წყალს უკვე მესამე წელია, ყიდის. 9 წლის გიორგის კი სანაპიროზე ვაჭრობა ახალი დაწყებული აქვს. ბობოყვათში ბებიასა და ბაბუასთან ერთად ცხოვრობენ. ისინიც სანაპიროზე სიმინდს ყიდიან. მშობლები ზაფხულობით თურქეთში სეზონურ სამუშაოებზე დადიან. გიორგისა და გიგას დღეში დაახლოებით 15-20 ლარი რჩებათ, ამინდს გააჩნია.

ბლები ზაფხულობით თურქეთში სეზონურ სამუშაოებზე დადიან. გიორგისა და გიგას დღეში დაახლოებით 15-20 ლარი რჩებათ, ამინდს გააჩნია.

ოჯახების დასახმარებლად არიან შავი ზღვის სანაპიროზე გამოსულები გიორგის და გიგას მეგობრებიც, რომლებიც ყოველდღიურად, შაბათ-კვირის ჩათვლით, მზიან ამინდში, დილის 9-დან საღამოს 8 საათამდე მუშაობენ.

მერაბი ოჩხამურიდანაა. 14 წლის. დედას ჯანმრთელობის პრობლემები აქვს, ხილის კრეფის დროს ხიდან ჩამოვარდა და ნერვის დაზიანების გამო, მუშაობა აღარ შეუძლია. მამა სეზონურად, მშენებლობაზეა. მერაბი უკვე მეორე წელია, სკოლის დამთავრებისთანავე ჯერ თურქეთში ხილის საკრეფად დადის, ივლისსა და აგვისტოში კი საცურაო გასაბერ კამერებს ქობულეთის სანაპიროზე ყიდის. ამბობს, რომ ხანდახან თურქეთში ხილის კრეფის დრო სკოლის სემესტრის ბოლო პერიოდს ემთხვევა, ამიტომ მასწავლებლებს ორი კვირით ეთხოვება ხოლმე. თურქეთის სხვადასხვა ქალაქში ის და თავისი მეგობრები მანდარინს, თხილს, მუშმულას, ბალსა და ტყემალს კრეფენ. გამომუშავებული ფულით მერაბი სასკოლო ნივთებსა და ტანსაცმელს ყიდულობს: „ფეხბურთზე დავდივარ და ზაფხულის ნამუშევრით რამდენიმე თვე გადასახადს მე თვითონ ვიხდი“.

„ამხელა ბიჭი ვარ და მშობლებს ფულს როგორ ვთხოვ“, – მეუბნება 17 წლის ცეზარი, რომელიც ქობულეთში უკვე ექვსი წელია მუშაობს. ის სანაპიროზე მომუშავე არასრულწლოვნებს შორის ყველაზე დიდია. ამბობს, რომ გამომუშავებულ ფულს ოჯახისთვისაც ხარჯავს: „დედას და მამას ბანკში კრედიტები აქვთ“.

ქობულეთის გარეუბანში სპეციალური საწყობია. ბიჭებს ყოველ დილით იქიდან გასაბერი საცურაო კამერები გამოაქვთ. საწყობის მეპატრონე მათი უფროსია, რომელსაც ბავშვები ერთ კამერაში რვა ლარს უხდიან, მომატებული თანხა კი მათ რჩებათ. არის დღეები, როცა სახლში მხოლოდ 10 ლარით ბრუნდებიან. ხანდახან უმართლებთ და 40 ლარიც შეიძლება გამოიმუშაონ. სანაპიროს ზოლზე კამერები სხვადასხვა ფასად იყიდება: „ჭყონიას სასტუმროს წინ თუ გაგვაჩერეს, შეიძლება ერთი კამერა 30 ლარადაც გავყიდოთ, გააჩნია დამსვენებლის ფინანსურ შესაძლებლობას“, – ამბობს ცეზარი.

შესვენებაზე ბიჭებისგან მოშორებით ზის მეცხრეკლასელი ლევანი. ჩაქველია. უნდა, რომ მეზღვაური გამოვიდეს, მანამდე კი ყოველ ზაფხულს დამსვენებლებს ცივ სასმელებს სთავაზობს. და ბათუმში სამკერვალოში მუშაობს, ძმა – მშენებლობაზე. მშობლები უმუშევრები არიან. ამიტომ შვილების გამომუშავებული ფული ოჯახისთვის მნიშვნელოვანია. ლევანს დღეში დაახლოებით 10 ლარი რჩება: „არაა საკმარისი, საკვებზე თუ გვყოფნის მხოლოდ, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს“.

ბავშვები არა მხოლოდ ქობულეთში, თითქმის ყველა ზღვისპირა, საკურორტო ქალაქში მუშაობენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შრომის კოდექსი არასრულწლოვანთა შრომას არეგულირებს და კანონით არის განსაზღვრული შრომის მინიმალური ასაკი და ქმედუნარიანობა, საქართველოში არასრულწლოვანთა შრომა, მათ შორის სანაპიროზე, ფაქტობრივად, უგულებელყოფილია. თუმცა იქამდე კანონში არსებულ ხარვეზებზე საუბრობს არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“(EMC) იურისტი ლელა გვიშიანი. მისი განმარტებით, ჩვენი კანონმდებლობა სრულად ვერ არეგულირებს ბავშვთა შრომას: „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შრომით ქმედუნარიანობას კანონი სრულწლოვანებაზე დაბალ ასაკს 16 წელს უკავშირებს. 16 წლის პირს უკვე შეუძლია, დაიწყოს მუშაობა და დამსაქმებელთან ხელშეკრულება გააფორმოს“.

კანონით, 16 წელს ქვემოთ არასრულწლოვნების შრომა ორ ნაწილად იყოფა. ერთი ნაწილი შრომითი ურთიერთობის დროს ითვალისწინებს კანონიერი წარმომადგენლის (მშობლის ან მზრუნველობითი ორგანოს) აზრს, მეორე მხრივ კი, აკრძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლულია გარკვეული შრომის გაწევა. 16 წლამდე შრომითი ხელშეკრულების დადება დასაშვებია, თუ ის საფრთხეს არ უქმნის ბავშვის ფიზიკურ, ზნეობრივ მდგომარეობასა და საბაზისო განათლების მიღების უფლებას.

რაც შეეხება 14 წლამდე შრომას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობა მეტად კონკრეტულია და ამბობს, რომ 14 წლამდე ბავშვისთვის აკრძალულია ნებისმიერი სახის შრომა, გარდა სპორტული, კულტურული და სარეკლამო საქმიანობისა:

„ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 14 წლამდე ბავშვებისთვის, რომლებიც, მაგალითად, ზღვის სანაპიროზე მუშაობენ დილიდან საღამომდე, აკრძალულია მსგავსი შრომის გაწევა, არ აქვს მნიშვნელობა, ეს ოჯახის თანხმობით ხდება თუ არა. არასრულწლოვნების უფლების დაცვა ევალება მშობელს ან სოციალური მომსახურების სააგენტოს. ამიტომ, თუ მშობელი ვერ იაზრებს, რომ 14 წლის ბავშვისთვის მსგავსი შრომა შესაძლოა, მის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს და საფრთხეს უქმნიდეს მის ფიზიკურ ან მორალურ განვითარებას, აუცილებელია მზრუნველობითი ორგანოების ჩართვა“, – ამბობს EMC-ის იურისტი, ლელა გვიშიანი.

მიუხედავად საქართველოში არასრულწლოვანთა შრომის კუთხით კანონით განსაზღვრული რეგულაციების არსებობისა, ქვეყანაში არ გვაქვს სტატისტიკა, რომელიც დაგვანახებს, რამდენი ბავშვი ეწევა მძიმე შრომას. ცხადია, უცნობია ისიც, რამდენი ბავშვი მუშაობს ზღვის სანაპიროზე, მათ შორის, 14 წელს ქვემოთ ასაკის არასრულწლოვანი. სტატისტიკის არარსებობის გამო, ფაქტობრივად, შეუძლებელია ამ საკითხზე კვლევების მოძიება, ბავშვების შრომის ბაზარზე გასვლის მიზეზებსა და შედეგებზე საუბარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესვენებაზე ბიჭებისგან მოშორებით ზის მეცხრეკლასელი ლევანი. ჩაქველია. უნდა, რომ მეზღვაური გამოვიდეს, მანამდე კი ყოველ ზაფხულს დამსვენებლებს ცივ სასმელებს სთავაზობს. და ბათუმში სამკერვალოში მუშაობს, ძმა – მშენებლობაზე. მშობლები უმუშევრები არიან. ამიტომ შვილების გამომუშავებული ფული ოჯახისთვის მნიშვნელოვანია. ლევანს დღეში დაახლოებით 10 ლარი რჩება: „არაა საკმარისი, საკვებზე თუ გვყოფნის მხოლოდ, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს“.

ერთადერთი, რაც ახლო მომავალში იგეგმება, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ 5-დან 15 წლამდე შინამეურნეობებში დასაქმებული ბავშვების აღწერაა. დეპარტამენტი ამ დროისთვის სწავლობს 7700 შინამეურნეობაში დასაქმებული არასრულწლოვნების რაოდენობას. ჯანდაცვის სამინისტროს შრომის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ელზა ჯგერენაია ამბობს, რომ დეპარტამენტი ელოდება საქსტატის მონაცემებს, რის შემდეგაც გადაწყდება, საჭიროა თუ არა ამ კუთხით სამოქმედო გეგმის შექმნა. ამავე გეგმაში მოხვდება სეზონურ სამუშაოებზე დასაქმებული არასრულწლოვნების საკითხიც.

„წინასწარი ინფორმაციით, ამ მხრივ, საგანგაშო მდგომარეობა არ გვაქვს. ბავშვთა შინა მეურნეობებში დასაქმების კუთხით მიმდინარე საველე პირობებში მძიმე სურათი არ იკვეთება და ამას სისტემური ხასიათი არ აქვს, თუმცა სტატისტიკის გამოქვეყნების შემდეგ გადაწყდება, საჭიროა თუ არა ამ მხრივ სამოქმედო გეგმის შემუშავება. გეგმის მიზანი იქნება ბავშვებისა და მშობლების ცნობიერების ამაღლება, იგეგმება საგანმანათლებლო სახის აქტივობები“, – ამბობს ელზა ჯგერენაია.

რაც შეეხება კონკრეტულად ზღვის სანაპიროზე დასაქმებული არასრულწლოვნების საკითხს, შრომის დეპარტამენტის ხელმძღვანელი განმარტავს, რომ ეს ბავშვები მშობლების ნებართვით მუშაობენ. ისინი არ არიან დამსაქმებელთან ოფიციალურად შრომით ურთიერთობაში. ამასთან ერთად, ეს დრო არ ემთხვევა საგანმანათლებლო პროცესს. შესაბამისად, საკითხის რეგულაციებში მოქცევა რთულია.

არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“(PHR) იურისტი, ანა არგანაშვილი სახელმწიფოს გარდა, პასუხისმგებლობას მშობლებსაც აკისრებს და ამბობს, რომ ხშირად, მშობელი ვერ აცნობიერებს, თუ რაში მდგომარეობს ბავშვის ინტერესი და ამიტომ არღვევს მას: „მშობლად ყოფნა იმის გარანტი არაა, რომ ბავშვის უფლებები და ინტერესები იმთავითვე გააზრებული აქვს ადამიანს. ხშირად, პირიქით, ამ ბიოლოგიური მოცემულობის გამო, ადამიანი რაციონალურ შეკითხვებს აღარ სვამს თავისი ქცევის მიმართ, რითაც აზიანებს ბავშვის ინტერესს“.

რაც შეხება ამ კონკრეტულ შემთხვევას, არგანაშვილი ამბობს, რომ როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კანონმდებლობით, არასრულწლოვანთა შრომა მავნე და მძიმე პირობებში აკრძალულია და სანაპიროზე სიცხეში მძიმე ტვირთით მუშაობა სწორედ ამ კუთხით უნდა შეფასდეს. „რაც შეეხება ბავშვების არაფორმალურ მუშაობას, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ბოლო წლებია, მკაცრად აკრიტიკებს საქართველოს მთავრობას იმის გამო, რომ საქართველოს შრომის კანონმდებლობა არ იცავს არაფორმალურ ეკონომიკაში დასაქმებული ბავშვების უფლებებს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, შრომის ინსპექციის ფარგლებში მოხდეს ბავშვების მძიმე შრომის პირობების ინსპექტირება, მათ შორის, საოჯახო მეურნეობაში. განისაზღვროს საკანონმდებლო დონეზე „,მძიმე“ და „მსუბუქი“ შრომის ცნება ბავშვებთან მიმართებაში, ასევე დასაშვები მუშაობის საათები, შესვენების დრო და ზედამხედველობის მკაცრი პირობები. დღეს ყველაფერი ეს მოუწესრიგებლად და ქაოტურად მიმდინარეობს, ამიტომ არაერთი ბავშვი მძიმე და განვითარებისთვის შემაფერხებელ შრომით ექსპლუატაციას განიცდის“, – აღნიშნავს არგანაშვილი.

ბავშვების შრომას ბავშვის უფლებების კონვენციაც არეგულირებს: „ბავშვი დაცული უნდა იყოს ეკონომიკური ექსპლუატაციისა და ნებისმიერი ისეთი სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც შეიძლება ემუქრებოდეს მის ჯანმრთელობას და ხელს უშლიდეს განათლების მიღებაში, ან ზიანს აყენებდეს მის ჯანმრთელობას, ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ და სოციალურ განვითარებას.“ კონვენცია ასევე მოითხოვს სახელმწიფოებისაგან, დააწესონ სამუშაოზე მიღების მინიმალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასაკი და განსაზღვრონ პირობები. ბავშვთა შრომა ასევე განისაზღვრება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სპეციალური კონვენციებით, რომელთაც საქართველოც შეუერთდა.

„იუნისეფის" საქართველოს ოფისის კომუნიკაციების პროგრამის ხელმძღვანელის მაია ქურციკიძის აზრით, მნიშვნელოვანია იმის შესწავლა, რა უბიძგებს ამ ბავშვებს, იმუშაონ მსგავს პირობებში. მისივე განმარტებით, საჭიროა, თითოეული ბავშვისა და მისი ოჯახის მდგომარეობის შესწავლა და კონკრეტული რეკომენდაციის შემუშავება თითოეული ოჯახისათვის: „საჭიროა, ვიცოდეთ ბავშვების ასაკი, შრომის ხანგძლივობა, პირობები, რამდენად უშლის (ან თუ უშლის) ეს შრომა ხელს მათი სწავლის პროცესს, თუმცა სანაპიროზე მომუშავე ბავშვები სხვა კატეგორიას განეკუთვნება. ეს არაანაზღაურებადი შრომაა, რომლის საშუალებითაც ბავშვი ოჯახს ეხმარება. ამ ტიპის სამუშაოს ზუსტი განსაზღვრება არ არსებობს. ამ ბავშვების სანაპიროზე გამოსვლის ძირითადი მიზეზი, ალბათ, სიღარიბე და სოციალური გაჭირვებაა. ამიტომაც, მნიშვნელოვანია უფრო ძლიერი და ქმედითი სოციალური დაცვის სისტემის შექმნა, რომელიც დაინახავს სოციალურად გაჭირვებულ ოჯახებს და დაეხმარება მათ. საჭიროა სისტემურ დონეზე ცვლილებები და ოჯახების გაძლიერება, რომ სახელმწიფომ შეძლოს რისკის წინაშე მყოფი ბავშვისა და ოჯახების დროულად იდენტიფიცირება და დახმარება", – განმარტავს მაია ქურციკიძე.

მანამდე კი ზღვის სანაპიროზე მომუშავე არასრულწლოვნები საზაფხულო სეზონის დამთავრებამდე სიცხეში, მძიმე ჩანთებით განაგრძობენ მუშაობას. გიორგი, გიგა და მისი მეგობრები მუშაობის პარალელურად არ ივიწყებენ, რომ ბავშვები არიან და მძიმე სამუშაო დღის შემდეგ გასაგრილებლად ერთად იყრიან თავს და შავი ზღვის ტალღებში იმალებიან.

ერროვნული
ბიბლიოთეკა

ფოტო: სერგო აფციაური

ხეიდეთზე დაჩენილები

თათია ხალიანი

„ზღვა მთელი ჩემი
ცხოვრებაა, ისტორია ჩემი
და ჩემი შვილების...“

სკოლაში ერთადერთი იყო, ვისაც ჯინსის შარვალი ეცვა. მეზღვაურმა ძმამ ესპანეთიდან ჩამოუტანა. ორნაირი, სხვადასხვა ფერის. თანატოლების შეცბუნებული სახეები ახლაც ახსოვს, ეს უცნაური ჩასაცმელი პირველად ნახეს. საბჭოთა კავშირში ადამიანებს ღრმად სჯეროდათ, რომ არ შეიძლებოდა სხვაგან ყოფილიყო საბჭოთა კავშირში წარმოებულ ნივთზე, ტანსაცმელზე, საჭმელზე უკეთესი. ეს ასე რომ არ იყო, მხოლოდ მეზღვაურებმა იცოდნენ. შორეული ნაოსნობიდან თვეებისა და წლების შემდეგ ბრუნდებოდნენ, ჩამოჰქონდათ ნივთები და ამბები სხვა მიწის.

მაშინ სკოლაში დადიოდა, ჯინსი ეცვა და მეზღვაური ძმის ჩამოტანილი ჯადოსნური ამბები დაჰქონდა. არც პორტში შემოსული გემების კივილი აფრთხობდა და არც აღელვებული ზღვის ხმაური.

ეს ბევრი წლის წინ იყო. ახლა ფოთში, ზღვასთან ახლოს, ერთ სახლში ცხოვრობს და მეზღვაურ შვილს ელოდება. კასპიის ზღვაშია გასული. მანამდე, წლების განმავლობაში, ქმარს ელოდებოდა, როდის დაბრუნდებოდა ხმელეთზე. ახლა ქმარი სახლშია.

ეს ბევრი წლის წინ იყო. ახლა ფოთში, ზღვასთან ახლოს, ერთ სახლში ცხოვრობს და მეზღვაურ შვილს ელოდება. კასპიის ზღვაშია გასული. მანამდე, წლების განმავლობაში, ქმარს ელოდებოდა, როდის დაბრუნდებოდა ხმელეთზე. ახლა ქმარი სახლშია.

ზღვაში პირველად 25 წლისა გავიდა. ცოლი და 2 წლის შვილი პირველად დატოვა. მეთევზეთა გემზე 75 ადამიანი იყო. დღეში 25 ტონამდე თევზს იჭერდნენ, ასუფთავებდნენ, ბუნკერებში ყრიდნენ და ხმელეთზე გადასატანად ამზადებდნენ. თვეობით წყალში ყოფნა რთული იყო, საქმე – რუტინული. მატროსობიდან დაიწყო; ახლა ფოთში პატარა გემების კაპიტანია; შორს უკვე აღარ გადის.

წყალთან მუდმივი ბრძოლა, თვითგადარჩენა, შრომა, განსაცდელი – რთულია თქვენთან ამაზე ლაპარაკი, სიტყვებით შეუძლებელია ამის აღწერა და ვერც გაიგებთო, გვეუბნება. არავინ არასოდეს არ ყოფილა სიკვდილთან ამდენჯერ და ასე ახლოს. ეს მეზღვაურების ცოდნაა, მაგრამ წყალს მაინც უცნაური ხიბლი აქვს, მუდმივად მასთან გაბრუნებსო. ამბობს, რომ კაპიტანი, რიგითი მეზღვაური, ეს ყველაფერი ფორმალობაა, რომელსაც მიწაზე აქვს მნიშვნელობა, წყალი ყველას ათანასწორებსო.

ეს მეზღვაურ ზურა წულაიას ამბავია. ადამიანის, რომელმაც ცხოვრების დიდი ნაწილი წყალში გაატარა. ამბობს, ახლა ზღვა დასანახავად მეჯავრებაო. ალბათ, არავის სჯერა.

ხმელეთზე დარჩენილი ოჯახის ამბავი სხვანაირია.

ჩემი მეზღვაური შვილი უფრო მოლაპარაკეაო, ამბობს ლია, ფოტოებსაც იღებს და სხვა ქვეყნების ამბებსაც გვიყვებაო. ახლა რა მიჭირს, ყოველდღე შემიძლია მასთან ლაპარაკი, ეს მაშინ იყო ცუდი დრო, წყალში გასული კაცის ამბავს ვერ გაიგებდიო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა დიდი წარმოებების მუშაობა შეწყდა, ფოთში პერიოდულად ჩნდებოდნენ ადამიანები, რომლებიც გამოცდილ მეზღვაურებს სამუშაოს სთავაზობდნენ. ცუდი დრო იყო, არეულობა, უფულობა, საჭმელიც არ იშოვებოდა, სამუშაო ყველას სჭირდებოდა, ამიტომ უცხო ადამიანებს ენდობოდნენ და ზღვაში მიჰყვებოდნენ.



ფოტო: ალეკო ალექსაშვილი

ერთხელაც გემის გადაყვანა სჭირდებოდათ და კაპიტანს ეძებდნენ. უთხრეს, ორი-სამი თვის საქმეაო. ასე დაიკარგა ლიას ქმარი წყალში. წელიწადზე მეტი გავიდა, არაფერი ისმოდა. ახლობლები, ნათესავები ჩუმად ალაპარაკდნენ იმაზე, რომ დამქირავებელმა მოატყუა; შეიძლება, ცოცხალიც აღარ იყო, ან სხვაგან კარგი ცხოვრება ნახა და ოჯახი მიატოვა. ლია იმედს არ ჰკარგავდა. შვილები სკოლაში დადიოდნენ; თვითონაც სახლს და ქმრის მშობლებს უვლიდა.

შორეული ნათესავის წყალობით, დიდი ხნის შემდეგ, ისევ ლიას ძალისხმევით დაკავშირება მოახერხეს. დაბრუნდა. აღმოჩნდა, რომ დამქირავებელმა „გადააგდო“, არაფერი გადაუხადა. უკან დასაბრუნებელი გზა ძვირი იყო; სახლში ხელცარიელი დაბრუნებაც უჭირდა. ისევ ქართველი მეზღვაური დაეხმარა; სხვა გემზე გადავიდა, თავდაუზოგავად შრომობდა, რომ ცოტა ფული მაინც შეეგროვებინა სახლისთვის. ასე გავიდა წელიწად-ნახევარი. ლია ამბობს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ღრიალი ისმის, ღელავს და ამ დროს ქმარი ზღვაშია გასული, საშინელი განცდაა. ქარიშხლის დროს ტალღებს ხშირად უზარმაზარი ლოდები დასახლებისკენაც გადმოუყრია. ფიქრიც არ მინდა, შტორმის დროს რა ხდება გემებზე. წლების განმავლობაში მესიზმრებოდა, სულ შიშით და ყვირილით წამოვხტებოდი – ზღვა, ზღვა – ასე ახლოსაა“.

* * *

უფროსი შვილი მამას ფოტოსურათებიდან იცნობდა. როცა პირველად ნახა, ზღვიდან დაბრუნებული, გამოაცხადა ეს მამა არ არისო. ყველას ეუბნებოდა, რომ მამამისი ფოტოში ცხოვრობდა. ახლა 11 წლისაა, მამას უფრო ხშირად ხედავს.

თეონას სამი შვილი ჰყავს. ქმარი მეორე შვილის დაბადებისას მასთან არ ყოფილა. ზღვაში იყო გასული. ვერ უკავშირდებოდნენ. იძულებულები გახდნენ, სხვა გემზე დაერეკათ. რაციით ერთი გემიდან მეორე გემზე, რომელსაც სანტა მარია ერქვა, თეონას ქმარს ახარეს, რომ გოგო შეეძინა – მარია. მეზღვაურები ეხუმრებოდნენ, რომ შვილს გემის სახელი დაარქვა. გოგო სამი თვის იყო, როცა გაიცნო.

თეონას ქმარი 12 წელია, მეზღვაურია. გემის კაპიტნის პირველი თანაშემწეა. ბოლო ხანს ოთხ თვეში ერთხელ უწევს წყალში გასვლა. ადრე უფრო დიდი ხნით დადიოდა, ცხრა-ათი თვით, სხვადასხვა ქვეყანაში. ახლა მისი გემი, ძირითადად, მხოლოდ აფრიკაში დაცურავს.

ადრე წერილებს გზავნიდა, დარეკვა რთული იყო. ბათუმიდან თუ ვინმე წავიდოდა გემზე, წერილს ატანდნენ. ახლა კომუნიკაცია მარტივია. ტელეფონი, მეილი. ქმრის სახლში ყველა მეზღვაურია, ძმები, ბიძები. შვილს, ჯერჯერობით, სურვილი არ აქვს და უხარია. თეონა ამბობს, რომ მას მერე, რაც იცის, როგორია მეზღვაურის ცხოვრება, შეუძლებელია, შვილისთვის ეს უნდოდეს, მაგრამ მის გადაწყვეტილებას წინ ვერ აღუდგება.

„ხშირად, როცა ჩემი ქმარი გვწერს, რომ ამდენბალიანი შტორმია ზღვაში, ხმელეთიდან ამას იმდენად ვერ აღვიქვამთ, მაგრამ მერე ვიდეოებსაც გზავნის და ხვდები, რა

მაშინ ბევრი მეზღვაური აღმოჩნდა ამ დღეში. იმ პერიოდში ტელევიზიითაც მუდმივად აცხადებდნენ, რომ გემებს მეკობრეები ესხმოდნენ თავს. ოჯახი ამას უსმენდა და შიში უფრო მძაფრდებოდა. ჩვენ გაგვიმართლაო, ამბობს ლია.

მიწაზე მარტო დარჩენილს ორ შვილთან ერთად ძალიან უჭირდა.

„რთული ხვედრია ძალიან. ცხოვრება მაინც კი მიდის და გაგვაქვს როგორღაც თავი, მაგრამ ოჯახის წევრებს ერთმანეთი სჭირდებათ. ამ დროს ცხოვრებასთან გამკლავება უფრო ადვილია. არჩევანის საშუალება რომ მქონოდა, ვისურვებდი, ყველას მშვიდად გვევლო მიწაზე“.

შვილის მეზღვაურობა არ უნდოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, მასაც მამასავით გული წყლისკენ მიუწევდა. ლიასთვის განსაცდელისა და მუდმივი ლოდინის დრო თავიდან დაიწყო.

„ზღვა აქვეა, სულ მესმის მისი ხმა. როცა ყველანი სახლში ვართ, არ მაწუხებს. როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეონას ქმარი 12 წელია, მეზღვაურია. გემის კაპიტნის პირველი თანაშემწეა. ბოლო ხანს ოთხ თვეში ერთხელ უწევს წყალში გასვლა. ადრე უფრო დიდი ხნით დადიოდა, ცხრა-ათი თვით, სხვადასხვა ქვეყანაში. ახლა მისი გემი, ძირითადად, მხოლოდ აფრიკაში დაცურავს.

რთულია სანახავადაც კი, როგორ ფარავს ნახევარ გემს წყალი. მერე უკვე ძალიან მეშინია".

თეონა 29 წლისაა. სამედიცინო უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული და აჭარა-გურიის რეგიონში სამედიცინო წარმომადგენელია ბავშვთა კვების საკითხებში.

თავიდან რთული იყო, მაგრამ ნელ-ნელა ისწავლა ცხოვრება მუდმივ მოლოდინში. ამბობს, რომ მერე უკვე შვილებთან ერთად დროც მალე გადის, ბევრი საზრუნავია და საფიქრალადაც აღარ გცალია.

* * *

„დაბრუნდეს ერთი და აღარ გავუშვებ" – ყოველ ჯერზე ასე „იმუქრებოდა". ამასობაში ოც წელზე მეტი გავიდა. ქმარი ახლაც ზღვაშია. შვილები დაოჯახდნენ. ყველას თავისი ცხოვრება აქვს, მარინა კი უზარმაზარ სახლში მარტო ცხოვრობს და ისევ ზღვაში გასულ ქმარს ელოდება. 8 თვეა, არ უნახავს.

„მეზღვაურის ცოლობა ჩემი ოცნება იყო, წარმოშობით ქუთაისელი ვარ და ზღვასთან დაკავშირებული ამბები რომანტიკულად მეჩვენებოდა. რეალობა სულ სხვანაირია. რას იზამ, ასეთი ყოფილა ცხოვრება. შემრჩა მარტო ოცნებები."

19 წლის იყო, როცა დაქორწინდა. ქმარს ადრე ხანგრძლივი და შორი ნაოსნობა ჰქონდა. ახლა მხოლოდ შავ ზღვაში დაცურავს. სულ ენატრება.

შვილმაც მეზღვაურობა გადაწყვიტა. საზღვაო აკადემია დაამთავრა და მამის კვალს გაჰყვა.

არ უყვარს, როცა მეზღვაური ქმრისა და შვილის შესახებ ეკითხებიან. სხვებისთვის მეზღვაურობა ზღვის პეიზაჟივით მიმზიდველი ჩანს. ვერავინ მიხვდება, ეს როგორი რთული და ტკივილიანი ცხოვრებაა. მუდმივი შიში წყლიდან ვერდაბრუნების არასდროს გადის. ზღვა მისი მტერია.

შავი ზღვიდან მოსული ყველა ამბავი აშფოთებს. წლების განმავლობაში სულ ესმოდა გემების ჩაძირვის, შტორმის, ქარიშხლებისა და წყალთან ბრძოლის დაუჯერებელი ამბები.

ზღვას სამაგიეროს იმით უხდის, რომ არასდროს ინტერესდება მისით. ეს ჩუმი და უცნაური ბრძოლაა. ერთხელაც წყალს აუცილებლად წაართმევს ქმარს.

* * *

ათი წლის წინ წყლიდან ამბავი მოუვიდა. ქმარი გულის შეტევით გემზე გარდაიცვალა. ატლანტიკის ოკეანეში მცურავი გემი იმ დროს გაფუჭებული იყო; ხმელეთზე დაბრუნება დროულად ვერ მოახერხეს; სიცხეში, გემზე მიცვალებულის შენახვა რთული იყო. აფრიკაში პირველივე შემხვედრ მიწაზე დაკრძალეს. მას შემდეგ წლები ცდილობდა ქმრის გადმოსვენებას, მაგრამ უშედეგოდ. წყალმა ქმარი ისე წაართვა, მისი დატირებაც ვერ შეძლო.

ფოტო: ლონი ავსტრალია

ეთერი ფოთში ცხოვრობს, ორი შვილი და შვილიშვილები ჰყავს.

ქმარი 1977 წლიდან ცურავდა. გემზე ელექტრიკოსად მუშაობდა. მეორე შვილი პირველად 6 თვის ნახა.

90-იან წლებში, როცა ომი იყო და ყველას უჭირდა, ფოთში თევზსაჭერი გემები ზღვაში გადიოდნენ, თევზს იჭერდნენ და ხალხს ეხმარებოდნენ. ამან გადაატანინა ადგილობრივებს გაჭირვება, ლობიომ და „ხამსამო" – ამბობს ეთერი.

მაშინაც და ახლაც ფოთში ოჯახიდან ერთი მაინც ზღვაშია გასული. ყველას თავისი თავგადასავალი აქვს. ეთერის მეუღლე მეკობრეებს არ გადაჰყრია. მაგრამ ჰყვება, რომ მისი მეზობელი რომელ გემზეც იყო, იმ გემს მეკობრეები დაესხნენ თავს. თვეების განმავლობაში მათგან არაფერი ისმოდა, მერე გამოსასყიდისთვის დაუკავშირდნენ ოჯახის წევრებს. საბოლოოდ, როცა გემზე საჭმელი გამოილია, მეკობრეებმა გემი მიატოვეს და მეზღვაურებმაც თავის გადარჩენა შეძლეს.

ქმართან დაკავშირებას რადიოგადამცემით თვეში ერთხელ ახერხებდა.

თითქმის მარტომ გაზარდა შვილები. გოგოები არიან. უხარია, რომ არც ერთი არ გაჰყვა ცოლად მეზღვაურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰამდენად ხელმისაწვდომია სკოლამდელი განათლება

სალომე გორგოძე



საქართველოში, 2015 წლის მონაცემებით, სკოლამდელ აღზრდაში 3-5 წლის ბავშვების 62%-ია ჩართული. გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ წარმოებული კვლევის შედეგები აჩვენებს იმასაც, რომ სისტემა ხელმიუწვდომელია ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისთვის: სიღარიბესა და სოფლად მცხოვრები, ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უმეტესობა სკოლამდელი აღზრდის მიღმა რჩება.

სკოლამდელი განათლების მიღმა

გაეროს ბავშვთა ფონდის სკოლამდელი განათლების სპეციალისტი ანა ჯანელიძე ამბობს, რომ ტენდენცია, ერთი შეხედვით, პოზიტიურია. ბოლო რვა წლის განმავლობაში სკოლამდელ აღზრდაზე ხელმისაწვდომობა ყოველწლიურად მატულობს, თუმცა მხოლოდ საშუალო მონაცემები ქვეყნის მასშტაბით მალავს იმ უთანასწორობას, რაც სისტემაში არსებობს, – „სისტემა ხელმიუწვდომელია განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისათვის, რომლებზეც სახელმწიფო პირველ რიგში უნდა ზრუნავდეს“.

ურბანულ და არაურბანულ დასახლებებში პრობლემას განსხვავებული მიზეზები აქვს. თუკი ქალაქში პრობლემას წარმოადგენს ბაღების მცირე რაოდენობა და არასაკმარისი სივრცე, ახალი ბაღების ასაშენებლად, სოფლად ხშირად ბაღის შენობა გაუქმებულია ან არც არასდროს ყოფილა.

ანა ჯანელიძის განმარტებით, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ქალაქში მცხოვრები ბავშვების (რომლებიც სკოლამდელ განათლებაში არ არიან ჩართულები) 30% ბაღებში თავისუფალი ადგილების არარსებობის გამო რიგს ელოდება, ხოლო სოფელში მცხოვრები ბავშვების სკოლამდელ აღზრდაში ჩაურთველობის მიზეზი 60%-ის შემთხვევაში არის ის, რომ მათ ახლომახლო საბავშვო ბაღი არ არის.

ამ მიმართულებით ყველაზე დეტალური ინფორმაცია სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების შესახებ გვაქვს. 2013 წლის მონაცემებით, მთელ საქართველოში ბავშვების ულარიბეს 20%-ში სკოლამდელ აღზრდაში ჩართულობა თითქმის 45%-ს შეადგენდა, ხოლო ბავშვების უმდიდრესი 20%-სთვის ჩართულობის მაჩვენებელი თითქმის 76% იყო.

■ 2013 წლის მონაცემებით, საქართველოში ბავშვების ულარიბეს 20%-ში სკოლამდელ აღზრდაში ჩართულობა თითქმის 45%-ს შეადგენდა, ხოლო ბავშვების უმდიდრესი 20%-სთვის ჩართულობის მაჩვენებელი თითქმის 76% იყო.

2011 წლიდან თბილისში სკოლამდელ აღზრდაში ჩასართავად მშობლები ბავშვებს წინასწარ არეგისტრირებენ. რეგისტრაცია ელექტრონულად საბავშვო ბაგა-ბაღების სააგენტოს ვებგვერდზე ორ ეტაპად ხორციელდება.

პირველ ეტაპზე რეგისტრირდებიან 100 000-ზე ქვევით სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვები; ჩვილ ბავშვთა სახლის ბენეფიციარები; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები; იმ ოჯახის ბავშვები, რომელთა შვილიც სარგებლობს იმავე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მომსახურებით; 2015 წლის 13-14 ივნისს თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბავშვები.

მეორე ეტაპზე კი ყველა სხვა ბავშვი რეგისტრირდება.

„თუმცა, მიუხედავად ამისა, განსაკუთრებულ სიღარიბეში მცხოვრებ მოსახლეობას შესაძლოა, საერთოდ არ ჰქონდეს ინფორმაცია ამ სერვისის შესახებ. ამიტომ ის რამდენიმე დღე, როცა სოციალურად დაუცველებისთვის არის შესაძლებელი დარეგისტრირება, არასაკმარისია. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, არსებობდეს სპეციალური პროგრამები, რომლის ფარგლებშიც მოხდება საზოგადოების ამ ფენის მობილიზება და სისტემაში ჩართვა“, – ამბობს „საქართველოს პორტიჯის ასოციაციის“ ხელმძღვანელი ნინო ცინცაძე.

ამის მაგალითად კი მოჰყავს ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება, სადაც სკოლამდელი განათლება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი არ არის, სახელმწიფოსთვის პრიორიტეტი განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუ-

ფებია. ე.წ „ნაბიჯ-ნაბიჯ“ პროგრამა უზრუნველყოფს იმას, რომ სოციალური მუშაკები კარდაკარ დადიან, სისტემაში არჩევენ ბავშვებს და იმავდროულად მათ მშობლებთან მუშაობენ.

რაც შეეხება მონაცემებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან დაკავშირებით, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით წარმოებული უახლესი კვლევის – „საზოგადოებრივი მომსახურებებით საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების დონის

რესპონდენტი ასევე ამბობს, რომ მათ დასახლებაში ან უბანში ბაღი არ არის.

რეგიონის ჭრილში კი, ქვემო ქართლისა (62%) და სამცხე-ჯავახეთის (57%) დასახლებათა უმეტესობაში არ არის მუნიციპალური საბავშვო ბაღები. აღსანიშნავია, რომ ასეთ დასახლებათა 38%-ის შემთხვევაში უახლესი მუნიციპალური საბავშვო ბაღი 5 კილომეტრზე უფრო შორ მანძილზე მდებარეობს. ამ მხრივ, არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა აღინიშნა

ანა ჯანელიძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებით სტატისტიკა არ არსებობს, ორგანიზაციის დაკვირვებით, მათ ასევე ნაკლებად მიუწვდებათ ხელი სკოლამდელ აღზრდაზე.

„მხოლოდ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ არის შერჩეული ბაღები, რომლებიც ბოლო რამდენიმე წელია ამ მიმართულებით მუშაობს, მაგრამ ამას არ აქვს

2013 წლის მონაცემებით, მთელს საქართველოში ბავშვების უღარიბეს 20%-ში სკოლამდელ აღზრდაში ჩართულობა თითქმის 45% შეადგენდა, ხოლო ბავშვების უმდიდრესი 20%-სთვის ჩართულობის მაჩვენებელი თითქმის 76% იყო.

კვლევა“ (2015) – შედეგები აჩვენებს, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მუნიციპალური საბავშვო ბაღების ნაკლებობაა.

2013 და 2015 წლების კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტების უმრავლესობა (77%) აცხადებს, რომ მათ დასახლებაში/უბანში მოქმედებს მუნიციპალური ბაღი. ყოველი მეოთხე

რაჭა-ლეჩხუმში/ქვემო სვანეთსა (48%) და აჭარაშიც (39%).

აღსანიშნავია ისიც, რომ დასახლებებსა და უბნებში საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ვითარება 2013 წლის შემდგომ საგრძნობლად გაუარესდა ქვემო ქართლის რეგიონში (19 პროცენტული ერთეულით).

ეროვნული სახე. ამას მოწმობს მოსახლეობის განწყობაც. მაგალითად, რამდენიმე თვის წინ, როცა რეგიონებში ფოკუსჯგუფებს ვატარებდით ,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სკოლამდელ აღზრდაში ჩართულობის თაობაზე, არ იყო დადებითი განწყობა, პირიქით აპროტესტებდნენ კიდეც“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის, თემურ თორდინავას თქმით, 2014 წლის ოქტომბრიდან დღემდე სკოლამდელ აღზრდაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, 5 500-მდე აღსაზრდელისთვის შეიქმნა ხელმისაწვდომი სივრცე, რაც ახალი ბაღების მშენებლობითა და ჯგუფების დამატებით მოხერხდა. მისი თქმით, დღეს თბილისში 164 საჯარო ბაგა-ბაღი მოქმედებს. შემოდგომაზე 3 ბაღის გახსნა იგეგმება, მიმდინარე წელს კი 10 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობაც დაიწყება.

თუმცა, მიუხედავად ამისა, ყოველწლიურად ასეულობით განაცხადი (ბაღში დარეგისტრირების თაობაზე), თავისუფალი ადგილების სიმცირის გამო, ვერ კმაყოფილდება.

თორდინავას თქმით, შარშან, სექტემბრის ბოლოს, 6 500-მდე იყო იმ აღსაზრდელთა რაოდენობა, რომელთა მშობლებმაც განცხადებებით მიმართეს საბავშვო ბაღებს, თუმცა ადგილების შეზღუდული რაოდენობის გამო ვერ დაკმაყოფილდნენ.

თორდინავას თქმით, ამ მხრივ, 2016 წლის მონაცემები სექტემბრის ბოლოსათვის დაზუსტდება.

საყოველთაო თუ მიზნობრივი

ნინო ცინცაძე ყურადღებას სახელმწიფოს პოლიტიკაზე ამახვილებს და აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს ერთიანი, ჩამოყალიბებული და მკაფიო ხედვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს სკოლამდელი აღზრდის პოლიტიკა ქვეყანაში, არ აქვს.

„თუკი ქვეყანა ამბობს, რომ სკოლამდელი განათლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის, მაშინ უნდა თქვას, რა ვადაში მოხდება ეს. დღეს მსოფლიოში ძალიან ცოტაა ისეთი ქვეყანა, სადაც 100%-ით უზრუნველყოფილია სკოლამდელ აღზრდაში ჩართულობა. ამას ბევრი რესურსი სჭირდება. საქართველო არ არის ეკონომიკურად იმდენად ძლიერი ქვეყანა, რომ ეს თქვას და შეასრულოს. შედეგად კი ვიღებთ იმას, რომ ქვეყანაში ბაღი არის ყველასათვის და სახელმწიფო ხარჯავს კვების ფულს იმ ბავშვებისთვის რომელთა მშობლების შემოსავალი ყოველწლიურად ათასობით ლარია. მაშინ, როდესაც ისინი, რომელთაც რეალურად ყველაზე მეტად სჭირდებათ, სისტემის მიღმა არიან დარჩენილები“, – ამბობს ცინცაძე.

„საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკას“ ხელმძღვანელი, გიორგი მესხიძე ალტერნატიული სკოლამდელი განათლების განვითარების შესაძლებლობებზე საუბრობს, რაც, მისი თქმით, სახელმწიფოს ნაკლები დანახარჯით უკეთესი შედეგის მიღწევის შესაძლებლობას მისცემს.

„მაგალითად სოფელში, სადაც 10-12 აღსაზრდელია, საჭირო არ არის ბაღის შენობის აშენება, რაც დიდ ხარჯთან არის დაკავშირებული. ნუ მივუდგებით ამ პრობლემის გადაჭრას სტანდარტული გზებით, მრავალფეროვნება წავახალისოთ. მაგალითად, იმ ბავშვებიდან ერთ-ერთის მშობელი გადაამზადოს სახელმწიფომ, გადაუხადოს ხელფასიც და მან დღეში 2-3 საათი იმუშაოს ბავშვებთან. ნუ წარმოვიდგენთ, რომ სკოლამდელი განათლება ნიშნავს ორსართულიან შენობას, სადაც დილაობით აღმზრდელი ეგებება ბავშვს და დღეში სამჯერადი კვებაა. სკოლამდელი განათლება ეს არის იმ ქმედებებისა და მუშაობის ერთობლიობა, რომელიც ბავშვის განვითარებაზეა ორიენტირებული. საამისოდ დღეში 2-3-საათიანი მუშაობაც საკმარისია.“

გიორგი მესხიძე საჭიროდ მიიჩნევს, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს განათლება, განვითარება და სხვა სერვისები. მაგალითად პოლონეთის პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფო სკოლამდელი აღზრდის 4 საათს აფინანსებს ყველა ბავშვისათვის, განურჩევლად მათი სოციალური თუ ეკონომიკური მდგომარეობისა, დანარჩენ მომსახურებას კი – პრიორიტეტის მიხედვით, მაგალითად, სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებს. მოსახლეობის ის ნაწილი კი, რომელიც სოციალურად დაუცველი არ არის, მომსახურების დამატებითი საათების ხარჯს თავად ანაზღაურებს.

■ თორდინავას თქმით, შარშან, სექტემბრის ბოლოს, 6 500-მდე იყო იმ აღსაზრდელთა რაოდენობა, რომელთა მშობლებმაც განცხადებებით მიმართეს საბავშვო ბაღებს, თუმცა ადგილების შეზღუდული რაოდენობის გამო ვერ დაკმაყოფილდნენ.

სკოლამდელ აღზრდას განსაკუთრებით დადებითი შედეგი აქვს იმ ბავშვებისთვის, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო, არახელსაყრელ პირობებში ვარდებიან, ხელი არ მიუწვდებათ საბავშვო ლიტერატურაზე, სათამაშოებზე, არ ხდება მათი განვითარების სტიმულირება, – ამბობს ანა ჯანელიძე. მისივე განმარტებით, სწორედ ამიტომ ბევრ ქვეყანაში პოლიტიკა ისეა აგებული, რომ პირველ რიგში აკმაყოფილებდეს სწორედ იმ ბავშვებს, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ ეს გარეგანი მხარდაჭერა.

თუმცა ჯანელიძე ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ ხელმისაწვდომობის გაზრდა ერთადერთი მიზანი არ არის, მთავარია ხარისხის გაუმჯობესება, რომელიც ხელმისაწვდომობისგან განსხვავებით, წლების განმავლობაში

პოზიტიურისკენ არ შეცვლილა.

ხარისხიანი სკოლამდელი განათლება სპეციალისტების შეფასებით, ისეთ საკითხებთანაა დაკავშირებული, როგორებიცაა: ჯგუფებში აღმზრდელისა და ბავშვის თანაფარდობა, ასაკობრივად შესაბამისი კურიკულუმი, ენობრივად მდიდარი გარემო, გულისხმიერი ურთიერთობები ბავშვებსა და უფროსებს შორის, თავისუფალი თამაშისა და არჩევნის შესაძლებლობა და აღმზრდელების მაღალი კვალიფიკაცია.

სპეციალისტები აღნიშნავენ იმასაც, რომ თუკი აღმზრდელი პედაგოგი კვალიფიციურია, სხვა მიზნები უფრო ადვილად მიიღწევა.

თუმცა, როგორც კვლევები ცხადყოფს, აღმზრდელების დაბალი კვალიფიკაცია ქვეყანაში სფეროს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და სწრაფად მოსაგვარებელი პრობლემაა.

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ წარმოებული კვლევის თანახმად, 2012 წელს სისტემაში დასაქმებული აღმზრდელების 31%-ს შესაბამისი დარგობრივი პროფესიული ან უმაღლესი განათლება არ ჰქონდათ.

კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონი", რომელიც პარლამენტმა მიმდინარე წლის ივნისში მიიღო, აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადებას ითვალისწინებს.

კანონი ითვალისწინებს როგორც საჯარო, ისე კერძო ბაღებში სასკოლო მზაობის პროგრამას 5 წლის ბავშვებისათვის; ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის მექანიზმის შექმნას; განათლების, ჰიგიენისა და სანიტარიის, კვების, ფიზიკური გარემოს საერთო ეროვნული სტანდარტების შემუშავებას.

აქამდე არ არსებობდა ერთიანი სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ დაარეგულირებდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდის სფეროს. არსებობდა მხოლოდ ჩანაწერი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში (მე-16 მუხლი), რომლის თანახმად, „მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა" მუნიციპალიტეტის ფუნქციაა.

ახალი კანონის იმპლემენტაცია რამდენიმე ეტაპად მოხდება, პირველი ფაზა კი 2017 წლის 1 აპრილს დასრულდება.

კანონით, მკაფიოდ იმიჯნება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილებები და საქართველოს მთავრობის, ცალკეული სამინისტროებისა და მუნიციპალიტეტების კომპეტენციები.

კანონის თანახმად, დღემდე არსებულ სააღმზრდელო დაწესებულებებში განათლების კომპონენტი შედის. დეფინიცია „სკოლამდელი განათლება" აქამდე არც ერთი კანონით არ ყოფილა განსაზღვრული.

შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შეიმუშავებს სკოლამდელი განათლების პოლიტიკასა და სტრატეგიას, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებს; ადგენს აღმზრდელი-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტს; მოამზადებს საგანმანათლებლო და მეთოდოლოგიურ რესურსებს ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით და უზრუნველყოფს ამ რესურსების ხელმისაწვდომობას მუნიციპალიტეტებისთვის; სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტანდარტების განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს მონიტორინგის სისტემას; მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე კი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს მინიციპალიტეტებსა და სკოლამდელ დაწესებულებებს.

სისტემაში მყოფი აღმზრდელები, რომლებსაც დაეკისრებათ საგანმანათლებლო აქტივობების წარმართვა, მიიღებენ აღმზრდელი-პედაგოგის სტატუსს.

„სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ასევე აღმზრდელი-პედაგოგის პროფესიული სტანდარტები გაეროს მოსახლეობის ფონდის დახმარებით უკვე მომზადდა. ამჟამად ეს დოკუმენტები გადამუშავების პროცესშია და ვიმედოვნებთ, სულ მალე დასამტკიცებლად იქნება წარდგენილი, მიუხედავად იმისა, რომ ვადა 2017 წლის აპრილამდე გვაქვს", – ამბობს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ლია გიგაური.

აღმზრდელ-პედაგოგთა ტრენინგ მოდული ამჟამად იწერება. მოდულის დამტკიცების შემდგომ, პირველ რიგში, ამ ტრენინგს გაივლიან ბაღების სააგენტოებისა და დიდკონტინგენტიანი ბაღების მეთოდისტები, რომლებიც, თავიანთ მხრივ, ადგილებზე ყველა სხვა აღმზრდელ-პედაგოგს გადაამზადებენ.

„ჩვენი ხედვაა, რომ პროფესიული განვითარების პროგრამები იყოს პერმანენტული. მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების შესაბამისად, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრი კონკრეტულ პედაგოგ-აღმზრდელების ჯგუფებთანაც იმუშავებს. ტრენინგებს დავიწყებთ საპილოტე რეჟიმში და შემდგომში უკვე სავალდებულო სახეს მიიღებს ყველა აღმზრდელი პედაგოგისა და მეთოდისტისათვის. საპილოტო ტრენინგებში მეთოდისტები სურვილის მიხედვით მიიღებენ მონაწილეობას. პირველ ეტაპზე 200 მეთოდისტის გადამზადებაა დაგეგმილი", – ამბობს ლია გიგაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია გიგაურის თქმით, მომავალში კვალიფიციური აღმზრდელი-პედაგოგებისა და აღმზრდელების მომზადების მიზნით დაგეგმილია, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე შეიქმნას შესაბამისი სასწავლო კურსები და მოდულები. ამ საკითხზე სამინისტროში ახლა მუშაობენ, კონკრეტული ვადები ჯერ ცნობილი არ არის.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ხელმისაწვდომობის გაზრდა, ხარისხის გაზრდის პარალელურად უნდა მოხდეს. სახელმწიფოს პოლიტიკა კი სკოლამდელ აღზრდასთან დაკავშირებთ კონკრეტული და მიზანმიმართული უნდა იყოს, რათა ის მოწყვლადი ჯგუფები, რომლებსაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ, კვლავ სისტემის მიღმა არ აღმოჩნდნენ.

ანა ჯანელიძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებით სტატისტიკა არ არსებობს, ორგანიზაციის დაკვირვებით, მათ ასევე ნაკლებად მიუწვდებათ ხელი სკოლამდელ აღზრდაზე.

მიღებული კანონის მიმართ სპეციალისტები სკეპტიკურად არიან განწყობილნი.

„სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს კონკრეტული მიზანი, კონკრეტული გეგმა და ამ გეგმის შესაბამისი კონკრეტული დაფინანსება. ამის გარეშე, რაც უნდა კანონები ვწეროთ, არაფერი არ შეიცვლება. თავის მხრივ, ცუდი არ არის აღმზრდელი-პედაგოგებისთვის ტრენინგების გამართვა, მაგრამ რა შედეგს მოგვცემს ეს? თუ სახელმწიფომ არ დადო მათი პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, რომელიც სახელფასო დაინტერესებაზე იქნება მიბმული, ეს ტრენინგები არაფერს არ შეცვლის, ხანგრძლივ პერსპექტივაში შედეგის მომტანი არ იქნება“, – ამბობს ნინო ცინცაძე.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ხელმისაწვდომობის გაზრდა, ხარისხის გაზრდის პარალელურად უნდა მოხდეს. სახელმწიფოს პოლიტიკა კი სკოლამდელ აღზრდასთან დაკავშირებით კონკრეტული და მიზანმიმართული უნდა იყოს, რათა ის მოწყვლადი ჯგუფები, რომლებსაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ, კვლავ სისტემის მიღმა არ აღმოჩნდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ღიად დასოვებული ოჰმოები

საფრთხე ჭიათურის სოფლებისთვის

მანონ ბოკუჩავა

ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფლებში, წიაღისეულის გარემოს დაცვის სტანდარტების დარღვევით მოპოვებაზე ჩივიან. „ჯორჯიან მანგანეზის“ კონტრაქტორი კომპანიების მუშაობის შედეგად სოფლებში – რგანსა და თაბაგრებში საცხოვრებელ სახლებთან ახლოს 7-8-მეტრიანი ორმოებია ამოთხრილი. ადგილობრივები გაუთავებელ ხმაურზე, მტვერზე, მძაფრ და შემაწუხებელ სუნზე, დაბინძურებულ სასმელ წყალსა და დაზიანებულ სოფლის გზებზე საუბრობენ. მოითხოვენ მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლებას.

„ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი“ – წერია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლში.

მაგრამ ახლა ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ რგანში საცხოვრებელ სახლებთან ახლოს არსებულ 7-8-მეტრიან შემოულობავ ორმოებს დავყურებთ. ია ცერცვაძე, რომელიც რგანში ცხოვრობს, გვიყვება მადნის მოპოვებისთვის მათ სოფელში ამოთხრილ ათამდე ორმოზე.

„მადნის მოპოვება ქაოსურად ხდება აქაც და მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებშიც. ნებისმიერ ადგილას, სადაც მოუნდებათ, მოვლენ, ამოთხრიან და ორმოებს გვიტოვებენ. არავინ ფიქრობს ნიადაგის აღდგენა-რეკულტივაციაზე. ასეთი ორმო დაგვიტოვეს სოფლის სკოლასთანაც. შიგნით პირუტყვი ცვივა. ორი წელია, აქ ბავშვების თავისუფლად გაშვების გვეშინია. მადნის გატანისას კი ტრანსპორტი არ არის დახურული და ჩვენი სოფლის გზები მარგანეცით ბინძურდება. ეს ყველაფერი ნიადაგში ჩადის, მიწისქვეშა წყლებს ერევა და სასმელ წყალში ხვდება.

უძლურები ვართ „ჯორჯიან მანგანეზის“ კონტრაქტორი კომპანიების წინაშე, რომლებიც მსგავს სამუშაოებს აწარმოებენ“ – გვეუბნება სოფელ რგანში მცხოვრები ია ცერცვაძე.

ეს არაა ამ თემაზე მისი პირველი ინტერვიუ. ადვილად შეგიძლიათ ინტერნეტსივრცეში 3-4 წლის წინ ამავე თემაზე მოსაუბრე ია ცერცვაძის აღმოჩენა. დღესაც იმავეს იმეორებს და ამბობს, რომ წიაღისეულის სტანდარტების დარღვევით მოპოვებამ ადგილობრივებს გულსისხლძარღვთა, კანის და ონკოლოგიური დაავადებები გაუჩინა.

მსგავსი გასაჭირი აქვთ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ თაბაგრებში. აქაც ადგილობრივები ამბობენ, რომ მადანს „ჯორჯიან მანგანეზის“ კონტრაქტორი კომპანიები მოიპოვებენ. შედეგად კი იღებენ 7-მეტრიან ორმოებს სახლების წინ, დაზიანებულ სოფლის გზებს, გოგირდის სუნსა და მტვერს.

პრობლემის მოგვარების იმედი დაკარგული მაქვსო, ამბობს ადგილობრივი ნინო თაბაგარი, მაგრამ საუბარზე მაინც გვთანხმდება.

„ჩემი სახლი, ფაქტობრივად, კუნძულზე დარჩა. აგერ ხედავთ სახლის წინ, 7 მეტრში ამოთხარეს ორმო და ეძებენ მადანს. ვინმე თუ მოვა და მეტყვის, რომ ამის გამო ჩემს სახლს და ადამიანებს არ გვადგება ზიანი, გავჩუმდები, მაგრამ ასეა კი?! ამოდის საშინელი გოგირდის სუნი. სახლის ბზარები კიდევ უფრო გაიზარდა. რემონტს ვგეგმავდით, მაგრამ ახლა გავჩერდით... არავინაა ჩვენი დამცველი!

ეს უბანი სულ დასახლებული იყო და ადამიანები ნელ-ნელა წავიდნენ,“ – გვიყვება ნინო თაბაგარი.

სოფელ თაბაგრებში ამბობენ, რომ წელს მხოლოდ სამი პირველკლასელი ეყოლება მათ სკოლას. მოსახლეობა, თუ სადმე წასასვლელი აქვს, ტოვებს იქაურობას.

არსებულ ვითარებას ართულებს ის გარემოებაც, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა ნაწილი, მატერიალური დაინტერესების გამო, თავის კერძო საკუთრებაში „ჯორჯიან მანგანეზის“ კონტრაქტორ კომპანიებს თავად უშვებს. ამის გამო მეზობლები ზარალდებიან – ხმაური, მტვერი, სოფლის გზების დაზიანება და დიდი რისკი, სასმელ წყალში მავნე ნივთიერების მოხვედრისა.

ასოციაცია „ჭიათურელთა კავშირის“ თავმჯდომარე, შოთა გაფრინდაშვილი ჭიათურის ეკოლოგიურ მდგომარეობას, ეკოგენოციდის მსგავს ვითარებას უწოდებს. ამბობს, რომ „ჯორჯიან მანგანეზი“ წიაღისეულის მოპოვებისას აუცილებელ შემამსუბუქებელ გარემოებებს არ ატარებს. აცხადებს, რომ უმეტეს შემთხვევაში არ ხდება საწარმოს და მისი კონტრაქტორი კომპანიების მიერ გამოყენებული ტერი-

■ მაგრამ ახლა ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ რგანში საცხოვრებელ სახლებთან ახლოს არსებულ 7-8-მეტრიან შემოულობავ ორმოებს დავყურებთ. ია ცერცვაძე, რომელიც რგანში ცხოვრობს, გვიყვება მადნის მოპოვებისთვის მათ სოფელში ამოთხრილ ათამდე ორმოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„როგორც წესი, მიწის მფლობელი პირი ურიგდება მადნის მომპოვებელ ორგანიზაციას, ე.წ. კოოპერატორს, მანგანუმის მადნის მოპოვებაზე. სამუშაო ტერიტორიებიც დგინდება ინდივიდუალურად. ამიტომ ეს საკითხიც ინდივიდუალურად შესასწავლია.

ტორიების აღდგენა, რის გამოც ბინძურდება სასმელი წყალი.

„ეს პრობლემა შედარებით ნაკლებად დგას იმ მოქალაქეების წინაშე, რომლებიც ქალაქში ცხოვრობენ, რადგან იქ სასმელი წყალი იქლორება. ასეთი რამ სოფლებში არ ხდება და, შესაბამისად, წყალში, რომელიც მათ მიეწოდებათ, დაბინძურება აღინიშნება.

ამისი მიზეზი კი რეკულტივაციის გარეშე დატოვებული ორმოებია, საიდანაც მავნე ნივთიერებები ნიადაგში გამავალ დინებებში ირეცხება და სასმელ წყალში ხვდება“ – გვიყვება გაფრინდაშვილი. ამბობს, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო საკითხის მოგვარების მიზნით კანონპროექტზე მუშაობს. „მე ვკითხე ადამიანებს, რომლებიც ამ პროექტზე მუშაობენ, თუ არიან ნამყოფები ჭიათურის სოფლებში და მითხრეს, რომ არა...“

„ჯორჯიან მანგანეზში“ ამბობენ, რომ გამოყენებული ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში ნიადაგის აღდგენა-რეკულტივაციის პროცესი უკვე დასრულებული აქვთ და საუბარი იმაზე, რომ კომპანია, ზოგადად, არ ახდენს რეკულტივაციას, მცდარია.

„კომპანია „ჯორჯიან მანგანეზი“ რეგიონში საქმიანობის დაწყების დღიდან წელიწადში ორჯერ (2013 წლიდან) – გაზაფხულსა და შემოდგომაზე აწარმოებს ბიოლოგიურ რეკულტივაციას იმ ტერიტორიებზე, სადაც დასრულდა მადნის მოპოვებითი სამუშაოები. გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებულ 90 ჰა ტერიტორიაზე, რომლის გეგმაც 10 წელიწადზეა გაწერილი, დღევანდელი მონაცემებით, რეკულტივირებულია 16 ჰა-ზე მეტი ტერიტორია და დარგულია 20 ათასამდე ხის ნერგი, რეკულტივირებული ტერიტორიის ნარგავებით შემდგომი შევსების გათვალისწინებით. რეკულტივაციის პროცესი დასრულებულია მღვიმის მაღაროს ხრამისა და, ნაწილობრივ, პერევისას (ყოფილი სტალინის) მაღაროს ნაფარცების უბნებზე.

დამოუკიდებელი მომპოვებლების (ე.წ. კოოპერატორების) რეგისტრირებული სამუშაო ტერიტორიების კონტურები მოიცავს 40 ჰექტარ სარეკულტივაციო ტერიტორიას, რომლის გეგმა გასულ 2015 წელს გადაეგზავნა გარემოს და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დასამტკიცებლად და ახლაც შეთანხმების პროცესშია. აღნიშნულზე პირველი შენიშვნები და კომენტარები რამდენიმე კვირის წინ მივიღეთ სამინისტროსგან“ – გვწერს საწარმოს საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულების ხელმძღვანელი, ზაქარია ზალიკაშვილი.

ამბობს, რომ რგანსა და თაბაგრებში წიაღისეულის მოპოვების მხრივ არსებული ვითარება „ინდივიდუალურადაა შესასწავლი“.

„როგორც წესი, მიწის მფლობელი პირი ურიგდება მადნის მომპოვებელ ორგანიზაციას, ე.წ. კოოპერატორს, მანგანუმის მადნის მოპოვებაზე. სამუშაო ტერიტორიებიც დგინდება ინდივიდუალურად. ამიტომ ეს საკითხიც ინდივიდუალურად შესასწავლია.

თუ ვინმე ზარალდება „ჯორჯიან მანგანეზის“ მოპოვებითი საქმიანობით, მაშინ ზარალს ადგენს სპეციალური ზარალების შემსწავლელი სამსახური და ახდენს შესაბამის ფინანსურ ან მატერიალურ კომპენსაციას. დღევანდელი მონაცემებით, ჩვენს ორგანიზაციას ამ მიმართულებით დავალიანება არ ერიცხება.

„ჯორჯიან მანგანეზი“ სრულად იღებს პასუხისმგებლობას დამოუკიდებელი მომპოვებელი კომპანიების მადნის მოპოვებით საქმიანობაზე – მათი ლიცენზირებული ტერიტორიების დადგენა-მონიტორინგზე, ასევე – რეკულტივაციის პროცესზე, მას შემდეგ, რაც 40 ჰექტარის რეკულტივაციის გეგმას დაამტკიცებს გარემოს და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. ნაწილობრივ პასუხისმგებელია იმ პირობებზე, რომელიც ასათვისებელი ტერიტორიის მეპატრონესთან ხელშეკრულებაში განისაზღვრა“ – აცხადებს კომპანიის წარმომადგენელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათივე თქმით, ამ დრომდე არც ერთი კვლევით არ მტკიცდება, რომ საწარმოს მუშაობა იწვევს ონკოლოგიურ ან სხვა სახის მასიურ დაავადებებს ადგილობრივ მოსახლეობაში.

გარემოს დაცვის სამინისტროში თემაზე კომენტარს ნელი კორკოტაძე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი აკეთებს.

ჩვენი პირველი შეკითხვა „ჯორჯიან მანგანეზის" მიერ სამინისტროსკენ „ნასროლ ქვას" – ანუ კონტრაქტორი კომპანიების მიერ სამინისტროსთვის გასულ წელს გაგზავნილ რეკულტივაციის (40 ჰექტარის) გეგმას ეხება. საწარმოდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამინისტრომ აღნიშნული გეგმის შენიშვნები მხოლოდ ახლა, რამდენიმე კვირის წინ მიაწოდა.

ნელი კორკოტაძე ამბობს, რომ კონკრეტულად ეს გეგმა არ ახსენდება, თუმცა, სანამ „ჯორჯიან მანგანეზი" აქცენტს ამ საკითხზე გააკეთებს, ისიც გაიხსენოს, რომ ამ დროისთვის რეკულტივაცია არც იმ ტერიტორიებზე უწარმოებიათ, სადაც სამინისტრომ გეგმა დაამტკიცა.

„საქმე ის არის, რომ საწარმოს რეკულტივაციის ვადა კანონით აქვს წიაღის მოპოვების ლიცენზიის ამოწურვამდე. ეს, როგორც მახსოვს, 42 თუ 46 წელია. მიუხედავად ამისა, სამინისტრო კომპანიისგან მოითხოვს რეკულტივაციის კონკრეტული ვადის გაწერას და შემდეგ მონიტორინგს მის დაცვაზე.

არა ერთხელ დააჯარიმეს „ჯორჯიან მანგანეზი" გარემოზე მიყენებული ზიანის გამო როგორც ადმინისტრაციული წესით, ასევე 2015 წელს საქმეში სისხლის სამართლის ნორმების დარღვევის ნიშნების გამო, მასალები საგამოძიებო უწყებაში გავგზავნეთ. საუბარია ამ შემთხვევაში ნიადაგის გამოყენებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დარღვევაზე. კერძოდ, იმ ვალდებულებაზე, რომ წიაღისეულის ძიებამდე უნდა მოხდეს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის (ჰუმუსის) მოხსნა და დასაწყობება – შემდეგ რეკულტივაციაში გამოყენებისთვის" – ამბობს ნელი კორკოტაძე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი.

ამბობს, რომ მას არ აქვს სახელმწიფოს მიერ წარმოებული კვლევა, რომელშიც ჩანს საწარმოს უარყოფითი გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.

კორკოტაძე სფეროში არსებულ პრობლემებზე საუბრისას, რამდენიმე კანონს ასახელებს, რომელთა არაეფექტიანობაც წიაღის მოპოვებაში გარემოს დაცვას ართულებს.

„გადახედვას საჭიროებს კანონი წიაღის მოპოვების შესახებ, აგრეთვე – გარემოზე ზემოქმედების შესახებ, რომელიც არსებული რედაქციით არ ითვალისწინებს ეკონომიკურ ექსპერტიზას. ამ მიმართულებით სამინისტრო უკვე მუშაობს და კანონპროექტი იხვეწება" – დასძენს ნელი კორკოტაძე.

ჭიათურაში წიაღის მოპოვებაზე 2015 წელს კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა (CENN) სოციალურ-ეკონომიკური და გეოეკოლოგიური პრობლემების ანალიზი მოამზადა.

„ჭიათურის მუნიციპალიტეტში მანგანუმის მადნის მოპოვება-გადამუშავების შედეგად ბოლო ათწლეულებში გამწვავებული გეოეკოლოგიური ვითარება გადაუდებლად მოითხოვს სწრაფ რეაგირებას ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი უწყებების მხრიდან" – ვკითხულობთ ანგარიშის დასკვნით ნაწილში.

ჭიათურელები, რომლებისთვისაც „შავი ოქრო" მშვიდი და უსაფრთხო ცხოვრებისთვის საფრთხედ იქცა, სახელმწიფოსგან მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვენ. აცხადებენ, რომ შესაძლოა ძვირადღირებული ტანსაცმელი, საჭმელი და ნივთები ვერ უყიდონ შვილებს, მაგრამ ის მაინც უნდა იცოდნენ, რომ ჰაერი, რომლითაც სუნთქავენ და წყალი, რომელსაც შვილებს აწვდიან, მათთვის საზიანო არაა. სურთ, ჭიათურის სოფლები ნაომარ ადგილებს არ ჰგავდეს და როგორც ცივილიზებულ ქვეყნებში ხდება, მათთანაც წიაღის მოპოვების შემდეგ ორმოები კვლავ მწვანე მინდვრებად აქციონ.

ჩვენი პირველი შეკითხვა „ჯორჯიან მანგანეზის" მიერ სამინისტროსკენ „ნასროლ ქვას" – ანუ კონტრაქტორი კომპანიების მიერ სამინისტროსთვის გასულ წელს გაგზავნილ რეკულტივაციის (40 ჰექტარის) გეგმას ეხება. საწარმოდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამინისტრომ აღნიშნული გეგმის შენიშვნები მხოლოდ ახლა, რამდენიმე კვირის წინ მიაწოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო: ლევანი ბერიძე

ყოფილი სამხედრო ჰოსპიტალის შენობა, სადაც ახლა ძირითადად სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ადამიანები ცხოვრობენ.

სოციალურად დაუცველები უმუშევრობის ჩახეტილ წრეში

სოფო გოგიშვილი

დოლიძე მანანა ისნის ყოფილ სამხედრო ჰოსპიტალში სხვა სოციალურად დაუცველებთან ერთად ცხოვრობს. რვასართულიან შენობაში არ არის წყალი და ელექტროენერგია. კანალიზაციის მილები ღიაა. მოსახლეები ყოველდღე ეზოდან ეზიდებიან წყალს, რომელიც უკვე მესამე წელია, კორპუსის ქვეშ განუწყვეტლივ მიედინება და მათი მტკიცებით, საძირკველს ალპობს. მიუხედავად იმისა, რომ გარეთ 30 გრადუსზე მაღალი ტემპერატურაა, რამდენიმე ბინაში ღუმელი ანთია, რათა საჭმლის მომზადება, ან დასაბანად წყლის გაცხელება შეძლონ.

მანანა მეუღლესთან (რომელიც მკვეთრად გამოხატული შშმ პირია) და ორ სრულწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობს:

„ჩემი მეუღლე მძიმე ავადმყოფია. 2-ჯერ დაემართა ინსულტი. მეორედ უფრო მძიმედ იყო. სასწრაფომ ერთ-ერთ კლინიკაში წაიყვანა. მაშინ არ იყო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა. საიდან მეშოვა 1000 ლარი მკურნალობისთვის და 4 პარტია 30-ლარიანი წამალი, ან სხვა საავადმყოფოში გათიშული კაცი როგორ წამეყვანა? მისი გადაადგილება არ შეიძლებოდა. 2008 წელს პენსიის ვალი გამოვიტანე, სახლი გავყიდე. სულ გარეთ დავრჩით. თავიდან ნათესავებმა გვათხოვეს ბინა, მაგრამ მერე მოვედით აქ და სამი წელია, ასე ვართ. მძიმე ავადმყოფის პატრონმა კოლეჯიც ვერ დავამთავრებინე ჩემს ბიჭს და გოგოს.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველთვიურად მანანას ოჯახი სოციალურ დახმარებას იღებს და უარს ამბობს დასაქმებაზე, რადგან ეშინია, რომ სახელმწიფო სტატუსს მოუხსნის.

„თუ ხელფასი დამერიცხება, 200 ლარიც კი, სოციალური დახმარება იხსნება. იმ სამსახურიდან მერე რომ გამომიშვან, რა ვქნა? არ უნდა იხსნებოდეს სოციალური სტატუსი ასეთ დაბალ თანხაზე."

მანანასავით ბევრი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანი ფიქრობს. ისინი ან უარს ამბობენ დასაქმებაზე, ან ცდილობენ, ანაზღაურება არა ბარათით, არამედ ნაღდი ანგარიშსწორებით მიიღონ, სახელმწიფოს რომ დაუმალონ შემოსავალი. ფატი გვაძაბუა სოციალური დახმარების შეწყვეტის შიშით არ საქმდება; ნადია რესტორანში დამლაგებლად მუშაობს და დღეში 5-ლარიან ანაზღაურებას იღებს, ნაღდი ანგარიშსწორებით. თამარ ჭანკვეტაძე ბაზრობაზე მეორად ტანსაცმელს ყიდის:

„ბაზრობაზე ჩემს მეორად ტანსაცმელს ვყიდი. ბარახლოვკა ბაზარს რომ ეძახიან, იქ. აქ მე და ჩემი მეუღლე ვცხოვრობთ. მეუღლე მალიარი იყო და საღებავით მოიწამლა. ტოქსიკური ლაქი შეხვდა. შრომისუნარიანი აღარაა. ტვინის უჯრედების შეშუპება დაემართა."

სოციალური მომსახურების სააგენტოში აცხადებენ, რომ რაღაც თანხის ჩარიცხვა სოციალური სტატუსის მქონე ადამიანის ანგარიშზე არ ნიშნავს, რომ დახმარება გაუუქმდებათ, თუმცა დეკლარაციაში შეტანილი ცვლილებების გამო, მათი სტატუსი გადახედვას საჭიროებს. ეს პროცესი ორი თვე გრძელდება. ამ დროის განმავლობაში სოციალური სტატუსის მქონე ადამიანი ვერ მიიღებს სახელმწიფოსგან დახმარებას და კითხვის ნიშნის ქვეშ დგება სტატუსის აღდგენის საკითხიც:

„თუ ვინმე ამბობს, „მშიერი ვკვდები და ვარ უბედური", – მიდის აგენტი, ამოწმებს ამ ადამიანს. მერე ის იღებს შესაბამის დაბალ ქულას. თუ ის ძალიან ღარიბი და ღატაკია, იმისათვის, რომ, უკაცრავად ამ გამოთქმაზე და, შიმშილით არ მოკვდეს, იღებს სახელმწიფოსგან დახმარებას, მაგრამ მათ აქვთ დეკლარაცია შევსებული. თუ ამ დეკლარაციაში რამე იცვლება, უნდა აცნობონ სააგენტოს. ეს არის ხელახალი გადამოწმების საფუძველი. აუცილებლად გადაამოწმებენ და შეიძლება მაინც დაბალი ქულა მიიღოს, მისი საჭიროებებიდან გამომდინარე, ან მაღალი. ასე ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვით," – ამბობს ტატა გამყრელიძე, სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომელი.

შეკითხვაზე, თუ რა ფორმით ცდილობს სახელმწიფო, ხელი შეუწყოს სოციალურად დაუცველების დასაქმებას, ელზა ჯგერენაია, შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი პასუხობს, რომ სახელმწიფოს აქვს სპეციალური ვებგვერდი და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები:

„არსებობს მომზადება-გადამზადებისა და სტაჟირების კურსები. შემდეგ თუკი ამ ადამიანების კომპეტენცია პასუხობს დამსაქმებლის მოთხოვნას, შესაბამის ვაკანტურ პოზიციაზე მიევლინებიან კომპანიაში, 3 თვის ვადით. სტაჟირებას გაივლიან და შემდეგ დამსაქმებელი უკვე კონკურენციის საფუძველზე შეარჩევს და დაასაქმებს."

ტატა გამყრელიძის თქმით, სამწუხაროა, რომ სოციალურად დაუცველები სახელმწიფოს დახმარებაზე არიან დამოკიდებულები, თუმცა მისი მტკიცებით, სახელისუფლებო სტრუქტურებს არ გააჩნიათ მექანიზმი სამუშაო ბაზარზე მათი ინტეგრაციისთვის.

„მაგ მიმართულებით მოტივაცია როგორ უნდა გავუჩინოთ?! რა უნდა ქნას სახელმწიფომ ამ დროს, როდესაც ადამიანს შეუძლია მუშაობა და არ მუშაობს? თუ შეუძლია მუშაობა, ვფიქრობ, რომ უნდა იმუშაოს და სოციალური დახმარების იმედად არ უნდა იყოს. „არა აქვს სამუშაო და რა ქნას" – ასეთი პრეტენზიებიც ხომ არის ხოლმე? მაგრამ

„ბაზრობაზე ჩემს მეორად ტანსაცმელს ვყიდი. ბარახლოვკა ბაზარს რომ ეძახიან, იქ. აქ მე და ჩემი მეუღლე ვცხოვრობთ. მეუღლე მალიარი იყო და საღებავით მოიწამლა. ტოქსიკური ლაქი შეხვდა. შრომისუნარიანი აღარაა. ტვინის უჯრედების შეშუპება დაემართა."

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კვოტირება აუცილებელია, რადგან ამის გარეშე ეს ადამიანები რჩებიან სამუშაო ძალის გარეთ, თუმცა სუბსიდიების შემოღება სამუშაოსთან მიმართებაში უპირობოდ სწორი არ არის. სანამ სახელმწიფო კომპანიებს ფულს გადაუხდის, ეს ადამიანები იქნებიან დასაქმებულები და შემდეგ რა მოხდება, კაცმა არ იცის. ეს არ იქნება რეალურად შექმნილი სამუშაო ადგილი. ეს იქნება სოციალურად დახმარების ნაირსახეობა."

ჩვენთან არ არის უმუშევრობის დაზღვევა. სახელმწიფო იმიტომ კი არ უხდის ამ ფულს, რომ არ მუშაობს. უკიდურესად ღატაკი რომ არის და შიმშილის ზღვარზე რომ არ დადგეს, იმიტომ, მაგრამ სტიმულირებისთვის არ მსმენია, რომ რამე კეთდებოდეს." – აცხადებს ტატა გამყრელიძე.

„სოციალური პროგრამებისა და განვითარების ცენტრის" ხელმძღვანელი სოფიო ბეროშვილი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანების უმუშევრობის განმაპირობებელ პრობლემად კიდევ ერთ საკითხს – შრომის ინსპექციის არარსებობას, გაუმართავ კანონმდებლობას ასახელებს, რაც პოტენციურ დასაქმებულებში არასტაბილურობისა და დაუცველობის განცდას იწვევს. მისი მტკიცებით, ხშირ შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულებებიც კი არ ფორმდება მხარეებს შორის, რაც სოციალურად დაუცველებში იწვევს ეჭვს, რომ მალე ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე უმუშევარი აღმოჩნდება, თითქმის წელიწადი მოუწევს ლოდინი სტატუსის აღსადგენად და კომპენსაციის მისაღებად.

„სახელმწიფოს დასაქმების პოლიტიკა შემოიფარგლა მხოლოდ ვებგვერდის შექმნით და დასაქმების ფორუმების მოწყობით, რასაც ჩვენი ორგანიზაცია რამდენჯერმე დაესწრო და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ეს ფორუმები ხშირ შემთხვევაში აბსოლუტურად არაეფექტიანია, მინიმალური გამონაკლისების გარდა. უნდა დავიწყოთ უმუშევართა რეგისტრაცია. თვითდასაქმება არაა გამოსავალი. თუ ადამიანი აცხადებს, რომ უმუშევარია, მას უნდა მიენიჭოს უმუშევრის სტატუსი, მაგრამ დღევანდელ პირობებში კარგად გვესმის, რომ ეს არარეალურია, რადგან არ არსებობს ამ რაოდენობით შრომითი მოთხოვნის ბაზარი.

სოფიო ბეროშვილი ასევე საუბრობს სუბსიდირების, როგორც უმუშევართა კომპენსაციის, საჭიროებაზე და აღნიშნავს, რომ ეს მექანიზმი თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში მოქმედებს, თუმცა ქართულ რეალობას რამდენად მოერგება ეს საკითხი, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რადგან აქ მუშახელის სხვა მოთხოვნაა.

ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი გია კაკაჩია ხაზს უსვამს კვოტირების აუცილებლობას და არსებული სისტემის სხვა ხარვეზებს. მისი თქმით, არასწორია სოციალურად დაუცველის სტატუსის შეჩერება 2 თვით, როგორც კი ის მუშაობას დაიწყებს. ეს პროცესი უნდა იყოს შემოსავალთან კავშირში. უნდა არსებობდეს ზღვარი რაღაც თანხის, რომელსაც არ შეეხება ხელმეორედ შეფასებისა და სტატუსის ორი თვით შეჩერების პროცესი:

„კვოტირება აუცილებელია, რადგან ამის გარეშე ეს ადამიანები რჩებიან სამუშაო ძალის გარეთ, თუმცა სუბსიდირების შემოღება სამუშაოსთან მიმართებაში უპირობოდ სწორი არ არის. სანამ სახელმწიფო კომპანიებს ფულს გადაუხდის, ეს ადამიანები იქნებიან დასაქმებულები და შემდეგ რა მოხდება, კაცმა არ იცის. ეს არ იქნება რეალურად შექმნილი სამუშაო ადგილი. ეს იქნება სოციალურად დახმარების ნაირსახეობა."

გია კაკაჩია მიიჩნევს, რომ სამუშაო სუბსიდიების არსებობის შემთხვევაში დამსაქმებელი და სოციალურად დაუცველი დასაქმებული პირი გარიგდებიან, ხოლო პროგრამის დასრულების შემდეგ, ერთეული გამონაკლისების გარდა, სამუშაო ადგილიც აღარ იარსებებს:

„მცირე ბიზნესის განვითარება და სხვა სამუშაო ადგილების შექმნა გაცილებით წარმატებული იქნება, ვიდრე ეს ხელოვნურად შექმნილი სამუშაო ადგილები. სესხის გაცემა სოციალურად დაუცველებისთვის, სტარტაპები. კვოტირებაც გამოსავალია მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურაში, რადგან კერძო სექტორში ადგილები აღარ არის. საზღვარგარეთ ბევრი მეთოდი გამოიყენება, დაწყებული

ფოტო: ლევან ხარაულიძე

ისნის სამხედრო ჰოსპიტალში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მანანა დოლიძე.

საგადასახადო შეღავათიდან, დამთავრებული სამუშაო ადგილების სუბსიდირებით. საკითხავია, ქართულ რეალობაში რომელი გაამართლებს. უმუშევრობის დონე აქ გაცილებით მაღალია, ვიდრე ევროპის ნებისმიერ სხვა ქვეყანაში და აქ სამუშაო ადგილები ჭირს. შესაბამისად, სუბსიდირებისას გამოდის, რომ სოციალურად დაუცველმა უნდა წაართვას ადგილი სხვა ადამიანს, ან ეს სამუშაო ადგილი ხელოვნურად შეიქმნას დროის მხოლოდ იმ მონაკვეთში, როცა ხორციელდება სუბსიდია. სუბსიდირება სამუშაო ადგილს არ შექმნის."

არასამთავრობო ორგანიზაციები, ეკონომისტები და ამ სფეროს ექსპერტები საუბრობენ კვოტირების, სუბსიდიების, საგადასახადო შეღავათებისა და კიდევ სხვა მექანიზმების აუცილებლობაზე, რომლებიც უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველების შრომით ბაზარზე ინტეგრაციას, თუმცა სახელისუფლებო სტრუქტურებში ამ საკითხზე მსჯელობა ჯერ არ დაწყებულა და მათ მიერ შემოთავაზებული კონკრეტული ხედვა, თუ როგორ შეიძლება პრობლემა გადაიჭრას, არ არსებობს.

სოციალურად დაუცველებისგან გამოყოფილია შშმ და სსმ პირები და მათთვის არსებობს სპეციალური დასაქმების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს 450 ლარამდე ხელფასის 50%-ის კონტრიბუციას ანაზღაურების წილში. სახელმწიფო უხდის ფულს კომპანიას, რომელიც დაასაქმებს და შეუნარჩუნებს სამუშაო ადგილს შშმ/სსმ პირებს, თუმცა შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის ეს მიდგომა სხვა სოციალურად დაუცველებზე არ ვრცელდება.

პიალიპიებული იდენტობა

ბასტი მგალობლიშვილი

ერროვნული ბიბლიოთეკა

„ჩემი მთავარი პრობლემა უფულობაა. სამუალება რომ მქონდეს, შევცვლიდი, რაც მინდა. ბევრი ვეცადე, მცირედი შემოსავალი მაინც მქონოდა, სად აღარ მივედი, თუმცა ყველგან ერთსა და იმავეს მეუბნებოდნენ – დაგირეკავთ, მოვიფიქრებთ...“

ლევანი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მიხედვით კი ანა (გვარს რესპონდენტის თხოვნით არ ვასახელებთ), იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა ბიოლოგიური სქესი და გენდერული იდენტობა ერთმანეთს არ შეესაბამება. გენდერული იდენტობა, სქესისგან განსხვავებით, თანდაყოლილი არ არის.

ლევანი ტრანსგენდერი მამაკაცია და ამბობს, რომ პოტენციური დამსაქმებლები მის მიმართ უარყოფითად განეწყობიან ხოლმე, როდესაც ანკეტაში მითითებულ სქესსა და მის გარეგნულ მახასიათებლებს შორის განსხვავებას ამჩნევენ. მას სამსახურის დაწყება და ფულის შეგროვება უნდა, რათა მასტექტომია (ძუძუს მოკვეთა) ჩაიტაროს. რადგან საქართველოში დამსაქმებლები უარს ეუბნებიან, სამუშაოდ გერმანიაში წასვლას გეგმავს.

„3 თვე ვსწავლობდი გერმანულ ენას, თუმცა სასერტიფიკატო გამოცდის 200 ლარს ვერ ვიხდი, ამიტომ ჩემი წასვლა დროებით გადაიდო“, – ამბობს ლევანი

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით სამართლებრივი სქესის შეცვლის შესაძლებლობა აღიარებულია, პრაქტიკაში ტრანსგენდერი ადამიანები აღნიშნული უფლებით ვერ სარგებლობენ, შესაბამისი პროცედურული წესის არარსებობის გამო.

საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ლგბტ პირთა, განსაკუთრებით კი ტრანსგენდერი ადამიანების უფლებებს.

„კვლავ გამოწვევას წარმოადგენს სამოქალაქო აქტებში ტრანსგენდერი ადამიანებისთვის სქესის ჩანაწერის ცვლილების შესაძლებლობა. რაც, თავის მხრივ, ხელშემშლელი ფაქტორია განათლების მიღების, დასაქმებისა თუ სხვა პროცესებში. ევროკავშირში წარმოებული კვლევის ფარგლებში გამოკითხულ ტრანსგენდერ პირთა 73% მიიჩნევს, რომ გენდერის სამართლებრივი აღიარების გამარტივებული პროცედურები მათ უფრო კომფორტულ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობას მისცემს“, – ვკითხულობთ სახალხო დამცველის ანგარიშში.

იუსტიციის მინისტრს „ანტიდისკრიმინაციული კანონით“ მინიჭებული უფლებამოსილებით სახალხო დამცველმა მიმართა, რომ შემუშავებულიყო სპეციალური პროცედურული წესი, თუ რა საბუთები უნდა წარადგინოს პირმა სქესის ჩანაწერის ცვლილებისთვის და რა პროცედურების გავლაა საჭირო, თუმცა იუსტიციის სამინისტრო დღემდე არ იზიარებს სახალხო დამცველის რეკომენდაციას.

ქირურგიული გზით სქესის შეცვლა ერთადერთი გზაა, რის საფუძველზეც იურიდიულ დოკუმენტებში შესაძლებელია სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილება. სახალხო დამცველმა ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს მიმართა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ტრანზიცია არის ძალიან ინდივიდულური, იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანს თვითაღქმაც ინდივიდუალური აქვს. მაგალითად, მე იმისათვის, რომ საკუთარ თავთან ჰარმონიულად ვიგრძნო თავი, შესაძლოა ისიც მყოფნიდეს, რომ შევიცვალო სიარულის მანერა, ჩაცმულობის სტილი, ქცევები და დავიწყო ჰორმონული თერაპია – ეს შეიძლება სრულიად საკმარისი აღმოჩნდეს ჩემთვის, რომ ჰარმონიულად და კარგად ვიგრძნო თავი საზოგადოებაში. ადამიანს შეიძლება, სურდეს მხოლოდ მკერდის მოშორება ან მკერდის გადიდება, მაგრამ არ სურდეს გენიტალური ოპერაციის გაკეთება“.

„ჩვენ წარვადგინეთ სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, სადაც განვიხილეთ ევროსასამართლოს პრაქტიკა და, ერთი მხრივ, ვფიქრობთ, ქირურგიული ჩარევა არ შეიძლება იყოს გამართლებული ყველა შემთხვევაში. ეს შეიძლება იყოს პირის სურვილი, რომ თავს კომფორტულად გრძნობდეს. მეორე მხრივ, ასეთი ოპერაციის ღირებულება ძალიან ძვირია და შეგვიძლია ვთქვათ, ხელმიუწვდომელია იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ეს უნდათ. ასევე, ეს შეიძლება სამედიცინო თვალსაზრისით გაუმართლებელი იყოს და საფრთხეს უქმნიდეს პირის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს. ამიტომ მყარად ვგდგავართ მოსაზრებაზე, რომ პირის გენდერული იდენტობა არის მისი აღქმა და თუ ის აღიქვამს, რომ მის დოკუმენტში ჩანაწერი არ შეესაბამება მის იდენტობას, ეს უნდა შეიცვალოს", – ამბობს ომუდსმენის მოადგილე, ეკა სხილაძე.

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG)“ აღმასრულებელი დირექტორის, ნათია გვიანიშვილის თქმით, ის, რომ ყველა ტრანსგენდერ ადამიანს უნდა სქესის შეცვლის ოპერაციის გაკეთება, ფართოდ გავრცელებული სტერეოტიპია.

„ტრანზიცია არის ძალიან ინდივიდულური, იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანს თვითაღქმაც ინდივიდუალური აქვს. მაგალითად, მე იმისათვის, რომ საკუთარ თავთან ჰარმონიულად ვიგრძნო თავი, შესაძლოა, ისიც მყოფნიდეს, რომ შევიცვალო სიარულის მანერა, ჩაცმულობის სტილი, ქცევები და დავიწყო ჰორმონული თერაპია – ეს შეიძლება სრულიად საკმარისი აღმოჩნდეს ჩემთვის, რომ ჰარმონიულად და კარგად ვიგრძნო თავი საზოგადოებაში. ადამიანს შეიძლება, სურდეს მხოლოდ მკერდის მოშორება ან მკერდის გადიდება, მაგრამ არ სურდეს გენიტალური ოპერაციის გაკეთება“, – ამბობს ნათია გვიანიშვილი

ტრანსგენდერ ადამიანებს უწევთ არჩევანის გაკეთება – ან დაიწყონ ტრანზიციის პროცესი და მოირგონ გენდერული როლი, რომელიც შეესაბამება თვითაღქმას, ან უარი თქვან ტრანზიციის პროცესზე და შეინარჩუნონ სოციალური სტატუსი. როგორც ნათია გვიანიშვილი ამბობს, ხშირად ადამიანებს უჭირთ მუდმივი სტრესის ქვეშ სამსახურისა და სტაბილურობის შენარჩუნება. მისი თქმით, ტრანსგენდერი ქალები განსაკუთრებული აგრესიის ობიექტები ხდებიან, „რადგან პატრიარქალურ საზოგადოებაში ნებისმიერი ისეთი საქციელი ან იდენტობა რომელიც არ შეესაბამება „კაცობის“ შესახებ ჩვენს წარმოდგენას, ძალიან დიდ აგრესიას იწვევს. ამ შემთხვევაში, ტრანსგენდერი ქალები, ზუსტად იმიტომ, რომ ისინი არიან ბიოლოგიურად მამრობითი სქესით დაბადებულები“.

საქართველოში ტრანსგენდერ ადამიანებს არ ექმნებათ სირთულეები სახელის ან/და გვარის ცვლილებისას. მათ ყოველგვარი დამატებითი მოთხოვნის გარეშე შეუძლიათ, შეიცვალონ სახელი საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში. თუმცა ლევანი ამბობს, რომ სახელის შეცვლა არსებულ პირობებში უფრო მეტ პრობლემას შეუქმნის.

„სახელის შეცვლა მინდოდა 2-3 წლის წინ. აქტიურად ვფიქრობდი ამაზე. ჩემს რამდენიმე მეგობარს სახელი შეცვლილი აქვს, მაგრამ საბუთებში სქესი არ იცვლება. მამაკაცის სახელი და მდედრობითი სქესი უფრო არაბუნებრივი იქნება, ამიტომ გადავიფიქრე დოკუმენტებში სახელის შეცვლა, მეტი პრობლემა რომ არ შემექმნას“, ამბობს ლევანი.

არასამთავრობო ორგანიზაცია WISG-მა სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა ტრანსგენდერ ადამიანთან დაკავშირებით ორჯერ მიმართა სასამართლოს, თუმცა ორივე შემთხვევაში სასამართლოს პირველმა ინსტანციამ არ დააკმაყოფილა მოთხოვნები:

„სასამართლო განმარტავს, რომ ადამიანის გენდერული თვითშეგრძნება, იდენტობა არის მისი ფსიქოემოციური დამოკიდებულება გენდერულ კუთვნილებასთან დაკავშირებით, ხოლო სქესი – ობიექტურად არსებული ბიოლოგიური, ფიზიოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიური მდგომარეობა, რომელიც ადამიანის შეგნებების მიღმა, დამოუკიდებლად, თავისთავად არსებობს.

ამრიგად ადამიანის თვითშეგრძნების უფლების სფეროში ჩარევას ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ პიროვნებას რაიმე ფორმით, ნებისმიერი მხრიდან ხელი შეეშლებოდა შეგრძნებებში, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს"

მეორე საქმე დაბადების სამოქალაქო აქტში სქესის ჩანაწერის შეცვლის მოთხოვნა იყო. სასამართლოს განმარტებით კი, თუ დაბადების რეგისტრაციისას დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში სქესი მიეთითება ბავშვის გარეგნული ანატომიური მახასიათებლების გათვალისწინებით, სქესის ჩანაწერის ცვლილებაც უკავშირდება მის ანატომიურად შეცვლას.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის იურისტი ლიკა ჯალაღანია ამბობს, რომ სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებები ხელს უშლის ტრანსგენდერი ადამიანების არა ერთი უფლების რეალიზებას.

„სასამართლო ამბობს, რომ მე მის იდენტობაში არ ვერევი – ეს არასწორია, პირიქით, ერევა მისი იდენტობის არაღიარებით და მას სხვა სოციალურ, ეკონომიკურ თუ გამოხატვის თავისუფლებას რეალურად უზღუდავს", – ამბობს ლიკა ჯალაღანია.

მისივე თქმით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სტერილიზაცია, როგორც წინაპირობა გენდერის სამართლებრივი აღიარებისა, წამებასთან გაათანაბრა.

„2015 წლის ივლისში საქმეზე – „yy თურქეთის წინააღმდეგ" სასამართლომ პირდაპირ მიუთითა, რომ სტერილიზაცია, როგორც წინაპირობა გენდერის სამართლებრივი აღიარებისა, არის წამებასთან გათანაბრებული და რომ ეს ღირსების შემლახავია".

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 2048 (2015) სახელმწიფოებს მოუწოდებს, განავითარონ სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურები პირად საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში ტრანსგენდერი ადამიანებისათვის სახელისა და სქესის შეცვლის ხელშეწყობის მიზნით. ამასთანავე, რეზოლუცია მოითხოვს სახელმწიფოებისაგან, რომ გააუქმონ ნებისმიერი საკანონმდებლო მოთხოვნა სტერილიზაციასა და სავალდებულო სამკურნალო პროცედურებზე, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის დიაგნოზის არსებობაზე, როგორც პირის გენდერის სამართლებრივი აღიარების წინაპირობაზე.

გარდა ამისა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა საჯარო და კერძო სექტორში შრომითი ურთიერთობები თავისუფალი იყოს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციისაგან. მნიშვნელოვანია, რომ მინისტრთა კომიტეტი რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ტრანსგენდერ ადამიანთა დასაქმების საკითხს. რეკომენდაციის მიხედვით, დასაქმების აპლიკაციების შევსებისას თავიდან უნდა იყოს აცილებული ტრანსგენდერთა გენდერული ისტორიის ან მათი წინა სახელის დამსაქმებლისა და სხვა დასაქმებულებისათვის რეალური საჭიროების გარეშე ხელმისაწვდომობა.

WISG-ის, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრისა", და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოებული კვლევები, ასევე სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული პერიოდული ანგარიშები აჩვენებს, რომ განცხადებების დიდ ნაწილში დისკრიმინაციის სფეროდ სწორედ შრომითი საქმიანობაა. ნათია გვიანიშვილი ამბობს, რომ ამის გამო ტრანსგენდერი ქალები ხშირად არიან ჩართულები კომერციულ სექსსამუშაოში; ბანკში, საზღვრის კვეთისას და ან სხვა ისეთ დაწესებულებაში, სადაც პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენაა საჭირო, ტრანსგენდერი ადამიანები დისკრიმინაციის მსხვერპლნი ხდებიან.

„სახელის შეცვლა მინდოდა 2-3 წლის წინ. აქტიურად ვფიქრობდი ამაზე. ჩემს რამდენიმე მეგობარს სახელი შეცვლილი აქვს, მაგრამ საბუთებში სქესი არ იცვლება. მამაკაცის სახელი და მდედრობითი სქესი უფრო არაბუნებრივი იქნება, ამიტომ გადავიფიქრე დოკუმენტებში სახელის შეცვლა, მეტი პრობლემა რომ არ შემექმნას", – ამბობს ლევანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერება ეთქი დაკოკვით

გიორგი ისაკაძე

„მთელი ზაფხულის განმავლობაში ღამე ფანჯარას ვერ ვაღებ. დავიხუთე. გავაღებ და მთელი ღამე ვერ ვიძინებ ხმაურისგან. გონკაობენ, აბღუილებენ. მოკლედ, ტვინი წაიღეს“ – ასეთია ვაჟა-ფშაველას გამზირზე მცხოვრები მეგობრის დამოკიდებულება ბაიკერების მიმართ.

Cross Riders MC დამოუკიდებელი ქართული მოტოკლუბია, რომელიც თბილისში 3 წლის წინ დაფუძნდა. მისმა კლასიკურმა სტრუქტურამ სათავე ამერიკაში 50-იან წლებში აიღო. კლუბს აქვს ბარი, სადაც წევრები ყოველდღე იკრიბებიან. კლუბის მთავარი ღირებულებები პატივისცემა, ლოიალობა და თავისუფლებაა. ეს პირველ რიგში ოჯახია, შემდეგ კი ორგანიზაცია. შეიძლება ითქვას, რომ ერთი სამეგობროა, სადაც საერთო ინტერესებისა და ღირებულებების ადამიანები ერთიანდებიან.

– რა არის შენთვის მოტოციკლი?

დაფი: მოტო ჩემთვის ყველაზე ახლობელი რამაა, ვისაც ენდობი და ვინც მუდამ შენ გვერდითაა. ჩემი სხეულის ნაწილია. როგორც კი ვქოქავ და მივდივარ, ყველა პრობლემა და უსიამოვნო ფიქრი უკან მრჩება. საკმარისია, ერთი წუთით გავჩერდე, რომ ეს ყველაფერი მეწევა და ისევ მაწუხებს. ამიტომ არასოდეს უნდა გაჩერდე და სულ წინ უნდა იარო მასთან ერთად, ვისთანაც ყველაზე ბედნიერად გრძნობ თავს.

დათა: როცა ბაიკზე ზიხარ ყველა შეგრძნება გააქტიურებული გაქვს. გარემოს ნაწილი ხარ. გადაადგილებისას განსაკუთრებულად შეიგრძნობ, როგორ იცვლება ტემპერატურა, სუნი, პეიზაჟი, ხმები და ამ ყველაფრისგან ძალიან დიდ სიამოვნებას იღებ, თუნდაც იმის ყურებით, როგორ მოძრაობს ასფალტი შენი ტერფის ფონზე. „ჩოპერით“ მოგზაურობისას ყველაფერს ბევრად უფრო მძაფრად გრძნობ, ვიდრე ნებისმიერი სხვა ტრანსპორტით. ამიტომ არსებობს გამოთქმა – „ვერასდროს ნახავ მოტოციკლს ფსიქოლოგის კაბინეტთან“. ჩემთვის ბაიკი ერთდროულად ექსტრემალურიცაა და რომანტიკულიც.

Cross Riders MC წევრების რეჟიმი დღისით არაფრით განსხვავდება სხვა ადამიანების რეჟიმისგან – ისინი სწავლობენ, მუშაობენ. ჩვენ შორის არიან ქიმიურ-რადიაციულ-ბიოლოგიურ და ბირთვულ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფის სპეციალისტი, მომავალი ექიმი, ივენთების მენეჯერი, მექანიკოსი, კონსტრუქტორი. მათი ღამის ცხოვრება კი მოტოციკლეტით, ბევრი rock n roll-ით, ალკოჰოლური სასმელით და არაამქვეყნიური გართობით გრძელდება. თუმცა კლუბის ერთ-ერთი წესი ასეთია: ნასვამზე მოტოციკლეტის ტარება არ შეიძლება! ასეთ შემთხვევაში ნასვამი ბაიკერი ადგილზე ტოვებს მოტოციკლს. ფხიზელ ბაიკერს ის სახლამდე მიჰყავს. ალკოჰოლთან დაკავშირებული კლუბის წესი დაჩი გაჩეჩილაძის ავარიის შემდეგ უფრო გამკაცრდა.

დაჩი გაჩეჩილაძე: მოტოციკლეტზე აქტიურად 2013 წლიდან ვზივარ. ის ჩემი ყოველდღიური ტრანსპორტიცაა და ცხოვრების წესიც. სანამ ავარია შემემთხვეოდა, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ მის გარეშე გავძლებდი. პარასკევი იყო და მეორე დღეს ყველა ვისვენებდით. დავლიე და სახლში მისვლას არც ვაპირებდი. იმ საღამოს ბართან ძველ მეგობარს გადავაწყდი, რომელიც სიგარეტზე გადიოდა და მოტოციკლეტით გაყვანა შევთავაზე. ვერც მან და ვერც ჩემმა მეგობარმა, რომელსაც მოტოციკლი გამოვართვი, ვერ შეამჩნიეს, რომ ნასვამი ვიყავი და მაღაზიისკენ გავეშურეთ. ზაფხულის მშვენიერი საღამო იყო. ამინდმა და ალკოჰოლმა კიდევ უფრო გამაგიჟა. გადაჭარბებული სიჩქარით მიმავალი ბორდიურს დავეჯახე. მანქანის ქვეშ მიპოვეს. ჩემი მეგობარიც ძლიერად დაიმტვრა. 31 დღე კომაში ვიყავი. ამ შემთხვევიდან რამდენიმე თვეში შედგა სასამართლო პროცესი. სამი წელი ვერ დავჯდები მოტოციკლზე. მაგრამ ყველაფერს ორი მხარე აქვს და აქაც ასეა. მე და ჩემი მეგობარი ერთად ვართ. ეს სამი წელი მოტეხილობების შესახორცებლად და რეაბილიტაციისთვის დამჭირდა. რაც მთავარია, ეს შემთხვევა ყველა ჩემი მეგობრისთვის დიდი გაკვეთილი აღმოჩნდა. ყველამ ცხადად შეიგნო, რომ მოტოციკლზე ნასვამი არ უნდა დაჯდე.

სიმართლე გითხრათ, სანამ ფოტორეპორტაჟზე მუშაობას დავიწყებდი, ჩემი დამოკიდებულება ჩემი მეგობრისგან დიდად არაფრით განსხვავდებოდა. თუმცა, როდესაც პირველად ვესტუმრე ბარს ბაიკერების გასაცნობად, მათი ინტელექტუალური და შთამბეჭდავი საუბრებით, rock n roll-ით, გართობის სტილით და მათი მოყოლილი საინტერესო ისტორიებით, სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი და მათზე შეხედულებაც რადიკალურად შემეცვალა. ჩამომიყალიბდა აზრი, რომ ქროსრაიდერები არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ მაქსიმალური სიამოვნება მიიღონ ცხოვრებისგან. ამისათვის მხოლოდ ბაიკების დაქოქვაა საჭიროა ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა







ეროვნული ბიბლიოთეკა







ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბებიები, ჩემი ბებიები

გიორგი კეკელიძე

მთიან სოფელში კი არა, ისეთ ადგილას, ზღვისპირა სოფელი რომ ჰქვია, მანდარინის ხეებისა და ნაჭაობარი ადგილების მლაშე სუნი რომ იგულისხმება ღია ფანჯრებიდან. მარლაგაკრული ფანჯრები – კოღოები ვერ შემოვლენ. მთვარის შუქი შემოვა – ისიც მორიდებული მეზობელივით, ყოველდღე ორი კოვზი შაქრის სასესხებლად რომ გსტუმრობს. შენი ძაღლი ცივად ყეფს. ყმუილშერევით. ბაყაყები ყიყინებენ თუ არა, აღარ მახსოვს. წესით კი, თან თუ წვიმას აპირებს. ამ სურათში მთავარი პირველის ათი წუთია. ამ დროს მატარებელი შემოივლის, ხუთი წუთით გაჩერდება, დაიკივლებს და გავა. არავინ იცის, ვინ ხვდება სადგურზე ან რატომ ხვდება. შეიძლება ლოთი კოტია და მესემიჩკე ირა. უფრო არავინ. ბათუმი-ოზურგეთი. შენ ლოგინში წევხარ, უკვე ორი საათია, იმ ხუთ წუთს უცდი და მერე დაიძინებენ. მატარებელი შემოივლის, გაჩერდება, დაიკივლებს და გავა. ზაფხულია. ცხელი ღამე. არაფერია ამ წუთებზე სევდიანი და ამაო. უმიზეზოდ სევდიანი და ამაო. ერთადერთი, რაც მაშინ გახარებს, დილით მოსალოდნელი ხმაა ბებიის: „ადე, ადე ფეხზე, ტატაურა მზათაა!“ ტატაურა, ანუ კეცის ხაჭაპური.

ბებიაჩემი ნათელა, ისე გარდაიცვალა, ავადმყოფობებს არ უჩიოდა ხოლმე. ერთი ეგ იყო, ადრეული ბავშვობიდან მახსოვს, უცებ ჩამოჯდებოდა და გაკვირვებული იტყოდა: „ნენა, რაია, აი?!“

ეს იყო მოხუცებულობა. მოხუცებულობით გაკვირვება. ადამიანი ვერასდროს ვერ გაიგებს ბებერ სხეულს, რადგან ახალგაზრდად არის დაბადებული. ასე დაინახა და ისწავლა საკუთარი თავი. ძალიან ცოტა დროა ბავშვობიდან ბოლომდე, რომ რამე მნიშვნელოვნად შეიცვალოს. სახეებს კი მხოლოდ ვალდებულება ასერიოზულებს. სიბერე სიკვდილის არსებობის გამართლებაა. სიცოცხლისგან დაღლა ამართლებს. ამიტომაც მიყვარს მოხუცები – მათი თვალები გულგრილია სიკვდილის მიმართ – ისე ელიან, როგორც მეოთხე კარაქიან პურს ყველაზე პუტკუნა ბავშვები ბაგაში სადილისას. ალბათ, არის წელიწადი, როცა შენ ამას გრძნობ. სამოცდახუთი? სამოცდაცამეტი? ოთხმოცდახუთი? არ ვიცი. არასდროს ვყოფილვარ ოთხმოცდახუთის.

თოვლზე სულ ეს მაგონდება – ცალ თვალზე მისი შავად შენაღები, გახუნებული თავშალი მეფარებოდა და ცალით ქარისგან დახრილ ფიფქებს ვხედავდი. „ზაგოზერნოსკენ“ მივდიოდით. პური იმ დროს იქ იყიდებოდა. კაცი მეტსახელად ბუკაკიე გახლდათ, ამ საქმის გამგებელი. ჰოდა, მივდიოდით მე და ბებიაჩემი, „ზუკუტურით“ მივყავდი, ანუ ზურგზე მოკიდებული. ცალ თვალზე მისი შავად შენაღები, გახუნებული თავშალი მეფარებოდა და ცალით ქარისგან დახრილ ფიფქებს ვხედავდი. ზღაპარს ჰგავდა... მოყოლით არ გამოდის, რადგან ჩვეულებრივი ამბებია, რომელიც მხოლოდ შენთვისაა არაჩვეულებრივი... ის მნიშვნელოვანი ქალი იყო, ჩემზე მეტად ჯიუტი და იდეალისტი. უკვე ძალიან მოხუცი ავიდა სოფელ სურებში და ქალთა საბჭო დააარსა, განათლებისა და მსგავსი ამბებისთვის რომ მიეხედა. ჩემზე უფრო

ბებიაჩემი ნათელა, ისე გარდაიცვალა, ავადმყოფობებს არ უჩიოდა ხოლმე. ერთი ეგ იყო, ადრეული ბავშვობიდან მახსოვს, უცებ ჩამოჯდებოდა და გაკვირვებული იტყოდა: „ნენა, რაია, აი?!“ ეს იყო მოხუცებულობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიუტი და იდეალისტი. დონკიხოტობა ეგ არის, თუ არის; იცოდა, რომ შეიძლებოდა, განწირული ყოფილიყო ეს საქმე, მაგრამ მაინც ავიდა. დიდი იდეები ჰქონდა, მაგრამ არასოდეს ეთაკილებოდა წვრილმანი საქმეების კეთება. გერმანულსა და ქართულს ასწავლიდა სკოლაში. პენსიაზე გასვლის შემდეგ სახლში მუხლჩაუხრელად შრომობდა და ერთხელ, დიდი გაჭირვებისას, მზესუმზირის გაყიდვაც კი მოინდომა, მაგრამ ოჯახში დაუშალეს – „შემოდგომისაზნაურული“ ამპარტავნების ამბავში. მერე თეკლათის დედათა მონასტერში წავიდა გარდაცვლილი შვილისა და ქმრის, და ჩვენთვის, ცოცხლებისთვის, სალოცავად. რამდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნდა. ობოლი, სტუდენტი შვილიშვილების მოსავლელად გადავიდა თბილისში, სტუდქალაქში. დაუდგრომელი გახლდათ – ისტორიებისა და ფათერაკების ადამიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურებში ცხოვრობდა და ზაფხულობით, დასასვენებლად ასულს, ძილის წინ ფეხებს მითბილავდა ცხელი წყლით და „ვეფხისტყაოსანს“ მიყვებოდა მკვეთრი გურული დიალექტითა და აქცენტით. პირველი ლექსიც მან მასწავლა. უცნაური და არასაბავშვო – უოლტერ სკოტის „ლოხინვარ ჭაბუკი“: „და სიყვარული რომ სულვეის ტალღას ჰგავს, თქვენც მოგეხსენებათ. მასავით ბობოქრობს და თავაშვებული ნაპირებს აწყდება. მასავით ბობოქრობს და მერე ერთბაშად მასავით დაცხრება“.

სურებში ცხოვრობდა და ზაფხულობით, დასასვენებლად ასულს, ძილის წინ ფეხებს მითბილავდა ცხელი წყლით და „ვეფხისტყაოსანს“ მიყვებოდა მკვეთრი გურული დიალექტითა და აქცენტით. პირველი ლექსიც მან მასწავლა. უცნაური და არასაბავშვო – უოლტერ სკოტის „ლოხინვარ ჭაბუკი“: „და სიყვარული რომ სულვეის ტალღას ჰგავს, თქვენც მოგეხსენებათ. მასავით ბობოქრობს და თავაშვებული ნაპირებს აწყდება. მასავით ბობოქრობს და მერე ერთბაშად მასავით დაცხრება“. ეგრე გამოვიდა, რომ პირველი გოგოც მისი მოსწავლე მიყვარდა. სახელად თეონა. გვარი არ მახსოვს. უჩვეულო ამ ამბავში არაფერი იქნებოდა, რომ არა ერთი პატარა უხერხულობა: მე ხუთი წლის ვიყავი, ის – მერვეკლასელი. ცხადია, თეონას ბებიაჩემმა უთხრა „ესე საქმე დამალული“. იმ თეონამ კი რატომ მოიგონა, არ ვიცი – ერთ-ერთი გაკვეთილის შემდეგ, რომელსაც ბებიაჩემის ამბავში ვესწრებოდი (სახლში ჩემი დამტოვებელი არ ჰყავდა), მითხრა, მე „შავი ბიჭები“ მომწონსო. ვიფიქრე, რომ „შავში“ დაუბანლობას გულისხმობდა და დაბანას მთელი კვირა ვაპროტესტებდი. ამდენის მოთმენა შეუძლებელი იყო. ლამის გამთოკეს და ისე დამბანეს. ჰოდა, ამ ძალად განბანის მერე ხმამაღლა ვყვიროდი, როგორც გამასუფთავეთ, ისე გამაშავეთ, თორემ წყალში გადავხტები-მეთქი. მერე ბუხრიდან გამოიღეს ნახშირი და წამისვეს. ეს ბებიაჩემის ერთ-ერთი საყვარელი მოსაყოლი ამბავი გახლდათ და, ამასთან, ჩემი პირველი ტრაგიკული სამიჯნურო საქმე.

ხოლო მეორე ბებია, დედაჩემის დედა, მედიკო, ბებიაჩემი, ასე მოიქცა. მამაჩემის პანაშვიდზე მოვიდა და უთხრა: ახალ წლამდე წამიყვანეო. მანამდე მეზობლებისთვის დაუბარებია: ზურიკელას რამე რომ მუუვიდეს, ვერ გადევიტანო. ჰოდა, მოვიდა და წაყვანა სთხოვა. იქვე გარდაიცვალა. ზურიკოს სიკვდილიდან მესამე დღეს. სალამოს ჩამეხუტა. „ახლა შენ ხარო“ – მხოლოდ ეს მითხრა, თითქოს ბუნდოვანი, მაგრამ ძალიან ზუსტი წინადადება. საერთოდაც ძალიან ზუსტი ქალი იყო. ნატანებში ცხოვრობდა. სანამ ოზურგეთში წამოვიდოდა, მამაჩემის დასატირებლად, სახლი დაულაგებია. რომ მივასვენეთ, ყველაფერი დაგვხვდა. სასტიკი, მაგრამ აუცილებელი დეტალებით: „ყბის ასაკონი“ ნაჭერი, გასაპატიოსნებელი ხელთათმანები, გამპატიოსნებელთა გვარ-სახელებით, გადასაფარებელი, საწვიმარი ბრეზენტი, საკუბოე ტანსაცმელი. ყველაფერი ლოგინზე ეწყო. ლამაზად. სკამზე მისი საუკეთესო ხალათი დაგვხვდა, გადაეფინა საგანგებოდ და „პორტმანით“ „დასასაფლავებელი“ ფული მიემაგრებინა.

ეს არის კიდევ ერთი ამბავი ბებიაჩემზე, მედიკოზე. მას მეუღლე 1969 წელს გარდაეცვალა. მას მერე შავი არ გაუხდია. არც არავის გვინახავს სხვა ფერის ტანსაცმელში – „საშინაოშიც“ კი. მკაცრი კოდექსის ქალი იყო, საკუთარი ინტერპრეტაციებით. ეს სურათიც ამგვარი ინტერპრეტაციაა – მედიკომ დისშვილი ვახტოიე გაზარდა და გამორჩევით უყვარდა. ორიოდ წლის წინ ვახტოიეს შვილი სკოლაში წავიდა და პირველ დღეს, მოულოდნელად, ნატანებიდან ბათუმში ჩავიდა მედიკო და შეეგება ასეთი ყელსახვევით – „თანამედროვე ბაღანაა, ვერ გეიგებს, მარტო მე რეიზე მხდებიენ შავებშიო.“ მე პირველად ამ სურათში ვნახე ბებიაჩემი ფერადით. დიდ ქალებში ეწერა მენდე-მედიკო.

ბებიები ხომ სულ სხვა პლანეტის ადამიანები არიან: მათ ვერასდროს მოატყუებ, უბრალოდ, ყველაზე ხშირად იტყუებენ თავს. აი, მაგალითად, ზეპირად ახსოვთ, რამდენი ჩურჩხელა გადამალეს და როცა ორ დღეში ერთხელ თითო აკლდება, სულ წრუწუნებისკენ იშვერენ ხელს. მერე რა, რომ შვილიშვილებს ყოველკვირა კბილის ექიმი მასპინძლობს. ბებიები. ჩემი და თქვენი ბებიები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიზუალიზებული ლიტერატურა

ლევან ბერძენიშვილი

ლიტერატურული ნაწარმოები ხშირად იქცევა ხოლმე ხელოვნების სხვა დარგის წყაროდ: ტრანსფორმირდება, იდგმება სცენაზე, ან იღებენ ფილმს... წიგნისაგან განსხვავებით, აქ შეიძლება შეიცვალოს ყველაფერი, ან ისე გადაიღონ/დადგან, როგორც ავტორს უწერია. მოკლედ რომ ვთქვათ, ლიტერატურა შესანიშნავი წყაროა ხელოვნების სხვადასხვა დარგისთვის, განსაკუთრებით კი კინოსთვის.

არსებობს ლიტერატურული ძეგლები, რომლებიც ამ მხრივ გამორჩეულად პოპულარულია: „ანა კარენინა", „ომი და მშვიდობა", ჯეინ ოსტინის რომანები, შარლოტა ბროტეს „ჯეინ ეარი", ემილი ბრონტეს „ქარიშხლიანი უღელტეხილი", დიკენსის, ჰიუგოს რომანები და ა. შ.

ვხვდებით სპეციფიკურ შემთხვევებსაც, ერთი მხრივ – ენტონი ბერჯესი და სტენლი კუბრიკი, მეორე მხრივ – კენ კიზი და მილოშ ფორმანი. ბევრმა შეიძლება არც იცის, რომ „ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა" – ამ შესანიშნავი, ოსკაროსანი ფილმის უკან გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და ფილმზე ბევრად ძლიერი ლიტერატურული ნაწარმოები – „გუგულის ბუდეზე სხვა გადაფრინდა" დგას. ამ რომანის არსი ფილმში ასახული არ არის. ერთია, რაზე წერდა კენ კიზი, მეორე კი რაზე გადაიღო ფილმი მილოშ ფორმანმა.

არსებობს შემთხვევები, როდესაც ავტორები მათი ნაწარმოების ეკრანიზაციით უკმაყოფილონი რჩებიან. ასე იყო კენ კიზის შემთხვევაში, მაგრამ პირიქითაც ხდება – ენტონი ბერჯესი გააბედნიერა იმ ამბავმა, რომ სტენლი კუბრიკმა „მექანიკური ფორთოხალი" გადაიღო.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, არსებობს ორი ლიტერატურული ძეგლი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მსოფლიო კინემატოგრაფიამ. უპირველეს ყოვლისა, ეკრანიზაციების თვალსაზრისით, მსოფლიო ჩემპიონია ლევ ტოლსტოის „ანა კარენინა".

კადრი ფილმიდან „ანა კარენინა"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისეც ხდება, ქართულად რომ ვთქვათ, „ვის შევჩივლო, რუსთაველი მკვდარია“, ანუ ავტორი ვერ ჩივის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საუკუნეების წიაღიდან ხმის ამოღების საშუალება არა აქვს. ასეთი რამ შესაძლებელი რომ ყოფილიყო, „ტროის“ გადაღების გამო, ჰომეროსი პასუხს მოსთხოვდა ჰოლივუდს. ჩემთვის სრულიად წარმოუდგენელია, რომ ჰომეროსის „ილიადიდან“, კაცობრიობის ისტორიის ამ ერთ-ერთი ყველაზე გენიალური პოემიდან, შეიქმნა ერთ-ერთი ყველაზე უნიჭო ფილმი, სახელად „ტროა“. წარმოუდგენელია, ამ დონეზე ვერ გაიგო, რაზე წერდა და ლაპარაკობდა ჰომეროსი, გაათანამედროვო ადამიანებს შორის ურთიერთობა, აურიო პერსონაჟები და, ბოლოს და ბოლოს, მიიღო ისეთი საშინელება, რომელმაც ამდენი ხმლისა და შუბების ტრიალის, ცხენების აქეთ-იქით ჭენების მიუხედავად, ვერ მოიტანა ვერაფერი, მატერიალური თვალსაზრისითაც კი. არადა, სწორად გაგებული ჰომეროსი ნამდვილად კომერციული ავტორი იქნებოდა.

■ არსებობს შემთხვევები, როდესაც ავტორები მათი ნაწარმოების ეკრანიზაციით უკმაყოფილონი რჩებიან. ასე იყო კენ კიზის შემთხვევაში, მაგრამ პირიქითაც ხდება – ენტონი ბერჯესი გააბედნიერა იმ ამბავმა, რომ სტენლი კუბრიკმა „მექანიკური ფორთოხალი“ გადაიღო.

უამრავი ვერსია არსებობს „ოდისეასი“. ნაწილი ჰომეროსის მიხედვით არის გადაღებული, ზოგიერთი საკმაოდ თამამი ვერსია, ერთი-ორი, კი ისეთიც შეგხვდებათ, ჰომეროსთან ახლოსაც რომ არ ჩაუვლია – ეს აშკარად ეტყობა ფრანგულ ვერსიას, უფრო სწორად, ფრანგულ-ავსტრიულს, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ზიგმუნდ ფროიდს პირადად არ გადაუღია, აშკარად მხოლოდ და მხოლოდ მისი თეორიებია გათვალისწინებული. აქ მკითხველი, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოემზადოს იმისათვის, რომ ოდისევსის მეუღლე, ერთგულების სიმბოლო პენელოპე, ერთი უბრალო კახპა ქალი აღმოჩნდება...

კლასიკის უამრავი ეკრანიზაცია არსებობს, რომელიც სერიოზულ გადასინჯვას საჭიროებს. მათ შორის არის ისეთი შედევრები, როგორებიცაა: პიერ პაოლო პაზოლინის „მედეა“ და „ოიდიპოსი“. საინტერესოა, რას იტყოდნენ სოფოკლე და ევრიპიდე, ეს ფილმები რომ ენახათ. ფაქტია, ძალზედ უცნაურ ინტერპრეტაციებთან გვაქვს საქმე – მედეას მითის კოლხური ნაწილი ჩრდილო აფრიკაშია გადაღებული, მუსიკაც ადგილობრივი

კადრი ფილმიდან „ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვხვდება და კოლხები იმ ველური ტომის წარმომადგენლებად არიან გამოყვანილები, რომელთაც ადამიანის მსხვერპლად შეწირვა ახასიათებთ. ამ ამბავს ქართველთა პროტესტი არ მოჰყოლია, ალბათ, იმიტომ, რომ პაზოლინის ეს ფილმი პოპულარული არ აღმოჩდა.

საინტერესოა ისიც, რომ არაერთხელ აკრძალულმა ავტორმა – ნიკოს კაზანძაკისმა ფილმების სამყაროში შეაღწია და დღეს „ქრისტეს უკანასკნელი ცდუნების" შესანიშნავი ეკრანიზაცია გვაქვს.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში ვერავინ მოახერხა ისე კარგად გადაელო ანტიკური ნაწარმოებები, როგორც თავად ბერძნებმა. ვგულისხმობ მიხალის კაკოიანისის ტრილოგიას: „ელექტრა", 1962 წელი, „ტროელი ქალები", 1971 წელი და „იფიგენია", 1977 წელი. სამი შედევრი, ბრწყინვალე ოსტატი, ბრწყინვალე შესრულება, მაგრამ, რა თქმა უნდა, მსოფლიო კინოს ისტორიაში მათ საკადრისი სახელი არ მოუპოვებიათ, ჩვენ ხომ ინტელექტუალურ ფილმებზე ვსაუბრობთ. ამავე კაცის გადაღებულია „ბერძენი ზორბა", ამჯერად კაზანძაკისის მიხევით, სადაც ირენ პაპასი თამაშობს და ამ ფილმით მიხალის კაკოიანისი გაცილებით უფრო ცნობილი და პოპულარული გახდა.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, არსებობს ორი ლიტერატურული ძეგლი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მსოფლიო კინემატოგრაფიამ. უპირველეს ყოვლისა, ეკრანიზაციების თვალსაზრისით, მსოფლიო ჩემპიონია ლევ ტოლსტოის „ანა კარენინა".

„ანა კარენინა" პირველად გერმანელებმა გადაიღეს, 1910 წელს – მუნჯი ფილმი. ვისაც ნანახი გვაქვს, ძნელად ვიჯერებთ, რომ ეს ნამდვილად „ანა კარენინაა", ყველა სიკეთესთან ერთად, რაც მთავარია, ანა კარენინა არ ჰგავს ანა კარენინას.

აქედან მოყოლებული, „ანა კარენინა" სხვადასხვა ქვეყანაში უამრავჯერ გადაიღეს, მათ შორის, 1927 წელს, მუნჯი კინოს ეპოქის დასასრულისკენ ედმუნ გულდინგმა გადაიღო ფილმი სახელად, „სიყვარული", სადაც ანას როლს გრეტა გარბო თამაშობდა და ეს იყო პირველი დიდი მსახიობი ანა კარენინას როლში. რამდენიმე წლის შემდეგ, ლევ ტოლსტოის რომანის ეკრანიზაცია გადაიღო კლარენს ბრაუნმა, მთავარ როლში კვლავ გრეტა გარბო, ფილმის კონსულტანტი კი გრაფი ანდრე ტოლსტოი, მწერლის პირდაპირი შთამომავალი. 1935 წელს ეს ფილმი იქცა პირველ საყოველთაოდ ცნობილ „ანა კარენინად", რომელმაც მთელი მსოფლიო მოიარა.

1948 წელს ჟულიენ დუვივიეს ფილმში ანა კარენინას როლი მსოფლიოს კიდევ ერთმა დიდმა ვარსკვლავმა, ვივიენ ლიმ შეასრულა. 1953 წელს საბჭოთა კავშირში ანა ტარასოვამ გადაიღო, ფაქტობრივად, ძალიან ცნობილი სპექტაკლის, „ანა კარენინას" ეკრანიზაცია, რომელიც არერთხელ დადგმულა „მხატ-ში" (Московский Художественный Академический театр) და მას რამდენჯერმე საბჭოთა კავშირის ლიდერებიც ესწრებოდნენ, მათ შორის, ამხანაგი სტალინი – 1951-52 წლებში.

იმავე საბჭოთა კავშირში, 1967 წელს, ერთგვარი გარღვევა მოხდა და გადაიღეს „ანა კარენინა", – ფილმი, რომელიც დღემდე რჩება საუკეთესოდ ამ რომანის მიხედვით გადაღებულ ეკრანიზაციებს შორის. ამ ფილმში ანას როლი სრულიად შეუდარებელმა რუსმა მსახიობმა, ტატიანა სამოილოვამ, შეასრულა.

1985 და 1997 წლებში „ანა კარენინა" გადაიღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, მთავარ როლზე კი ორივე შემთხვევაში ფრანგი მსახიობები მიიწვიეს: 85-ში ჟაკლინ ბისე, 97-ში კი – სოფი მარსო.

2012 წელს კირა ნაიტლის მონაწილეობით ჯო რაიტმა ბრიტანული ფილმი გადაიღო, 2013 წელს კი იტალიურ სერიალში ანა კარენინად ვიტორია პუჩინი, ძალიან ლამაზი მსახიობი ქალი მოგვევლინა.

აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ 2014, 2015, 2016 წლებში ამ შესანიშნავ ნაწარმოებზე მუშაობა მიმდინარეობდა და, ალბათ, ძალიან მალე ვნახავთ ახალ ამერიკულ სერიალს, ასევე – რუსების მიერ ხელახლა გადაღებულ „ანა კარენინას".

ეროვნული ბიბლიოთეკა

XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში, „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარმა“ სახალხო ოპერის, ანუ მიუზიკლის სახე მიიღო და მოვლენად იქცა საფრანგეთის ცხოვრებაში. მიუზიკლი იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ მისი ტექსტი იტალიურ, ინგლისურ და რუსულ ენებზე ითარგმნა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვათ, თითოეული ეს ეკრანიზაცია, ისევე როგორც სხვადასხვა წელს „ანა კარენინას“ მიხედვით გადაღებული ფილმები, თავისთავად საინტერესო იყო, რამაც განაპირობა მომდევნო ეკრანიზაციების აუცილებლობა და პოპულარობაც, თუმცა მთავარი სულ სხვა რამაა – მიუხედავად იმისა, რომ ანას როლს ისეთი დიდი მსახიობები ასრულებდნენ, როგორებიც იყვნენ: გრეტა გარბო, ვივიენ ლი, ჟაკლინ ბისე, სოფი მარსო, კირა ნაითლი და ა.შ. თითოეული მათგანი საკმაოდ უსუსური ანა კარენინა გამოდგა.

რატომ მოხდა ასე? პასუხი მარტივია, ანა კარენინა ურთულესი სახეა, ლევ ტოლსტოიმ ჩაიფიქრა, მოეთხრო ისტორია ადამიანისა, რომელიც აბსოლუტურად უდანაშაულოა, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი, ყველა დამნაშავედ მიიჩნევს. ანაც მართალია საზოგადოებასთან და საზოგადოებაც მართალია მასთან. ნაწარმოების მიხედვით ძალიან კარგად ვხედავთ, თუ ვის მიმართ არის სიმპათიით განწყობილი ლევ ტოლსტოი, მაგრამ, როგორც ჩანს, ის, რაც იოლია მწერლობაში, საკმაოდ რთული მოსახელთებელია სხვა სფეროში.

რა პრინციპული განსხვავებაა ლიტერატურასა და კინოს შორის:

ლიტერატურა ეს არის მწერალი და მკითხველი, შეიძლება ითქვას, ორი თანამზრახველი. ლიტერატურა ეს არის მშვენიერების ძარცვა, რომელშიც მწერალი და მკითხველი ერთდროულად მონაწილეობენ. მწერალი ამ მშვენიერების ძარცვის კონტურებს ხატავს და მას, რეალურად, მკითხველი ახორციელებს. მკითხველი ლიტერატურული ნაწარმოების შემსრულებელია, იგი ხედავს იმას, რაც მწერალმა იგულისხმა. მწერალი წერს ანა კარენინას; მკითხველი ხედავს ანა კარენინას. მწერალი ამბობს: ანამ თქვა; მკითხველი გრძნობს, როგორ თქვა, რა სიტყვებით თქვა, რა ინტონაციით თქვა; მწერალს ეს არ დაუკონკრეტებია; ეს ყველაფერი მკითხველის ხელშია. ფილმი ეს არის მაყურებლისა და ეკრანის ურთიერთობა, სადაც პირდაპირი შეფარდებაა – 1/1-ზე; ეკრანზე ჩანს, ვინც არის ანა კარენინა. როგორც არ უნდა წარმოიდგინო, რომ ანა შენი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ჰგავს, ეკრანზე აშკარად არის ნათქვამი, რომ ანა, ვთქვათ, კირა ნაიტლის ან გრეტა გარბოს ჰგავს.

ლევ ტოლსტოის მიხედვით, ანა კარენინამ გაბედა, ჩაეცვა შავი კაბა და რაც მთავარია, მოუხდა კიდეც. დღეს, როდესაც ნახევარ მსოფლიოს შავი კაბა აცვია, ეს არავის უკვირს, მაგრამ შავი კაბით ბალზე გამოჩენა წარმოუდგენელი ამბავი იყო – ბალისა და ქორწილისთვის ხომ თეთრი კაბა თქმულა! თეთრ კაბაში ყველაფერი იმალება, საღამოს შავი კაბა კი ძალზედ პრეტენზიული და საშიშია; ის ავლენს ყველაფერს, მოძრაობას, ნებისმიერ დეფექტს და ა.შ. მოგეხსენებათ, ანა კარენინა აღწერილი სამყაროს ძუ ლომი იყო, გამარჯვებული მანამ, სანამ სიყვარული დაამარცხებდა. შეგიძლიათ ნახოთ ნებისმიერი ფერადი ფილმი ანა კარენინას შესახებ, ვერავინ გაბედა, მისთვის შავი კაბა ჩაეცმია; ეს მხოლოდ და მხოლოდ რუსმა რეჟისორმა, ტატიანა სამოილოვამ შეძლო.

ზოგადად, ავტორისადმი ერთგულება, მხატვრულ ნაწარმოებში აღწერილი სამყაროსადმი ერთგულება იშვიათია კინემატოგრაფიაში. კინოს თავისი სპეციფიკა აქვს. მაგალითად, ნებისმიერ შემთხვევაში, ამერიკელები იღებენ, ინგლისელები თუ სხვა ქვეყნის წარმომადგენლები, „ომსა და მშვიდობაში“ ანდრე ბალკონსკი აუცილებლად მაღალი და ლამაზი იქნება. არადა, ტოლსტოის საფუძვლიანად ჰყავს აღწერილი ბალკონსკი – საშუალო სიმაღლის კაცი. არც ერთი რეჟისორი ამას არ ითვალისწინებს, ძველი დროის ამბებით დაწყებული, BBC-ის ბოლოდროინდელი სერიალით დასრულებული, სადაც ბალკონსკი მაღალი და სიმპატიური ახალგაზრდაა.

თითქმის ასეთივე, „ანა კარენინასავით“, ბედი ეწია დიდ ფრანგულ რომანს – „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“. რომანი უამრავჯერ გადაიღეს; საკმაოდ რთულად შესასრულებელი როლი რამდენიმე დიდი მსახიობის ხელში აღმოჩნდა. ამ თვალსა-

ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

კადრი ფილმიდან „მექანიკური ფორთოხალი“

ზრისით, კლასიკურია 1956 წელს გადაღებული ფილმი, სადაც ესმერალდას როლს ჯინა ლოლობრიჯიდა ასრულებს. კინოს თვალსაზრისით, რომანი ორმაგი დატვირთვისაა – ერთი მხრივ, ეს არის ვიქტორ ჰიუგოს ნაწარმოები, მეორე მხრივ კი – ძალიან ცნობილი ტაძარი. რეჟისორები ამ ორ ფენომენს შორის არიან მოქცეულები. „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, ეს არის ხელოვნების ძეგლი – ხელოვნების ძეგლზე, ხოლო კინორეჟისორებს უწევთ, გადაიღონ ხელოვნების ძეგლის შესახებ დაწერილი ხელოვნების ძეგლი. ამ თვალსაზრისით, რომანის ეკრანიზაციის უამრავი ვერსია არსებობს. განსაკუთრებულია ისიც, რომ ამ რომანის მიხედვით მულტიპლიკაციური ფილმიც კი გადაიღეს.

ამ ძეგლებმა ხელოვნების სხვა სფეროში გადატანასაც გაუძლეს. „ანა კარენინა“ და „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ ოპერაცაა და ბალეტიც (ამ უკანასკნელის ოპერის ლიბრეტო, სხვათა შორის, თავად ვიქტორ ჰიუგომ დაწერა, როგორი გამოუვიდა, ეს მეორე საკითხია).

XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში, „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარმა“ სახალხო ოპერის, ანუ მიუზიკლის სახე მიიღო და მოვლენად იქცა საფრანგეთის ცხოვრებაში. მიუზიკლი იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ მისი ტექსტი იტალიურ, ინგლისურ და რუსულ ენებზე ითარგმნა.

საბოლოო ჯამში, იმის თქმა მსურს, რომ ლიტერატურა ბრწყინვალე წყაროა კინოსთვის, მიუხედავად იმისა, რომ აჩენს კითხვას – რომელი ჯობს? თითოეული ფრაზა, რომ რომელიმე ფილმმა ლიტერატურულ ძეგლს აჯობა, ნიშნავს, რომ ან ლიტერატურული ძეგლი არ იყო ისეთი, როგორიც საჭიროა, ან ვილაცამ რაღაც განსაკუთრებული გარღვევა მოახდინა. არის კიდევ ერთი ვარიანტი – შეიძლება თქვენი თანამოსაუბრე ხუმრობს, რადგან ნამდვილი ლიტერატურული ძეგლის ხელოვნების სხვა ენაზე სრულყოფილად ამეტყველება წარმოუდგენლად რთული წარმოსადგენია.



ფოტო: ლევან სარაჯიშვილი

მაჩიჩი, ნახშირი და ჯანი

უტა ბექაიასა და ლევან მინდიაშვილის პროექტი "ღამის ინტერვენცია" აბრეშუმის მუზეუმში

დავით ბუხრიკიძე

ზაფხულის ბოლო საღამოს, 31 აგვისტოს, აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის „კლასიკური“ ნესტის სუნით გამორჩეულ და აბრეშუმის ქსოვილებით გადატენილ დარბაზებსა თუ ბიბლიოთეკაში უჩვეულო რამ ხდებოდა: სამი პერფორმერი, რომელთაც პირობითად არტისტებიც შეგვიძლია ვუწოდოთ, მუზეუმის სხვადასხვა დარბაზში გაცოცხლებულ სკულპტურებად იქცნენ.: მოძრაობდნენ, ირწეოდნენ, ნელი რიტმით ცეკვავდნენ...

უცნაური, ხმადაბალი ელექტრონული მუსიკა და სპეციფიკური განათება მათ როკვას რაღაც მომაჯადოებელ თუ იდუმალ განზომილებას ანიჭებდა, თუმცა იმ ატმოსფეროს შესაგრძნობად, რაც აბრეშუმის მუზეუმში სუფევდა, ვინჩენცო ბელინის ოპერის – „სომნამბულის“ ტაქტებიც ზედგამოჭრილი იქნებოდა.

უცნაური, ხმადაბალი ელექტრონული მუსიკა და სპეციფიკური განათება მათ როკვას რაღაც მომაჯადოებელ თუ იდუმალ განზომილებას ანიჭებდა. თუმცა იმ ატმოსფეროს შესაგრძნობად, რაც აბრეშუმის მუზეუმში სუფევდა, ვინჩენცო ბელინის ოპერის – „სომნამბულის“ ტაქტებიც ზედგამოჭრილი იქნებოდა.

პარალელურად, მუზეუმის საგამოფენო სივრცე ძველ, უკვე წლების განმავლობაში „გახევებულ“ და ლამის ოთახებთან შეზრდილ ექსპონატებთან ერთად საგანგებოდ გვეპატიჟებოდა თავისთან. ძველი სამშენებლო მასალითა თუ პიგმენტირებული თაბაშირით შექმნილი ობიექტები, ნეონით განათებული დაფები, დაფერილი მარლებით შექმნილი სანათები თუ სახელდახელოდ „მუმიფიცირებული“ მარლის ჭაღები (რომელთა ფესვები თითქოს ხმელი ტოტებისგან იყო შექმნილი!) ორმა ქართველმა მულტიმედია-არტისტმა, ხელოვანმა და მხატვარმა, ლევან მინდიაშვილმა და უტა ბექაიამ, შექმნა.

ნიუ-იორკში მომუშავე და ალბათ, დღეს ყველაზე კრეატიული ქართველი არტისტების ერთობლივი გამოფენა სახელწოდებით „ღამის ინტერვენცია“ სიცხესა და ღამის განათებაში იკითხებოდა როგორც „ღამის გუშაგთა“ (მცირე მოკითხვა ბატონ რემბრანდტს!) არაარტისტული თავშეყრა მუზეუმში. თუმცა გამოფენის მთავარი მესიჯი შეიძლება გავიგით, როგორც სამუზეუმო სივრცის დროებითი დეკონსტრუქცია-გარდაქმნა და მუზეუმის არქიტექტურის არტობიექტებით გამოცოცხლება.

მულტიმედია-არტისტებმა მუზეუმის შენობა, მისი კლასიკური არქიტექტურა და ძველი შინაარსი საგანგებოდ განაახლეს, რამაც რასაკვირველია, გააღვიძა ასე ნაცნობი, ოდნავ შემაშფოთებელი ორაზროვნება და ლეგიტიმური თუ ეჭვნარევი კითხვებიც გააჩინა: რა უნდა აბრეშუმის მუზეუმში მოძრავ სკულპტურულ ობიექტებს? რატომაა შესაძლებელი მათი ნახვა მხოლოდ ღამით? რა პარალელი ან კავშირი არსებობს პერფორმანსსა და ობიექტებს შორის? დაბოლოს, რატომ არ იკვეთებიან ისინი სივრცეში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

■ პიგმენტირებული თაბაშირის ბლოკებითა და დაფერილი მარლით შექმნილი ნივთები, აბრეშუმის წარმოების პროცესის მსგავსად, ორ ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსს – ბუნებრივსა და ადამიანის მიერ შექმნილს შორის მერყეობს. ამ მერყეობას, წესით, უნდა აწონასწორებდეს სწორედ ეს სამი პერფორმერი, რომლებიც უტა ბექაიამ, ერთი მხრივ, ბაროკოს ხანის თეატრალურ ნიღბებად წარმოადგინა და მეორე მხრივ, ეკო-ფუტურისტულ სკულპტურებად.

სკულპტურები და არაჩვეულებრივი კოსტიუმები უტა ბექაიამ შექმნა, ხოლო თაბაშირის ობიექტები, მარლითა და ფესვებით გაერთიანებული „ჭაღი" – ლევან მინდიაშვილმა. ორივე მათგანს უკვე დიდი გამოცდილება აქვს, რადგან დიდი ხანია, მონაწილეობენ საერთაშორისო არტპროექტებში. მაგალითად, ლევან მინდიაშვილი Hathaway David Contemporary-ის გამოფენაში (ატლანტა, აშშ), ტარტუს „ხელოვნების მუზეუმისა" (ესტონეთი) და კიევის „არსენალის მუზეუმის" (უკრაინა) გამოფენებში, უტა ბექაია კი მაასტრიხტის (ჰოლანდია) მოდისა და ხელოვნების ფესტივალის Fashionclash-ის ერთ-ერთი გამორჩეული პერსონაა.

უკვე აღვნიშნეთ, რომ „ღამის ინტერვენცია" უშუალო გადაძახილია აბრეშუმის მუზეუმის არქიტექტურასთან; მის ისტორიასა და პერსპექტივასთან. ორივე არტისტის ფანტაზია სავსეა პირადი ასოციაციებითა და ინსპირაციებით; რაღაც სახალისო დრამატულობითა და საგნობრივ-მეტაფორული ირონიით; მუზეუმის სივრცეში „შემოჭრილი" ახალი ნიშნებითა და ამავე სივრცის დროებითი „განადგურების" მცდელობით. ისინი ქმნიან დაშლისა თუ გაქრობის ზღვარზე არსებულ ნივთებსა და ობიექტებს, ძველი სარკეების ფრაგმენტებს, განადგურებული ბუხრის თავების აჩრდილებს, ხის ტოტებს, რომლებიც მაინც ფესვებთან გვაბრუნებს... თუმცა ყველა ობიექტს სრულიად სხვა განზომილებას ანიჭებს.

პიგმენტირებული თაბაშირის ბლოკებითა და დაფერილი მარლით შექმნილი ნივთები, აბრეშუმის წარმოების პროცესის მსგავსად, ორ ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსს – ბუნებრივსა და ადამიანის მიერ შექმნილს შორის მერყეობს. ამ მერყეობას, წესით, უნდა აწონასწორებდეს სწორედ ეს სამი პერფორმერი, რომლებიც უტა ბექაიამ, ერთი მხრივ, ბაროკოს ხანის თეატრალურ ნიღბებად წარმოადგინა და მეორე მხრივ, ეკო-ფუტურისტულ სკულპტურებად.

ამგვარად, აბრეშუმის მუზეუმში მისული პუბლიკა ერთგვარი თეატრალური თამაშის მოწმე ხდება, რომლის პარალელურად, ლევან მინდიაშვილის შექმნილი ობიექტები ხილულად თუ უხილავად ვიბრირებენ. ეს ყველაფერი კი გაბნეულია მუზეუმის მეორე სართულზე, თითქმის ყველა საექსპოზიციო დარბაზში.

„ღამის ინტერვენცია" სამ ფერს – თეთრს, შავსა და ვარდისფერს ეყრდნობა. მაგრამ ეს მხოლოდ პირობითობა და თამაში არ არის. მაგალითად, განეიტრალებული შაბიამნის მარილის კრისტალები უჩვეულო ღამის განათების ფონზე ლურჯ ელფერს იღებს და ერთდროულად მისტიკურ ალქიმიასაც მოგაგონებთ და პროზაულ ბიჟუტერიასაც.

სხვათა შორის, „ღამის ინტერვენცია" ამ ორი ხელოვანისათვის რიგით მეორე ერთობლივი პროექტია, სადაც ისინი ნამუშევრების თანაავტორებად მიიჩნევიან. მათი პირველი ერთობლივი პროექტის პრეზენტაცია 2016 წელს ნიუ-იორკის The Lodge Gallery-ში გაიმართა და მედიის ყურადღებაც მიიპყრო. ამდენად, „ინტერვენცია" შესაძლოა მათი ერთობლივი ხელოვნების ახალ შესაძლებლობად მივიჩნიოთ. გამოფენაზე წარმოდგენილი არტობიექტები ერთგვარად ეყრდნობა არქეტიპულ ნივთიერებებს – მარილსა და ნახშირს, ხოლო მგრძნობელობას მათ ადამიანი, უფრო ზუსტად ადამიანის ვარდისფერ-ატმისფერი კანი ანიჭებს.

უტა ბექაიას სკულპტურული ობიექტი „მარილი"



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უტა ბექაიას სკულპტურული ობიექტი „კანი“

ფოტო: სოფო ბერიძე

მარილი სიცოცხლისთვის აუცილებელი მინერალია. იგი ნატრიუმქლორიდისგან შედგება და რაც მთავარია, მისი არომატი განეკუთვნება ადამიანის ოთხი ძირითადი გემოდან ყველაზე უმთავრესს. ის კარგად ინახავს საკვებს და კონსერვაციაშიც გამოიყენება. ამდენად, უტა ბექაიას შექმნილი საოცარი, მოძრავი „თეთრი ობიექტი“ ანუ მოძრავი სკულპტურა არტის „შენახვისა და კონსერვაციის“ მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ..

ნახშირი, ანუ ნახშირბადი ხის ნახშირის სახით ძველი დროიდან გამოიყენებოდა ლითონის გამოსადნობად. ასევე ცნობილია, რომ ნახშირბადის ალოტროპიული მოდიფიკაცია – ალმასი და გრაფიტი პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება. აქტივირებული ნახშირი კი – სამედიცინო პრაქტიკაში, როგორც შხამსაწინააღმდეგო უნივერსალური საშუალება. ნახშირით მკურნალობა სასიკეთოდ მოქმედებს ისეთ დაავადებებზე, რო-

მოკლედ არტისტების შესახებ:

უტა ბექაია 1974 წელს თბილისში დაიბადა. ამჟამად ნიუ—იორკში ცხოვრობს და მუშაობს. მონაწილეობს სხვადასხვა გამოფენასა და ფესტივალში, მათ შორისაა: RichMix ლონდონში, ბიენალე კიევსა და სტამბოლში, თბილისის „არტისტერიუმი“ და სხვა, ჰქონდა პერსონალური გამოფენა აშშ-ში, ნიდერლანდებსა და საქართველოში.

ლევან მინდიაშვილი დაიბადა 1979 წელს. სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო არტპროექტებსა და გამოფენებში. 2009-2012 წლებში ცხოვრობდა ბუენოს-აირესში, სადაც დაიცვა მაგისტრის ხარისხი, მულტიდისციპლინარული პროექტების სფეროში. მუშაობდა არგენტინის დედაქალაქში, ხელოვნების ეროვნულ უნივერსიტეტში, ხოლო ექსპერიმენტულ თეატრალურ დასში Ensamble Caustico, იყო არტისტი და პერფორმატორი. პარალელურად ის დიუსელდორფში მცხოვრები ქართველი მხატვრის, ირაკლი ბუგიანის გამოფენების კურატორია, რომლის ექსპოზიციაც თბილისში ოქტომბრის დასაწყისში ეროვნულ გალერეაში გაიხსნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან მინდიაშვილის
სკულპტურული ობიექტი

გორიცაა ალერგია, მეტეორიზმი, მოწამვლა, ქრონიკული გასტრიტი... ასე რომ, ბექაიას მეორე, „შავი და მოძრავი ობიექტი" გრაფიტის, ანუ ხატვას სიმბოლურადაც გამოხატავს და არტის სამკურნალო-თერაპიულ როლზეც მიუთითებს.

დაბოლოს, კანი – ადამიანისა და ცხოველების სხეულის ზედაპირული საფარველი, რომელიც ორი ნაწილისგან, ეპიდერმისისა და დერმის, ანუ კორიუმისაგან, შედგება. ისინი ერთმანეთისგან ბაზალური მემბრანით არიან გამიჯნულნი. კანის უმთავრესი ფუნქციაა, შეინარჩუნოს ორგანიზმის ჰომეოსტაზი, ანუ წონასწორობა გარემოს ყოველდღიური ზემოქმედების მიუხედავად. იგი ქმნის ბარიერს სხეულის სითხეებსა და მყარ ნივთიერებას შორის და იცავს მის ქვეშ მდებარე ქსოვილებს მიკროორგანიზმების, მავნე ნივთიერებებისა და რადიაციის მოქმედებისაგან. კანი ასევე აქტიურად ახდენს „დ" ვიტამინის სინთეზს.

ბუნებრივია, რომ მესამე, ნაზად მშფოთავ-მროკავი სკუპლტურა მთლიანად კანის ფერია, ანუ ატმისფერი. მას სახე არ უჩანს და ოთხივე მხრიდან ნილბით არის დაფარული (იქნებ, სიმორცხვის, სინაზისა და შემპარავი სექსუალობის დასაფარავად?!) კანი ხომ პირველ რიგში, შეხებასა და სექსთან ასოცირდება.

ეს „სამი მუზა", სამი შეგრძნება თუ სკულპტურული ობიექტი (მარილი, ნახშირი და კანი) პირველ რიგში ავტორების გულახდილ მიზანდასახულობას და თვითირონიას ზომავს და კვებავს. ასე რომ, ვისაც უტა ბექაიასა და ლევან მინდიაშვილის „არტისტულ ინტერვენციაში" (კურატორი ელენე აბაშიძე) მონაწილეობა სურს, შაბათ-კვირის დაღამებას დაელოდოს და აბრეშუმის მუზეუმს მიაშუროს (ჰო მართლა, მუზეუმი „დინამო არენის" მიმდებარე ახალი კლასიცისტური სტილის შენობაში მდებარეობს). სექტემბერში კი ორივე არტისტი გარიყულაში, ყოველწლიური ფესტივალის ფარგლებში, ახალ პროექტს წარმოადგენს, რომლის კონცეფციაა „მომავლის მეხსიერება".

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყვარელი სტადიონის სახათები

აკა მორჩილაძე

რამდენი წელიწადია, საფეხბურთო მატჩის რეპორტაჟი არ დამიწერია. სიმართლე ითქვას და როცა ყოველდღიური გაზეთის სპორტული ჟურნალისტი ვიყავი, მაშინაც არ ვწერდი ხშირად თამაშის რეპორტებს, მაგრამ დამიწერია.

ახლანდელ გაზეთებში როგორაა, არ ვიცი, მაგრამ ადრე კარგი რეპორტაჟის დაწერა ერთ რამედ ღირდა. თამაშამდე ფეხბურთელების გამოჭერა, მათთან თუნდაც ზედაპირული გასაუბრება, სარეპორტაჟო სტადიონის, ქალაქის, გარემოს ერთი თვალის გადავლებით შესწავლა, მერე თავად თამაშზე დასწრება და მატჩისშემდგომი, თუნდაც არაფრისმთქმელი პრესკონფერენციიდან რეპორტაჟისთვის მთავარი ფრაზების ჩაწერა, იქაც სტატისტიკის ფურცლების ჩათვალიერება და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი ავტორის აზრით კარგ, მკითხველთა უმრავლესობისთვის კი ასატან საგაზეთო რეპორტაჟს ქმნიდა. ჰო, და რაც მთავარია, დამწერის ხედვა, არა მხოლოდ მატჩისა, არამედ რეპორტაჟის დაწერის სტილისა.

ჰოდა, ისე მოხდა, რომ ყოველგვარი რეპორტაჟის დაწერის სურვილის გარეშე აღმოვჩნდი ერთ-ერთ მონატრებულ ადგილას, აწ ეროვნულის სახელით ცნობილ დინამოს სტადიონზე, სადაც სკამები იმგვარი ფერადოვნებითაა დამონტაჟებული, რომ სტადიონი თუნდ ცარიელი იყოს, მაყურებელი მაინც იფიქრებს, იქ ვილაც ზისო. არ ვიცი, ეს ფერადოვნება უნებურია, თუ წინდაწინვე ნაფიქრი, მაგრამ ერთი შეხედვისთვის კი ეხმარება იმის ჩვენებას, რომ სტადიონზე, განსაკუთრებით ზაფხულში, უამრავ ხალხს მოუყრია თავი.

სინამდვილეში, უკვე შემოდგომა მოვიდა და საქართველო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევს თამაშობდა ავსტრიასთან შინ.

აბა, ახლა პარტერზე, თუ სადმე სხვაგან ამ თვეში ვერ მოვხვდებოდი. ავსტრია იმის შემდეგ არ გამოჩენილა მსოფლიო და ევროპული ფეხბურთის საუკეთესო 16, 24, 32, თუ მეტ გუნდს შორის, რაც ბრუნო პეცაიმ, ჰანს კრნაკლმა და ჰერბერტ პორჰასკამ მოითავეს ფეხბურთი. ბოლო წლებია, ეს ნაკრები, ასე თუ ისე, წამოიქაჩა, ევროზე იოფლიანა და წილისყრით კი საქართველოს შემოხვდა.

იმათი ყურებისას მარკო არნაუტოვიჩი თუ დაგაინტერესებდა კაცს და დავიდ ალაბა ბაიერნში კი თამაშობს სულ და გაჩერებული ბურთის დამრტყმელად კი მიიჩნევა. მ. არნაუტოვიჩი ადრეც მენახა მინდორზე, რახან ინგლისში თამაშობს და ბოლო წელიწადს, სტოკის იმგვარი მობურთალია, როგორიც ოდესლაც მარიან პახარსი იყო საუთჰემპტონში. კი, ბალკანელია და წაუიბრაჰიმოვიჩებს რიგ არაპირველხარისხოვან თამაშებში, მაგრამ საბოლოოდ პახარსის წინ ვერა დგას პატარა კლუბში მოხვედრილი ევროპელის მნიშვნელობით. ალაბაც, ალაბაა და მეტი არაფერი. უბრალოდ, ჩვენ არ გვყავს.

ჰოდა, რეპორტაჟი რომ გავწიოთ, ეს არნაუტოვიჩი და მისი ჩვენნაირ გუნდებთან გასაფურჩქნი ნიჭი ავსტრიელებს მხოლოდ აქა-იქ დასჭირდათ, ისე გაგვიტანეს თავით ორი გოლი პირველ ტაიმში. კი, ჩვენ არ გვყავდა იტალიის მჭედლიძე, საფრანგეთის ლეგენდარულ, მაგრამ აწ დაბლა ლიგის რეიმსის მებრძოლი კანკავა და ასევე უძღები შვილი ოქრი, რომელიც წინა კვირას ლამის მარსელის ოლიმპიკ-

ჰოდა, ისე მოხდა, რომ ყოველგვარი რეპორტაჟის დაწერის სურვილის გარეშე აღმოვჩნდი ერთ-ერთ მონატრებულ ადგილას, აწ ეროვნულის სახელით ცნობილ დინამოს სტადიონზე, სადაც სკამები იმგვარი ფერადოვნებითაა დამონტაჟებული, რომ სტადიონი თუნდ ცარიელი იყოს, მაყურებელი მაინც იფიქრებს, იქ ვილაც ზისო. არ ვიცი, ეს ფერადოვნება უნებურია, თუ წინდაწინვე ნაფიქრი, მაგრამ ერთი შეხედვისთვის კი ეხმარება იმის ჩვენებას, რომ სტადიონზე, განსაკუთებით ზაფხულში, უამრავ ხალხს მოუყრია თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო: საარქივო ფოტო

ჰოდა, აი ვფაფხურობთ, ძელსაც ვარტყამთ 0-2-ზე, რაც, ილბლის შემთხვევაში, საშინაო ქულის იმედს ჩასახავდა, მაგრამ გვახსენდება ასევე ძველი და ულმობელი გამოთქმა, ბურთის ძელზე მორტყმა უხეირო დარტყმის ნაირსახეობაა. საქართველომ გადმოვარდნილ ბურთებს მაინც უნდა მოარტყას შედარებით ზუსტად, თორემ 0-0-ზე ბურთის მეტოქის ნახევარზე გადატანა რომ მეოთხედსაუკუნოვანი პრობლემაა, ეს ადრეც ცნობილი იყო.

ში იყო, მაგრამ სააქიმო კაზუისტიკამ ოცი დღით რეაბილიტაცია ურჩია. ავსტრიას ვინ არ ჰყავდა, არ ვიცი, მაგრამ ეს ავსტრია საქართველოს ეთამაშა ისე. როგორც თამაშობდა მეორე მსოფლიო ომამდელი ვუნდერტიმად ცნობილი ავსტრიის გუნდი, იმის მიუხედავად, რომ არც იმ ძველი დროების ფინტები ჩაუტარებია, არც სინდელარები და ვილაცები ჰყოლია და საქართველოც გამოცხადებულ მკვლელობასავით შეეგება ამ ამბავს. ქართველებში, ჩემი მოკლე ჭკუით, ყველას სჯობდნენ ჯაბა ჯილაური და ვაკო ყაზაიშვილი, რომლებიც ავსტრიაზე დიდ ლიგებსაც გაქაჩავენ, თუ მოხერხდა, რასაკვირველია.

საქართველოს ვინც არ უნდა ჰყავდეს მწვრთნელად და რაც არ უნდა ესპანეთს მოუგოს ამხანაგურში, აი, ამ ჩვენს სტადიონზე დაიბადა სიტყვა, რომელსაც საქართველოს ნაკრები მისდევს უკვე მრავალი წელია და სანამ იმას არ ავცდებით, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ შუაევროპულ დონეზე დახაზული ავსტრია არასდროს დაგვალაპარაკებს. ამ სიტყვას ჰქვია ფაფხური. როცა დინამო წააგებდა, გულგატეხილი ბრაზიანი გულშემატკივრები აგინებდნენ, მშვიდობიანი ქომაგები იტყოდნენ, ფაფხურობდნენ რაღაცასო.

ჰოდა, აი ვფაფხურობთ, ძელსაც ვარტყამთ 0-2-ზე, რაც, ილბლის შემთხვევაში, საშინაო ქულის იმედს ჩასახავდა, მაგრამ გვახსენდება ასევე ძველი და ულმობელი გამოთქმა, ბურთის ძელზე მორტყმა უხეირო დარტყმის ნაირსახეობაა. საქართველომ გადმოვარდნილ ბურთებს მაინც უნდა მოარტყას შედარებით ზუსტად, თორემ 0-0-ზე ბურთის მეტოქის ნახევარზე გადატანა რომ მეოთხედსაუკუნოვანი პრობლემაა, ეს ადრეც ცნობილი იყო.

ჩვენს მწვრთნელს უფრო ჩაშლა ეიმედებოდა, რაც იმ ორმა გოლმა წაშალა. კი, ამ სალამოს ბევრი ოფლი დაიღვარა ჩვენს მშობლიურ სტადიონზე და ოფლი ყოველთვის ტაშს იმსახურებს.

ფეხბურთი კი იმედის სპორტია. ის დიდი სპორტია, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც აგებს და თამაშს აფრიალებს. ვაისმა, შემოუშვა ძალიან კარგი სხირტლაძე, სამკურნალო კურსისთვის გაშვებული ოქრი, რომელიც ადრევე ხურდებოდა და ციმბირიდან მოსული ჭანტურია. და ამ შეცვლათა მწკრივში საქართველომ გაქვითა ერთი გოლი! როგორც ყოველთვის, ტექნიკურმა ჯანო ანანიძემ დაინახა იმათი მეკარის აბდაუბდა ნაბიჯი.

ეს არის ფეხბურთის სიდიადე. ავსტრიელებმა დაიწყეს კოტრიალი და იმათგან გადავიდას ძახილი. მსაჯმა დაამატა ოთხი წუთი. საქართველო ჩამოუვარდებოდა ავსტრიას თამაშში ორგანიზაციასა და საერთო კლასში, მაგრამ საბოლოოდ საგოლე შეტევაში დაასრულა თამაში.

ჩვენი მოცემულობა ასეთია. გოლი აღარ გავიდა.

სტადიონზე ბევრი იყო საქართველო ევროპაა ხალხი. არ ჩანდა რუსეთი ოკუპანტი არაა ხალხი. ის, ვინც ფეხბურთისთვის ავსებდა სტადიონს, ლამის საუკუნის განმავლობაში, თითქმის აღარ იყო.

ოქტომბერში მივდივართ კუნძულებზე, ირლანდიასა და უელსთან სათამაშოდ. სამიდან სამი წაგება ნამეტანი იქნებოდა. ეგებ იქაც ამ ოფლმა ქულების მომტანი შედეგი გამოიღოს.

რეპორტაჟი ვერ გამოვიდა. შეცდომებისთვის ბოდიში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეიტანეთ ერთიანი განახლებულ
www.liberali.ge_ზე

n57/70

ეროვნული ბიბლიოთეკა

WWW.LIBERALI.GE

მოგვყევით

twitter

http://twitter.com/LiberaliMagazine

მოგვიწონეთ

Facebook

http://facebook.com/LiberaliMagazine

გამოიწერეთ

YouTube

http://youtube.com/LiberaliMagazine